

ეთნიკურ-პოლიტიკური წმენდა

A4



დაბადების დღე რთველში

A5



ბუნდესნაკრებამდე ბუნდესლიგელთან

A8



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 6 ოქტომბერი, 2006 წელი. №221 (1373) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 6/10 | 7/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 27 |
| ბათუმი | 29 | 31 |
| სოხუმი | 30 | 30 |
| ქუთაისი | 31 | 31 |
| გორი | 22 | 23 |
| ონი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| ახმეტა | 25 | 26 |
| სამტრედია | 31 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7380 |
| ევრო | 2.2085 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.2773 |
| რუბლი | 0.0649 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| არჩევნები | A 3 |
| პოლიტიკა | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# პროგნოზი გამართლდა

***"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ხმების 56,4 პროცენტი; საარჩევნო ბლოკი "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" - ხმების 8,1 პროცენტი; "ლეიბორისტები" - ხმების 5,2 პროცენტი; "მრეწველები" - ხმების 4,3 პროცენტი; "საქართველოს გზა" - ხმების 1,9 პროცენტი; "ეროვნული იდეოლოგიის პარტია" - ხმების 0,1 პროცენტი. ასე გამოიყურება თბილისში გუშინდელი ეგზიტპოლების წინასწარი მონაცემები.***

თამარ ასათიანი

*რაც შეეხება მთლიანად საქართველოს მასშტაბით ამომრჩეველთა არჩევანს, ცენტრალური საარჩევნო კომისია ხუთი ოქტომბრის არჩევნების შედეგების წინასწარ მონაცემებს, სავარაუდოდ, დღეს გამოაქვეყნებს. თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, სხვა ქალაქებსა და რაიონებში გამართულ არჩევნებში საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება "ნაციონალურმა მოძრაობამ" მოიპოვა. ასე რომ, ახლად არჩეულ 76 საკრებულოში უმრავლესობას სწორედ მმართველი პარტიის კანდიდატები წარმოადგენენ. აქვე შეგახსენებთ, რომ ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 მილიონ 205 ათას 634-ს შეადგენს. გუშინდელ არჩევნებში ექვსი პარტია და ბლოკი მონაწილეობდა. ამ არჩევნებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 5 მილიონ 700 ათას 550 ბიულეტენი დაბეჭდა, მათ შორის 350 ათასი - აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და ქვემო-ქართლელ და სამცხე-ჯავახეთელ ამომრჩეველს გაუგზავნა. გუშინდელ არჩევნებს 24 საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი აკვირდებოდა.*

"არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს," - ასეთი განცხადებები გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ძირითადად, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მმართველი პარტიის ოფისში ისმოდა. რეალურად, ეს ასეც იყო - რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ხმის მიცემის პროცედურა 8 საათზე დაიწყო. დილიდან მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზები იყო აღმოჩენილი. ამის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები ბრიფინგს ბრიფინგზე მართავდნენ და ამომრჩეველთა სიებში არსებულ დარღვევებზე საუბრობდნენ.


გაგრძელება A3 გვერდზე


# რუსეთის სავალუტო ფონდიდან გაგდება ემუქრება

შედეგები, რასაც რუსეთი საქართველოს ბლოკადით მოიმკის

**B**

*მიუხედავად მუქარისა, რუსეთის სათათბირომ არ დაასრულა იმ კანონპროექტზე მუშაობა, რომლის მიხედვითაც რუსეთიდან ფულადი გზავნილები გარკვეულ სახელმწიფოებში უნდა შეზღუდულიყო. არადა, დუმის სპიკერი ამ ორიოდე დღის წინ იქადნებოდა, რომ 4 ოქტომბერს აღნიშნული კანონპროექტი მზად იქნებოდა, რაზედაც რუს დეპუტატებს იმავე დღეს უნდა ემსჯელათ. რა აკავებს მეზობელ სახელმწიფოს საკუთარი მუქარის შესრულებისაგან და რა შედეგი შეიძლება მოიმკას მან საქართველოს ბლოკადით?*



# ახალი "არმია" შხარაზე

გადარჩენის შანსი - საზღვარი!




# არჩევნების ოპოზიციური ქრონიკა

*სახელისუფლებო პარტიის განცხადებით, არჩევნები კანონის სრული დაცვით მიმდინარეობდა, ოპოზიციური პარტიები კი საპირისპიროს ამტკიცებდნენ. თანაც კენჭისყრის დასრულების ვადის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მძაფრდებოდა მათი განცხადებები. "24 საათი" შეეცადა მიახლოებითი სურათი წარმოედგინა, თუ როგორ აფასებდნენ ოპოზიციური პარტიები არჩევნების მიმდინარეობას კენჭისყრის დღეს.*

### დღის პირველ ნახევარში

შუადღისთვის ოპოზიციის ლიდერებმა თბილისსა და რეგიონებში არჩევნებზე დაფიქსირებული პირველი დარღვევები შეაჯამეს.

საარჩევნო ბლოკის - "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" შეფასებით, არჩევნები არადემოკრატიულად მიმდინარეობდა. **"ამ არჩევნებმა დაგვანახა სამწუხარო რეალობა, რომ საქართველო ჯერ არ არის დემოკრატიული და ცივილიზებული სახელმწიფო. ასეთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ არჩევნებამდე განვითარებული მოვლენების გამო, რომელიც უსამართლობის, უკანონობის და ძალმომრეობის ფონზე მიმდინარეობდა,"** - განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მისი ინფორმაციით, იმ დროისათვის ყველაზე მძიმე მდგომარეობა გლდანის მე-17, 24-ე, 27-ე, 29-ე 36-ე, 49-ე საარჩევნო უბნებზე იყო. უსუფაშვილი შეშფოთებას გამოთქვამდა ამომრჩეველთა სიების უზუსტობის და ზოგიერთ საარჩევნო ბიულეტენში ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატების გამორჩენის გამო. მისი ინფორმაციით, არჩევნები ჩაიშალა ახმეტაში, მაღრაანის საარჩევნო უბანში, სადაც ბიულეტენში კანდიდატი ბიძინა მექვევრიშვილი არ იყო შეტანილი. ბლოკის წარმომადგენელთა განცხადებით, აჭარაში, ხელვაჩაურის 35-ე უბანზე ერთმა ამომრჩეველმა ერთდროულად 20 ბიულეტენი ჩაყარა, ხოლო გორში სიებში მიცვალებულთა დიდი რაოდენობა აღინიშნა. ზუგდიდში, სოფელ ჭკადუაში ამომრჩეველთა რეკორდული აქტივობა დაფიქსირდა, სოფელში, სადაც 1200 ამომრჩეველი ცხოვრობს დილის 09.00 საათამდე არჩევანი 800-მა მოქალაქემ გააკეთა.


გაგრძელება A3 გვერდზე


# არასამთავრობოთა დაკვირვება

*გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ ხმის მიცემისას დარღვევები დაფიქსირდა, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ეს დარღვევები სერიოზული არ იყო და გავლენას არ იქონიებდა არჩვენების შედეგებზე. დარღვევების გაცილებით სერიოზულ ხასიათზე ამახვილებდნენ ყურადღებას არასამთავრობო ორგანიზაციები.*

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" პირველადი მონაცემების თანახმად, არჩევნები ხარვეზებით მიმდინარეობდა. "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლები რამდენიმე საარჩევნო უბანზე არ დაუშვეს; მათ შორის - ხელვაჩაურსა და გარდაბანში. ასევე ზოგიერთ იმ უბანში, სადაც ხმას სამხედრო მოსამსახურეები აძლევდნენ. დამკვირვებელთა ინფორმაციით, რამდენიმე საარჩევნო უბანი გვიან გაიხსნა, რამდენიმე უბანზე კი, კენჭისყრა უბნის გახსნამდე ჩატარდა. ამის გამო დამკვირვებელს არ მიეცა საშუალება, კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობა დაეფიქსირებინა.

ორგანიზაციის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე დააფიქსირეს "ნაციონალური მოძრაობის" 10-15-კაციანი ჯგუფები, რომლებსაც საკუთარი სიები ჰქონდათ და უბნებზე მისულ ამომრჩევლებს აღნუსხავდნენ. ისინი არკვევდნენ, მათი რამდენი მხარდამჭერი არ მივიდა არჩევნებზე. ორგანიზაციის თავმჯდომარე თამარ ჟვანია ეჭვობს, რომ შესაძლოა ამ ამომრჩევლებზე შემდგომში ზეწოლა განხორციელდეს.

დღის მეორე ნახევარში, "სამართლიანი არჩევნების" მონაცემებით, ბოლნისის საარჩევნო ოლქის N26 უბანზე "ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებელს სცემეს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთ-ერთი კანდიდატის სიმამრი აღმოჩნდა. ამის გამო, მასსა და "ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებელს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ნაცემი "ნაციონალი" დამკვირვებელი საარჩევნო უბნის ტერიტორიიდან გააძევეს.


გაგრძელება A3 გვერდზე


# "ქართველი პოლიციელები კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ"

ქართველი სამართალდამცველების მიერ ჯაშუშობაში ბრალდებული რუსი ოფიცრები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ორშაბათს რუსულ მხარეს გადასცა, ქართულ საპყრობილეში გატარებული დღეების თაობაზე ინტერვიუებს იძლევიან.

გაზეთ **Известия**-სთვის მიცემულ ინტერვიუში პოდპოლკოვნიკი ალექსანდრ ბარანოვი და მეორე რანგის კაპიტანი ალექსეი ზავგოროდნი აცხადებენ, რომ ისინი დაკითხეს ორჯერ და გამომძიებლები მათ ხშირად არ აწუხებდნენ; თუმცა, მომხდარის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ აძლევდნენ.

**"ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნებოდა, თითქოს მათ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ"**, - აცხადებს ბარანოვი, რომლის თქმითაც, ქართველი პოლიციელები დაკავებული რუსი ოფიცრების მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ.

**"მათ მისცეს ასეთი ბრძანება და ისინი ბრძანებას ძალიან კარგად ასრულებდნენ"**, - ამბობს ბარანოვი.

გაზეთის განცხადებით, **"ქართული მხარე ირწმუნება, რომ რუს ოფიცრებს საპყრობილეში საუკეთესო პირობები შეუქმნეს, თუმცა ბარანოვი ამბობს, რომ საგამოძიებო იზოლატორში ისინი შეიყვანეს საშინელ საკანში"**.

**Известия**-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბარანოვი მართლაც აცხადებს, რომ ისინი საშინელ საკანში იმყოფებოდნენ, თუმცა - მხოლოდ ერთ დღეს.

**"იზოლატორში უმძიმესი სიტუაცია იყო. საკნის კედლები შავი იყო, წარწერებითა და ნახატებით აჭრელებული, სანთლებისგან დამწვარი. იქ ძალზე ხშირად ითიშება ელექტროენერგია და ამიტომაც, დაკავებულები საეკლესიო სანთლებით ანათებენ საკანს. მეორე დღეს გადაგვიყვანეს ციხეში, სუფთა საკანში, სადაც საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებმა გვინახულეს და გვითხრეს: გამაგრდით, ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ ჩვენი მოქალაქეები ვიხსნათო"**, - განაცხადა ბარანოვმა.


გაგრძელება A2 გვერდზე

## მოკლედ

### განსასჯელებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა პატიმრებმაც მიიღეს. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, არჩევნებში მონაწილეობა მე-5 იზოლატორში მყოფმა - 68, ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორში - 110-მა, ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში - 37-მა და ბათუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა 4-მა პატიმარმა მიიღო. მათივე ინფორმაციით, იზოლატორში არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა და არანაირი ექსცესი არ დაფიქსირებულა. ერთადერთი გამონაკლისი ბათუმის იზოლატორში მყოფი პატიმარი აღმოჩნდა, რომელმაც ადვოკატის გარეშე ხმის მიცემაზე უარი განაცხადა. კანონმდებლობით, მსჯავრდებულებს არჩევნებში მონაწილეობსი მიღება ეკრძალებათ. **ინტერპრესნიუსი**

### ტერაქტის მოწყობაში ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, ოჩამჩირელ 47 წლის გიზო გაბედავას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულაში მცხოვრები გაბედავა შს სამინისტროს ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა გაბედავა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის პირობით საზღვარზე 2 ოქტომბერს დააკავეს. დაკავებისას გაბედავას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 200 გრამი ტროტილი, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, ხელყუმბარა და ვაზნები აღმოაჩნდა.

გაბედავამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მისგან ამოღებული არსენალი მან ზუგდიდიდან გადაიტანა აფხაზეთში თავდაცვისა და გარკვეული შესაძლო გამოყენების მიზნით. "რადგან მისი გამოყენების საშუალება არ მომეცა, არსენალი ისევ ზუგდიდში უნდა გადმოეტანა", - განაცხადა სასამართლო პროცესზე გაბედავამ. გაბადავას ვერსიის გარდა არსებობს ვერსია, რომ მას არსენალი ზუგდიდში ჯერჯერობით დაუდგენელი პირისთვის უნდა გადაეცა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნების დღეს - 5 ოქტომბერს სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში, სავარაუდოდ, ტერაქტის მოსაწყობად იყო განკუთვნილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფინანსური პოლიცია საბაჟო წესის დარღვევის ფაქტს იძიებს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

საქმე საქართველოს მოქალაქეს სამედ ჰუსეინოვს ეხება, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა ის "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტით აზერბაიჯანში ავტომანქანის ნაწილების და ღვინო "ქინძმარაულის" გადატანას ცდილობდა. ჰუსეინოვს "იკარუსის" მარკის ავტობუსში სპეციალური სამალავები აქვს მოწყობილი, რისი მეშვეობითაც ტვირთი საბაჟოს გვერდის ავლით უნდა გადაეტანა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ტვირთს ექსპერტიზა უტარდება. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დამალული საბაჟო გადასახადის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება. ამჟამად ჰუსეინოვის დაკითხვა მომდინარეობს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით დაიწყო, რაც საბაჟო წესის დარღვევას გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

### ბიუჯეტი დაზარალდა

2006 წლის 24 სექტემბერს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამმართველოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე თერჯოლაში შპს "ზორანი"-ს ხელმძღვანელი პირების მიერ ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე. მოგვიანებით კი საქმე, შემდგომი გამოძიების მიზნით, იმერეთის საოლქო პროკურატურაში გადაიგზავნა. როგორც სამართალდამცველებმა დაადგინეს, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ამბროლაურის განყოფილების უფროსმა - ციცინო ლეკიშვილმა 2004-2005 წლებში ინდმეწარმე "ფრიდონ (ფირუზი) ხუციშვილზე" გაცემულად აჩვენა ოთხი კომპლექტი მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადები. აღნიშნული სასაქონლო ზედნადებებით განხორციელდა ხე-ტყის მასალის ყიდვა-გაყიდვის ფიქტიური სასაქონლო ოპერაციები, რის გამოც, არ მოხდა სამეწარმეო საქმიანობიდან რეალურად მიღებული შემოსავლების გაანგარიშება და შესაბამისი დაბეგვრა. ამან კი, გამოძიების მტკიცებით, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ციცინო ლეკიშვილს ბრალი წარედგინა სსკ-ის 210-ე მუხლით - ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება და 332-ე მუხლით - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით კი, მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. **24 საათი**

### მოსკოვი ქართველი მკლავჭიდელის მკვლელობის ფაქტს უარყოფს

მოსკოვში ქართველი სპორტსმენის გია გვიჩიანის მკვლელობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც "რია ნოვოსტი" აცხადებს, ამის შესახებ მათ მოსკოვის პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა. ინფორმაცია ცნობილი ქართველი მკლავჭიდელის გია გვიჩიანის მკვლელობის შესახებ გუშინწინ საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის პრეზიდენტმა სოსო ჯაჭვლიანმა გაავრცელა, რომლის განცხადებით, მას რუსეთის დედაქალაქიდან გვიჩიანის ნათესავი დაუკავშირდა, რომელმაც გარდაცვლილის სამშობლოში გადმოსვენებაში დახმარება სთხოვა. გვიჩიანის მკვლელობა ჯაჭვლიანმა რუსეთ-საქართველოს შორის ბოლოდროინდელ გართულებულ მდგომარეობას დაუკავშირა. **ინტერპრესნიუსი**

### პენზაში ოთხი ქართველი ნარკოდილერი დააკავეს

პენზაში სამართალდამცავებმა ნარკოდაჯგუფების მოღვაწეობა აღკვეთეს.

როგორც შსს-ს პენზის სამმართველოს ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა ალექსანდრე გულიაკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, დაჯგუფების დაკავებული ოთხი წევრი საქართველოს მოქალაქეა. ისინი ჰეროინის მსხვილი პარტიის გავრცელებისას დააკავს. სავარაუდოდ, დაჯგუფების წევრები ნარკოტიკის გავრცელებას, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში ეწეოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთში ქართული ტრაილერები დააკავეს

ნოვოროსიისკის პორტში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დააკავა ფართო მოხმარების საგნებით დატვირთული შვიდი ქართული სატვირთო ტრაილერი.

ნოვოროსიისკის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, ავტომობილები დააკავეს რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც, საქართველოსთან ყოველგვარი კავშირი წყდება. ავტომობილები ნოვოროსიისკში ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა "სერდეცმა" მიიყვანა. გემზე განთავსებული დანარჩენი ავტომობილები დაუბრკოლებლივ შევიდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. **მედიანიუსი**

# "ქართველი პოლიციელები კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ"

პირველი გვერდიდან

რუსი ოფიცრების განცხადებით, ციხეში მათ დილით ბურღულის ფაფითა და ჩაით უმასპინძლდებოდნენ, ხოლო შუადღისას თეთრ პურსა და წვნიანს აჭმევდნენ. **"ეს იყო ძალიან უგემური რამ",** - ამბობს ბარანოვი; ზავგოროდნი კი საპასუხოდ ამბობს: **"ეს ხომ ციხე იყო და არა დასასვენებელი სახლი. სხვათა შორის, შსს-ს იზოლატორში გვკვებავდნენ უგემრიელესი ხორციანი ბორშით. ბადრაგი გვექცეოდა ძალიან კორექტულად. შეიმჩნეოდა, რომ მათ ამის შესახებ ბრძანება ჰქონდათ მიღებული. ქართველ პოლიციელთა კარგი დამოკიდებულება ჩვენთვის გახდა იმის მანიშნებელი, რომ მალე გაგვათავისუფლებდნენ"**.

პოდპოლკოვნიკ ბარანოვის განცხადებით, დაკავებისას მასზე მოახდინეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, როცა ბათუმიდან თბილისში ჩამოყვანილს აჩვენეს ტელესიუჟეტი, რომელშიც საუბარი იყო ჯაშუშობაში ბრალდებული ორი რუსი ოფიცრის დაკავებაზე.



*ჯაშუშობაში ბრალდებული ბარანოვი და ზავგოროდნი რუსეთში ალაპარაკდნენ.*

**"მაშინვე მივხვდი, რა ხდებოდა და განვაცხადე, რომ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის გარეშე არც ერთ შეკითხვას არ ვუპასუხებდი. სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი - ახალგაზრდა გოგონა, სულ დუმდა. ერთადერთხელ დამელაპარაკა და მირჩია, ყველაფერი მეღიარებინა. გამომძიებლებმა მაჩვენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილი და ერთმანეთს უთხრეს, - ეს მუხლი 8-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებსო",** - აცხადებს ბარანოვი. რუსი სამხედროების განცხადებით, საპყრობილეში მათ შეხვდნენ წითელი ჯვრის წარმომადგენლები, რომლებიც დაკავებულებს გაესაუბრნენ, მაგრამ საკმაოდ ნეიტრალურები იყვნენ.

**"ორშაბათს დილით მოგვიტანეს ნივთები და მივხვდით, რომ გვათავისუფლებდნენ. მთელი დღე დაძაბულები ვიყავით. ბოლოს გვითხრეს: აიღეთ ნივთები და გამოდით. მოვიდა ქართველი პოლიციელი და გვითხრა: იცით, სად მიდიხართ? მალე გაიგებთ. როცა მოგვხსნეს ბორკილები და ეუთო-ს მანქანაში ჩაგვსვეს, ეუთო-ს წარმომადგენელმა გვითხრა: ახლა ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებით, მალე სახლში იქნებით. მოსკოვში ჩასულებს თავდაცვის მინისტრი დაგვხვდა",** - იხსენებენ რუსი სამხედროები.

ჟურნალისტის შეკითხვაზე - საჭიროა თუ არა იმ სანქციების გამოყენება, რასაც საქართველოს მიმართ რუსეთი იყენებს? - ოფიცრები ასე პასუხობენ: **"ჩვენ სამხედროები ვართ, ჩვენი საქმე არ არის დიდი პოლიტიკის ლაბირინთებში ჩახედვა".**

# ავადმყოფ პატიმართა ციხიდან გათავისუფლების ერთადერთი გზა - სიკვდილი

*მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის, ყველაზე არაჰუმანური საბჭოთა კანონმდებლობაც ითვალისწინებდა, მძიმე ავადმყოფი პატიმრის ვადაზე ადრე ("აქტიროვკით") გათავისუფლებას. ნებისმიერი სახელმწიფო, ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სიკვდილისთვის განწირულ მსჯავრდებულს საკუთარ სახლში გარდაცვალების უფლებას უტოვებს.*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში გარდაცვლილი ათობით პატიმარი სხვადასხვა უმძიმესი ავადმყოფობით იყვნენ დაავადებულნი და მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგა ხნის განმავლობაში სამკურნალო დაწესებულებებში იყვნენ მოთავსებულნი, მათი განკურნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მძიმე სენით დაავადებული ავადმყოფები ექვემდებარებიან "აქტიროვკას" და ასეთი დაავადებების სია ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც არსებობს. თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, მიმდინარე წლის 9 მარტს შეტანილი ცვლილებებით, აღნიშნული სია ისე შემცირდა, რომ, როგორც ადამიანის უფლებების დამცველები ამბობენ, პატიმარს ციხიდან თავის დაღწევა მხოლოდ სიკვდილით შეუძლია. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ჯანდაცვის მინისტრს და მოითხოვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში 9 მარტის ცვლილების გაუქმება და სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებელ დაავადებათა სიის გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პატიმართა უფლებების დაცვა.

მიუხედავად ომბუდსმენის და პატიმართა უფლებების დამცველი სხვა ორგანიზაციების მოთხოვნისა, აღნიშნული პრობლემის მოგვარება ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

26 სექტემბერს, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში კიდევ ერთი - 30 წლის პატიმარი, ნ. ჩ. გარდაიცვალა (ვინაიდან, აღნიშნული პატიმარი შიდსით იყო დაავადებული, მისი ვინაობა არ სახელდება).

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ნ.ჩ. 5 აგვისტომდე ბათუმის N3 საპყრობილეში იყო მოთავსებული და სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობამ მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის გადაწყვეტილება მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად მიიღო.

ნ.ჩ-ს ადვოკატმა სახალხო დამცველის ოფისს 5 აგვისტოს მიმართა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისთვის დახმარება სთხოვა. ადვოკატის ინფორმაციით, პატიმარს სახისა და სხეულის მარჯვენა მხარეს წართმეული ქონდა მოძრაობის უნარი. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა იმავე დღეს ინახულეს პატიმარი, დააფიქსირეს მისი ფიზიკური მდგომარეობა და იშუამდგომლეს ნ.ჩ.-ს ბათუმის N1 საავადმყოფოში გადაყვანა. საავადმყოფოში პატიმარს დაუდგინდა ქალა-ტვინის ცეცხლნასროლი ჭრილობის გართულებილი მდგომარეობა, უცხო სხეული - ძვლოვანი ფრაგმენტები შუბლ-თხემის არეში მარცხნივ, თხემის წილის პოსტტრავმული კისტა, ეპილეფსია და აივ ინფექცია.

18 აგვისტოს უმძიმესი ავადმყოფი პატიმარი ბათუმის N1 საავადმყოფოდან თბილისის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს და მხოლოდ 4 სექტემბერს გადაიყვანეს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში.

**"ის ფაქტი, რომ დამბლადაცემული პატიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მოხდა, თავისთავად ხაზს უსვამს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა უგულისყურობასა და გულგრილობას ადამიანთა სიცოცხლისა და მათი ჯანმრთელობისადმი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ბოლო დროს გახშირებული სიკვდილიანობა, ხშირ შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობით არის გამოწვეული",** - აღნიშნულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

# გრძელდება სადამსჯელო ოპერაციები ქართველების წინააღმდეგ

გუშინ, საღამოს რუსეთის შსს-ს ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩაატაროს ოპერატიული ღონისძიებები ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ლიდერების, მათ შორის , ქართველი "ავტორიტეტების" წინააღმდეგ. რუსეთის შსს-ს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, **"ღონისძიების ჩატარება ოპერატიული ინფორმაციის შემდეგ გადაწყდა. მოპოვებული ინფორმაციით, კრიმინალური დაჯგუფების ლიდერები იკრიბებოდნენ "ქურდული შეკრების", ე.წ. სხოდკის ჩასატარებლად."** რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, "კრიმინალურმა ავტორიტეტებმა" შეკრების ჩატარება გადაწყვიტეს რესტორან Золотой слон-ში. შემოწმებისას რესტორანში აღმოჩნდა 16 ადამიანი, მათ შორის - ოთხი "კანონიერი ქურდი" - "ედიკ თბილისელი", "ტიმოხა", "კაშეი" და "პიჩუგა". რუსეთის შსს-ს განცხადებით, "სხოდკის" მონაწილეებს იცავდნენ კერძო დაცვის წარმომადგენლები. დოკუმენტების შემოწმებისას ერთ-ერთმა "კანონიერმა ქურდმა" მილიციელებს ყალბი დოკუმენტები წარუდგინა. "კანონიერი ქურდები" დაკავებულნი არიან.

გუშინვე რუსეთის შსს-მ გასართობი კომპლექსის Golden Palace Weekend-ი შეამოწმა და მისი მუშაობა შეაჩერა - მოსკოვის ცენტრში მდებარე სამორინე დალუქულია.

როგორც შსს-ს პრეს-ცენტრი იუწყება, სამინისტროს ეკონომიკური უსართხოების დეპარტამენტმა სამორინეში შემოწმება ჩაატარა და რიგი დარღვევები გამოავლინა.

ცენტრში ფუნქციონირებს 58 სათამაშო მაგიდა და 144 სათამაშო ავტომატი, რომელთა ფლობის კანონიერი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელმძღვანელობას არ აღმოაჩნდა. მომსახურე პერსონალს კი სანიტარიული-სამედიცინო წიგნაკები არ ჰქონდა.

**" Golden Palace Weekend-ის მუდმივ სტუმრებს შორის საქართველოდან ჩამოსული კრიმინალური ავტორიტეტები იყვნენ",** - აცხადებენ შსს-ს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში. მათივე მტკიცებით, კაზინოში უამრავი სხვა დარღვევაც აღმოჩნდა.

Golden Palace Weekend-ში საგანგებო კართოტეკა მოქმედებდა, სადაც პროვილეგირებული სტუმრები იყვნენ აღნიშნულნი. კართოტეკა მათ პასპორტის ქსეროასლებს, ფოტოებს, ვიდეოჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტაციას მოიცავდა. რუს სამართალდამცველთა მტკიცებით, კართოტეკა უკანონოდ არის შედგენილი. რუსეთის შსს-ს მტკიცებით, კაზინოს ყოველდღიური ბრუნვა მილიონ დოლარს აღწევს. თანხის მნიშვნელოვან ნაწილს, კრიმინალური ავტორიტეტები ისაკუთრებდნენ. გუშინვე დაიხურა კაზინო Баккара .

როგორც ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, კაზინოში უამრავი კანონდარღვევაა აღმოჩენილი. ბარში უაქციზო სიგარეტი და ალკოჰოლური სასმელებია აღმოჩენილი, დახლქვეშ კი - ხიზილალა და თევზი. ეს მე-4 კაზინოა, რომელიც ბოლო 2 დღის განმავლობაში დაიხურა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ქართველ კრიმინალებთან კავშირის საბაბით მოსკოვში კიდევ 2 კაზინო დაიხურა - "კრისტალი" და "გოლდენ პალასი".

რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, დახურულ კაზინოებს ის კრიმინალური ჯგუფი აკონტროლებდა, რომელიც აკონტროლებდა რამდენიმე დღის წინ დახურულ სამორინე "კრისტალს". საუბარია ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტებზე, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობთ არ ხმაურდება. მოსკოვის ქართული რესტორნების მეპატრონეთა ნაწილი ბოლო დღეებში გახშირებულ შემოწმებებს უჩივის. ზოგიერთ რესტორანში კლიენტების რაოდენობამაც იკლო. "ინტერფაქსის" ინფორმაციით, რესტორნებს სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა მაკონტროლებელი უწყებების თანამშრომლები ერთობლივად ამოწმებენ.

ერთ-ერთი რესტორნის გენერალური დირექტორის დავით კაკაჩიას თქმით, **"ეს ყველაფერი ფაშისტური გერმანიის პერიოდს ჰგავს, როდესაც ებრაელებზე ნადირობა იყო გამოცხადებული".**

თუმცა, რუსეთის ძალოვანი სტრუქტურები უარყოფენ მათ მიერ ჩატარებული ღონისძიების კავშირს რუსეთის მიერ შემოღებულ სანქციებთან და ცენტრების დახურვას კანონის ზოგიერთი პუნქტის დარღვევით ხსნიან.


# უფრო მეტი ვიდრე ჩვეულებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

თითქმის უკვე ერთი წელია, რაც თბილისში ჯანმრთელობის ცენტრი "ჩემი ოჯახის კლინიკა" ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ არცთუ ისე ხანგრძლივი არსებობის პერიოდში კლინიკა მოემსახურა 7000-ზე მეტ პაციენტს. "ჩემი ოჯახის კლინიკა" ყველა დაინტერესებულ პირს, როგორც ოჯახის ექიმის, ასევე სხვადასხვა პროფილით მოღვაწე, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მედიკოსთა კონსულტაციებს სთავაზობს. "ჩემი ოჯახის კლინიკა" უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებია დანერგილი. კლინიკაში შესაძლებელია სრული ამბულატორიული მომსახურების მიღება თანამედროვე ლაბორატორიულ/ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩათვლით. აღსანიშნავია ისიც, რომ კლინიკის ადგილმდებარეობა ხელსაყრელია, იგი მდებარობს ქალაქის ცენტრში. ჯანმრთელობის ცენტრზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად დავუკავშირდით "ჩემი ოჯახის კლინიკის" დირექტორს ნიკა გამყრელიძეს.

**1. ბატონო ნიკა, თბილისში უკვე არსებული და საკამოდ ცნობილი კლინიკებისგან განსხვავებით რა სიახლე შეგიძლიათ შესთავაზოთ მომხმარებელს?**

- დავიწყებ იქიდან, რომ "ჩემი ოჯახის კლინიკა" გაიხსნა 2006 წლის თებერვალში. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკა არცთუ ისე დიდი ხანია მოღვაწეობს, ის მაღალკვალიფიციურად მოემსახურა საკმაოდ დიდი რაოდენობის პაციენტებს. "ჩემი ოჯახის კლინიკის" ჩამოყალიბების პროცესში გავითვალისწინეთ ყველა ის დეტალი, რაც პაციენტს სამედიცინო მომსახურებების მიღებას გაუადვილებდა და მაქსიმალურად შევეცადეთ კლინიკაში კომფორტული გარემო შეგვექმნა. სხვა კლინიკებისგან განსხვავებით "ჩემი ოჯახის კლინიკის" ერთ-ერთ ყველაზე დიდ უპირატესობად მიმაჩნია ის, რომ კლინიკაში საკმაოდ აქტიურად მუშაობს ოჯახის ექიმის სამსახური, რომელსაც უძღვებიან სპეციალურად გადამზადებული (ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის პროექტის ფარგლებში DFID) ოჯახის ექიმები, რომლებიც პატრონაჟს უწევენ ცალკეულ პაციენტს ან მის მთლიან ოჯახს, აწარმოებენ ელექტრონულ ავადმყოფობის ისტორიებს თითოეულ პაციენტზე, ახდენენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, რათა შემდგომი გართულებები თავიდან იქნეს აცილებული. "ჩემი ოჯახის კლინიკაში" წინასწარ ჩაწერის სისტემა მოქმედებს, რაც თითოეულ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, დანიშნულ დროს გაიკეთოს მისთვის სასურველი სამედიცინო გამოკვლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლად დანერგილი ოჯახის ექიმის ინსტიტუტი შეიქმნა იმისთვის, რომ თითოეული მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მუდმივი კონტროლის ქვეშ იყოს.

"ჩემი ოჯახის კლინიკა" ემსახურება ნებისმიერს, ვისაც სურს მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, იქნება ეს პიროვნება დაზღვეული თუ არა დაზღვეული.

**2. რამდენად კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ თქვენს კლინიკაში?**

- მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროექტის დაწყებისთანავე ჩვენთვის უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურების შეთავაზება. ამიტომაც აქცენტი თავიდანვე გავაკეთეთ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და ქართული საზოგადოებისთვის ცნობილ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიკოსებზე. ჩვენს კლინიკაში მუშაობენ სამედიცინო სფეროში ისეთი ცნობილი სახეები როგორებიც არიან გოგი ბოჭორიშვილი, გიორგი მანაგაძე (უროლოგია), ლადო კახაძე (ექოსკოპია), თათია ტუღუში (გინეკოლოგია), სოსო კობახიძე (დერმატოლოგია), შურა ჩიჩუა (ოფთალმოლოგია) რევაზ ციციშვილი (მამოლოგია) და ა.შ. ეს ის ექიმები არიან, ვინც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობენ არა მარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთის სამედიცინო სფეროში და შესაბამისად დაგროვილი აქვთ უაღრესად დიდი გამოცდილება.

**3. რა სახის სამედიცინო მომსახურებების მიღებას შეძლებს პაციენტი?**

- ჩემი ოჯახის კლინიკაში შეგიძლიათ მიიღოთ ფაქტობრივად სრული ამბულატორიული მომსახურება ფართო სპექტრის ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩათვლით. ეს იმას ნიშნავს, რომ პაციენტს ჩვენს კლინიკაში ერთი მისვლით კომპლექსური სამედიცინო მომსახურების მიღება შეუძლია, რაც ვთვლი, რომ უფრო მოსახერხებელია ვიდრე დროის ხარჯვა სხვადასხვა კლინიკებში სიარულით. აღსანიშნავია ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ პაციენტი ვერ ახერხებს ჩვენთან მოსვლას, ჩემი ოჯახის კლინიკა თითოეულ პაციენტს უზურუნველყოფს სახლში თუ ოფისში ყველანაირი ლაბორატორიული მომსახურებითა და კონსულტაციით პაციენტისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში. ჩვენთან ასევე საკმაოდ წარმატებით მუშაობს პედიატრიული სამსახური, რომელიც მუდმივ პატრონაჟს და მეთვალყურეობას უწევს ბავშვების ჯანმრთელობას (სამედიცინო კონსულტაციები ბინაზე, ტელეფონით და ა.შ.). "ჩემი ოჯახის კლინიკის" სტრატეგიული პარტნიორია ავერსის სააფთიაქო ქსელი, რომელიც კლინიკაში მედიკამენტების გამოწერის შემთხვევაში მათ მოტანას ადგილზევე უზრუნველყოფს.

აქვე მინდა უფრო კონკრეტულად ჩამოვთვალო ის სამედიცინო მომსახურებები, რომლებიც ჩვენთან შეგიძლიათ ჩაიტაროთ: ულტრაბგერითი გამოკვლევები (ნებისმიერი სისტემის ექოსკოპია; ექომამოგრაფია), გინეკოლოგის, უროლოგის, პედიატრის, ნევროპათოლოგის, ოტო-რინო-ლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, ენდოკრინოლოგის, დერმატოლოგის კონსულტაციების მიღება, ლაბორატორიული გამოკვლევების სრული სპექტრი, საჭიროებისამებრ კლინიკაში მოწვეულ იქნებიან, გასტრო-ენტეროლოგი, ანგიოლოგი, ინფექციონისტი.


**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# არჩევნების ოპოზიციური ქრონიკა

პირველი გვერდიდან






სერიოზულ დარღვევებზე საუბრობდნენ "საქართველოს გზის" წარმომადგენლებიც. მოძრაობის პრესსამსახურში "24 საათს" განუცხადეს: **"ნაძალადევის რაიონში თითქმის ყველა უბანზე შეინიშნება უხეში დარღვევები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მე-60, 21-ე, მე-6 და 29-ე უბნები. უბნების ტერიტორიებზე, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, იმყოფებიან პოლიციელები. დარიალის ქუჩაზე, მე-13 უბანზე, ამ წუთებში დგას ცხრა ადამიანი სახლმმართველობიდან და აგიტაცას უწევს ხალხს, ხმა მისცენ ნაციონალურ მოძრაობას. ბევრ უბანში დამკვირვებლებს აცვიათ მაისურები ნომრებით, რაც აგიტაციად ითვლება. დილით დიდუბეში ჩვენი მოძრაობის ორ-ორ დამკვირვებელს არ უშვებდნენ უბნებზე. განმარტება ასეთი იყო: მხოლოდ ერთი არის დაშვებული. სინამდვილეში იქ ჩვენი ორ-ორი დამკვირვებელი იყო დარეგისტრირებული".**

"ლეიბორისტების" ძირითადი პრეტენზიები მოუწესრიგებელ საარჩევნო სიებსა და მმართველი პარტიის აქტიურ აგიტაციას უკავშირდებოდა. **"თემქის 42-ე უბანზე ლეიბორისტული პარტიის 30-40 წარმომადგენელი სიაში არ აღმოჩნდა. სამგორისა და ისნის რაიონებში პენსიონერებს მოუწოდებდნენ, ნომერი 5 შემოეხაზათ. დიდ დიღომში "ნაცმოძრაობის" კოორდინატორები დაჰყვებიან საარჩევნო ყუთებს ავადმყოფების ოჯახებში და ამომრჩეველს ამგვარი ფორმით აიძულებენ, შემოხაზონ "ხუთი". ვაკეში თითქმის ყველა უბანზე აქტიურობენ "ნაციონალების" აქტივისტები. მათ ხელში უჭირავთ გამზადებულ სიები და ამომრჩევლები იძულებით გაჰყავთ სახლიდან საარჩევნო უბნებისკენ... იგივე ხდება რეგიონებში. მთელი ბათუმი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ქალაქის ქუჩებში დადიან "პატრიოტები" და პირდაპირ მოუწოდებენ მოსახლეობას, ხმა "ნაციონალებს" მისცენ."** ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა ლეიბორისტულმა პარტიამ "24 საათს"

## დღის მეორე ნახევარში

ამ დროისთვის, "მრეწველთა" შეფასებით, არჩევნები უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა. **"ხელისუფლების მცდელობა, გააყალბოს არჩევნები, ცუდად დამთავრდება. ჩვენ უკვე გვასწავლეს რევოლუციების განხორციელება და ფრთხილად უნდა იყვნენ"**, - განაცხადა "მრეწველთა" წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მოძრაობა "საქართველოს გზის" წევრები "24 საათს" ესაუბრნენ ვაკის საარჩევნო უბნებში დატრიალებულ კარუსელსა და მათი წარმომადგენლების შეზღუდვის ფაქტებზე სხვადასხვა უბნებში: **"ჩვენს დამკვირვებლებს ბევრ უბანზე ჩაგრავენ, მათ ოქმის დაწერის საშუალებას არ აძლევენ. ამგვარი შეზღუდვის გამო, ნაძალადევში, მე-60 საარჩევნო უბანზე საქმე ჩხუბამდეც კი მივიდა. "საქართველოს გზის" წარმომადგენელს არ დააწერინეს ოქმი. ბოლოს იგი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, რადგან ჩვენ ხელს არ გვაძლევს სიტუაციის გამწვავება და საარჩევნო უბნის დაკეტვა..."**

17.00 საათისათვის "ლეობორისტების" "საარჩევნო ქრონიკა" მრავალფეროვანი იყო: **"დიდუბეში, 27-ე უბანზე, ჩვენს აქტივისტებს, რომლებიც უკანონობის აღკვეთას ცდილობდნენ, "ნაციონალების" აქტივისტებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ დროს იქ იმყოფებოდა დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატი ჭელიძე; ნაძალადევში, ჩარგლის ქუჩაზე, შუქი გამორთეს რამდენიმე უბანზე. ამბობენ, რომ ავარია მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიბნელეში ბიულეტენებს კარგად გააყალბებენ; ლოტკინზე, სამღერეთის ქუჩაზე, "ნაციონალების" დახლოებით ოცი კოორდინატორი საარჩევნო უბნის წინ იდგა და თამამად არიგებდა საარჩევნო ბიულეტენებს; ისანში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, მე-18 უბნის წინ სხედან ნაცმოძრაობის კოორდინატორები და დაუფარავად მართავენ სიტუაციას; ვაკეში, მშნებარე სახლებში, ჯერ კიდევ არმცხოვრებ ამომრჩევლებზე არის გაწერილი საარჩევნო ბარათები. საუბარია დახლოებით ხუთი ათას ოჯახზე."**

ამავდროულად, მრეწველთა პარტია "კარუსელებში" მონაწილე ავტომანქანების სანომრე ნიშნებს აქვეყნებს. "მრეწველთა" პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მთაწმინდა-კრწანისის საარჩევნო ოლქის ტერიტორიზე 6 უცხოური ავტომანქანა მოძრაობს, რომლებიც ე.წ. საარჩევნო "კარუსელის" დატრიალებაშია ეჭვმიტანილი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, განცხადებას უკვე "მრეწველთა" პარტიის ლიდერი გოგი თოფაძე აკეთებს. გოგი თოფაძე აღშფოთებულია იმის გამო, რომ ბევრმა ამომრჩეველმა საარჩევნო სიებში საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა. მისი განმარტებით, მსგავსი პრეტენზიით მრეწველთა პარტიის საარჩევნო შტაბს და პირადად მას, საკუთარ სახლში 400-მდე ადამიანმა მიაკითხა. მისი თქმით, სიებში თვით პარლამენტის წვრებიც არ იყვნენ. **"მოქალაქე სასურველ კანდიდატს თავის ხმას თუ ვერ მისცემს, ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს?"** - აღნიშნა თოფაძემ.

მოგვიანებით, ლეიბორისტულმა პარტიამ ეუთო-ს სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, ცესკოს თავმჯდომარეს და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას განცხადება გაუგზავნა. "ლეიბორისტებმა" საარჩევნო პროცესების დემოკრატიულობა ეჭვქვეშ დააყენეს.

"ლეიბორისტული პარტიის" ინფორმაციით, 3 ოქტომბერს, საღამოს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნაძალადევის რაიონის ოლქის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელებს შეხვდა და განუცხადა, რომ არჩევნებში "ლეიბორისტული პარტიის" გამარჯვების შემთხვევაში, მათ სამსახურიდან გაათავისუფლებდა.

## საარჩევნო უბნები დაიხურა

ზუსტად რვა საათზე, საარჩევნო უბნების დახურვისთანავე, ტელევიზიის პირდაპირი ეთერით ცნობილი ხდება "ბი-სი-ჯი"-ს მიერ ჩატარებული ეგზიტპოლების წინასწარი მონაცამები (17.30 საათის მდგომარეობით).

"დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა ეგზიტპოლების მონაცემებზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მისი განმარტებით, ადგილობრივ არჩევნებზე ბრძოლა სახელმწიფო ბიუჯეტსა და ოპოზიციას შორის მიდიოდა. **"მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს არ ჰქონდა კონსტიტუციური უფლება, ხმის მიცემის დროს საარჩევნო პროპაგანდას ეწეოდა. ჩვენთვის მისაღებია ნებისმიერი ადგილი, რომელიც ადეკვატური იქნება, რადგან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბებაში შევარდნაძის ხელისუფლებას გაასწრო და ასლან აბაშიძის ხელისუფლებას მიუახლოვდა,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ეგზიტპოლების პირველად მონაცემებს აპროტესტებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძეც. მისი აზრით, არასწორია ეგზიტპოლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, "ლეიბორისტები" ოპოზიციური პარტიებს შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. ჯიბლაძემ განაცხადა, რომ ეგზიტპოლები ხელისუფლების მიერაა დაფინანსებული. მან ხელისუფლებისგან მოითხოვა "რეალური შედეგების" გამოქვეყნება: **"ჩვენი აქტივის, ჩვენი ადამიანების, ჩვენი მხარდამჭერების მონაცემებით, ლეიბორისტული პარტია პირველ ადგილზეა. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ, დათვალოს ხმები და რეალური შედეგი გამოქვეყნოს"**

"მრეწველების" ლიდერმა და თბილისის მერობის კანდიდატმა გოგი თოფაძემ ეგიტპოლებს უნდობლობა გამოუცხადა. **"საარჩევნო ბარიერს გადავლახავთ. ჩვენ არ ვენდობით ეგიტპოლებს. არჩევნები ჩვენთვის მაშინ დასრულდება, როცა საბოლოო შედეგები იქნება,"** - აცხადებს გოგი თოფაძე.

უბნების დახურვიდან ორი საათის შემდეგ "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა სატელევიზიო ეთერით განაცხადა, რომ "სახელისუფლებო ინსტიტუტების ხელში მყოფ" ეგზიტპოლებს ნაკლებად ენდობა და არჩევნების რეალურ შედეგზე ისაუბრებს მას შემდეგ, როცა ოქმებს გაეცნობა.

სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, გუშინდელი არჩევნები გამოირჩეოდა "ყოველგვარი დარღვევით". დარღვევებზე საუბრისას მან ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე უშუალოდ არჩევნების დღეს. მიუხედავად იმისა, რომ "საქართველოს გზის" ლიდერი ჩვენს სასამართლო სისტემას ნაკლებად ენდობა, კანონდარღვევების გასაჩივრებას მაინც აპირებს.

*24 საათი*

# არასამთავრობოთა დაკვირვება

პირველი გვერდიდან



სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, დაახლოებით 16 საათისათვის, მარკირების პროცედურასთან დაკავშირებით დარღვევებიც დააფიქსირეს.

**"გლდანის საარჩევნო ოლქის N39 და ფოთის N8 უბნებზე მარკირების აპარატი გაფუჭებულია და ხმის მიცემის პროცედურა მარკირების გარეშე მიმდინარეობს. ასევე, ქუთაისის საარჩევნო ოლქის N29 უბანზე შეამჩნიეს ერთი და იგივე ამომრჩევლები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეობა რამდენჯერმე მიიღეს. ამავე უბნის რეგისტრატორი ინგა ჩაკვეტაძე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამომრჩევლებს მარკირებას არ უკეთებდა. თბილისშიც, მთაწმინდასა და საბურთალოს საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა ცალკეული ფაქტები, როდესაც ამომრჩევლებს ეკითხებოდნენ, გაუკეთონ თუ არა მარკირება. გარდა ამისა, მოქალაქეებს მარკირებას კანონდარღვევით, საარჩევნო უბანზე, შესასვლელშივე უკეთებდნენ','** - აცხადებს თამარ ჟვანია.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" დამკვირვებლებმა ყველაზე მეტი დარღვევა მარნეულის რაიონის საარჩევნო უბნებზე დაფიქსირეს. **"მარნეულის N3 საარჩევნო უბანზე არ ჰქონდათ სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი. არ ჩატარებულა წილის ყრა, კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრთა შორის თავად გადაანაწილა ფუნქციები, არ კეთდებოდა მარკირება და ამომრჩევლები ბიულეტენს ყუთში კონვერტის გარეშე აგდებდნენ. კანონის თანახმად, ასეთი ბიულეტენები ბათილად იქნება ცნობილი. ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა მარნეულის N55-ე უბანზეც, N56 უბანზე კი არ ტარდებოდა მარკირება და კომისიის წევრებმა არ იცოდნენ ქსეროქსის აპარატის გამოყენება. ასევე, არ იყო გამოკრული სადემონსტრაციო ოქმი, რითიც საჯაროების პრინციპი ირღვევა. გარდა ამისა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება რამდენჯერმე აძლევდა ხმას,"** - აღნიშნა კოკი იონათამიშვილმა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გუშინ მთელი დღის განმავლობაში დარღვევებს ამხელდა. საია-ს მონაცემების მიხედვით, საარჩევნო სიებში სერიოზული ცდომილებებია. დიდი ლილოს დასახლების სოფელ ნასაგურში, მოსახლეობის ინფორმაციით, საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" მხარდამჭერები არ არიან სიებში, ხოლო "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები აბსოლუტურად ყველანი არიან რეგისტრირებულნი - ამგვარი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ ახალგაზრდა იურისტებმა.

საია-ს განცხადებით, მე-19 უბანში კომისიის მხოლოდ სამი წევრი აღმოჩნდა. კანონის მიხედვით, კომისიაში არანაკლებ 5 წევრი უნდა ყოფილიყო. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ანა დოლიძის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი, შესაძლოა, უბნის დახურვის საფუძველიც კი გამხდარიყო, თუმცა, უბანი გაიხსნა და ფუნქციონირებდა.

ანა დოლიძის განმარტებით, ვინაიდან ამ არჩევნებისთვის უბნების გეოგრაფიული მდებარეობა შეიცვალა, მოქალაქეებმა არც იციან, რომელ უბანში არიან რეგისტრირებულები. ყველა ამ დარღვევასთან დაკავშირებით ორგანიზაცია საჩივრებს წერს და შესაბამის ორგანოებს მიმართავს.

საია-ს წევრის გიორგი ჩხეიძის განცხადებით, ვაკის №35 უბანზე ორგანიზაციის დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ შემაჯამებელი ოქმები წინასწარ იყო შევსებული და ბეჭედიც დარტყმული, თუმცა, კენჭისყრა ისევ მიმდინარეობდა. "იურისტთა ასოციაციის" განცხადებით, ეს სერიოზული კანონდარღვევაა და ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი უკვე დაიწერა, რის შესახებაც ვაკის საოლქო კომისია საქმის კურსშია.

*24 საათი*

# პროგნოზი გამართლდა

პირველი გვერდიდან

თუმცა პარტიებს შორის სერიოზული დაპირისპირება და ფიზიკური შეხლა-შემოხლა არ ყოფილა.

დღის თორმეტი საათისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა აქტიურობის შესახებ პირველი მონაცემები გამოაქვეყნა - მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით, მოსახლეობის აქტიურობამ 13 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება კონკრეტულად თბილისს, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 18 პროცენტი იყო მისული. მაშინვე გაირკვა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ცნობილი გახდა რამდენიმე დარღვევის შესახებ და, სავარაუდოდ, ამის გამო ორ უბანზე არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდებოდა.

დღის პირველ ნახევარში, "ლეიბორისტების" გარდა, ცენტრალური საარჩევნო კომისია არც ერთ პარტიას არ შეუწუხებია. ბრიფინგი ცესკო-ს მისადგომებთან მხოლოდ "ლეიბორისტმა" ჯონდი ბაღათურიამ გამართა და ჩალაგაშვილთან შეხვედრა მოითხოვა, რათა ხმის მიცემის პროცედურულ მხარეზე ესაუბრა.

რაც შეეხება მმართველი პარტიის ლიდერებს, დილის 11 საათისთვის საკუთარი არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა ყველას, ვინც ხელისუფლების სახეს წარმოადგენს. მათ შორის: პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას, თბილისის მოქმედ მერს გიგი უგულავას, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მთაწმინდის რაიონის 21-ე საარჩევნო უბანზე თავის ოჯახთან ერთად გამოცხადდა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მან ხმა მისცა **"საქართველოს აღმშენებლობის და გამთლიანების გაგრძელების პროცესს".**

საკმაოდ საინტერესო იყო პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის კომენტარი, რომელიც თამამად შეიძლება პროგნოზადაც აღვიქვათ. ხმის მიცემის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ ოპოზიციური სპექტრი ძალზე ცუდად გამოიყურება და, შესაბამისად, ახლადარჩეულ საკრებულოებს პოლიტიკური სიჭრელე არ ემუქრებათ. **"არ არის გამორიცხული, თბილისსა და სხვა საკრებულოებშიც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გარკვეული ნაწილი წარმოდგენილი იყოს, თუმცა ისინი ვერსად უმრავლესობით ვერ მოვლენ,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სხვათა შორის, გუშინ "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ ფრიად ნაშანდობლივი განცხადება გააკეთა (შეგახსენებთ, რომ "ახალმა მემარჯვენეებმა" ხუთი ოქტომბრის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს). ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას მან პირდაპირ აღიარა, რომ სულაც არ ნანობს, არჩევნებში მონაწილეობაზე მისი პარტიის უარს. **"დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბოიკოტის თაობაზე ჩვენი გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული იყო,"** - განაცხადა კაციტაძემ და დასძინა: **"რეგიონებში საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ არჩევნები ტარდებოდა."**

დღის პირველ ნახევარში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ იმ პრეტენზიებს უპასუხა, რომელიც დაუზუსტებელ ამომრჩეველთა სიებს ეხებოდა: **"საარჩევნო სიებში ცდომილებები შეიძლება არსებობდეს, თუმცა გამორიცხულია სიის სერიოზული დამახინჯება. ასეთი რამ 2003 წლის ნოემბრის არჩევნებზე ხდებოდა."**

დღის მეორე ნახევარში საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რიცხვმა იმატა. დღის ორი საათისთვის თბილისში ამომრჩეველთა აქტივობამ 21,95 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება რეგიონებს, პროცენტულმა მაჩვენებელმა 20 პროცენტს გადააჭარბა.

სწორედ ამ დროს "ლეიბორისტმა" ჯონდი ბაღათურიამ ცესკო-ს თავმჯდომარესთან გურამ ჩალაგაშვილთან შეხვედრა მოახერხა და მას მთაწმინდის ოლქში არსებული პრობლემების შესახებ შესჩივლა. კერძოდ, როგორც გაირკვა, ამომრჩეველთა ნაწილი ინფორმირებული არ იყო, თუ რომელ უბანზე უნდა მიეცა ხმა. შეხვედრის შედეგად მთაწმინდის საარჩევნო ოლქს მიეცა მითითება, რომ საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველს განსაკუთრებული გულისხმიერებით მოჰკიდებოდნენ და დაწვრილებით განემარტათ, ხმის მისაცემად რომელი უბნისთვის უნდა მიემართათ.

დღის მეორე ნახევარში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფ იმ პატიმრებზე გაავრცელა ინფორმაცია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. ამ ინფორმაციის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა მე-5 იზოლატორში მყოფმა 68, ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა 110-მა, ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა 37-მა და ბათუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა 4-მა პატიმარმა მიიღო. როგორც ცესკო-ში განაცხადეს, იზოლატორებში არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა და არანაირი ექსცესს ადგილი არ ჰქონია. გამონაკლისი ბათუმის იზოლატორში მყოფი პატიმარი აღმოჩნდა, რომელმაც ადვოკატის გარეშე ხმის მიცემაზე უარი განაცხადა.

დაახლოებით საღამოს ხუთი საათისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი სამგორის N28 საარჩევნო უბნისკენ გაემგზავრა, რათა თავად შეემოწმებინა "კონსერვატორების" მიერ გავრცელებული განცხადების სისწორე, რომლის თანახმადაც, სიებში მკვდარი სულები იყვნენ შეყვანილი. როგორც მოგვიანებით ცესკო-ში განაცხადეს, ინფორმაცია შემოწმდა და აღმოჩნდა, რომ იგი სიმართლეს არ შეეფერებოდა.

საღამოს შვიდ საათზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ გამოაქვეყნა ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ, რომლის თანახმად, 17.00 საათისთვის თბილისის საარჩევნო უბნებზე მისულთა რაოდენობამ ამორჩეველთა 28,81 პროცენტი შეადგინა. რეგიონებში კი ეს რიცხვი 30-დან 45 პროცენტამდე მერყეობდა.

რვა საათიდან უკვე სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტისა და "ბიზნეს კონსალტინგ ჯგუფის" მიერ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგი გამოქვეყნდა. მოგვიანებით საზოგადოებისთვის უკვე პარალელური დათვლის შედეგი გახდა ცნობილი. ეს ციფრები ეჭვის ქვეშ ხელისუფლებას და თავად პრეზიდენტ სააკაშვილს არ დაუყენებია.

დაბოლოს: როგორც ცესკო-ში აცხადებენ, ისინი აუცილებლად შეისწავლიან იმ საჩივრებს, რომელიც მათ დამკვირვებლებმა წარუდგინეს და სათანადო ღონისძიებებსაც გაატარებენ.

# არჩევნები შედგა - შენება გაგრძელდება

*საღამოს 8 საათისთვის ხელისუფლება არჩევნებს ჩატარებულად აცხადებს. "არჩევნები ჩატარდა ზემო აფხაზეთშიც და ცხინვალშიც, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა ოპონენტებმა რიგი უპასუხისმგებლო განცხადებები გააკეთეს, რომელიც არ დადასტურდა. ცუდია, როდესაც ის პირები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ სერიოზულ პოლიტიკოსობაზე, ასეთ მცდარ განცხადებებს აკეთებენ," - ასე შეაფასა ოპონენტები გიგა ბოკერიამ.*

ეგზიტპოლის წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონითეატრ რუსთაველში ბრიფინგი გამართა და "ნაციონალურ მოძრაობას" დამაჯერებელი გამარჯვება მიულოცა: **"მართალია, ეს არ არის საბოლოო შედეგები, მაგრამ იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ამ დროისათვის გვაქვს და ეს, ვაცხადებ, რომ საკმაოდ აკურატულად ასახავს პროპორციას, ბედნიერი ვარ გამოვაცხადო, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მთელი საქართველოს მასშტაბით ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. საქართველოში თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. პირველად თბილისის ისტორიაში ჩატარდა თბილისის მოსახლეობის მიერ თავისი მერის არჩევნები და ჩვენ მივიღეთ იმაზე მეტი ხმა, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებში. ეს არის ქართველი ხალხის პასუხი."**

პრეზიდენტის ინფორმაციით, ამომრჩეველთა აქტივობამ მთელ რიგ რაიონებში ყველა "რეკორდი" მოხსნა. ისეთი მაღალი შედეგები, როგორიც საქართველოს მმართველმა პარტიამ მიიღო, დემოკრატიულ ქვეყნებში ნაკლებად ფიქსირდება. პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოში დემოკრატიული და პირველი პლურალისტური არჩევნები ჩატარდა. **"იმ მონაცემებით, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოს მასშტაბით, მას შემდეგ რაც ჩვენი პარტია ხელისუფლებაში მოვიდა, იმაზე მეტი ხმა აიღო, ვიდრე იმ არჩევნებზე, რომელმაც მოიყვანა,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა. ქვეყნის პრეზიდენტმა სიტყვის დასრულებისას, გიგი უგულავას დედაქალაქის მერობა მიულოცა და გამარჯვების სანაცვლოდ, 24-საათიანი დასვენების უფლება მისცა, ხოლო შემდეგ "ხელებდაკაპიწებული მუშაობის" გაგრძელება მოსთხოვა. **"საქართველო მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო და ეს გამოცდა ქვეყანამ ხუთიანზე ჩააბარა,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. *24 საათი*


## 2006 წლის 21 ოქტომბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი, მოწყობილობები, ნახმარი მანქანის ამწე, ნახმარი/დაზიანებული სადურგლო მაგიდები, ძველი/ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა და ნახმარი/დაზიანებული ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს, 21 ოქტომბერს დილის 9-დან 11 საათამდე.

**აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11 საათზე.**

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ჟორჟ ბალანჩინის ქუჩა 11, აშშ საელჩოს ახალი კომპლექსის ავტოსადგომი (ავტობაზრობის მიმდებარედ, გლდანი/დიღმის ხიდთან).**

**ცნობებისათვის დარეკეთ: 277201 ან 899 977810.**


# მაღალი აქტივობა და დარღვევები კახეთში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*ცდომილება სიებში, ფსიქოლოგიური ტერორი საუბნო კომისიებში და მწვადში გაცვლილი ხმები - ეს ის დარღვევებია, რაც გუშინ კახეთში თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობის დროს დაფიქსირდა.*

გურჯაანის რაიონში მცხოვრები ციცო კახიძე იმ ერთ-ერთ ამომრჩეველთაგანია, რომელმაც N5 საარჩევნო უბანზე სიაში საკუთარი სახელი და გვარი ვერ ნახა. არადა, მას ამომრჩევლის ბარათი სახლში მიუტანეს. ასეთი დარღვევები კახეთის თითქმის ყველა საარჩევნო უბნებზე გამოვლინდა, თუმცა სიების ყველაზე დიდი ცდომილება სიღნაღის რაიონში დაფიქსირდა. აქ ამომრჩეველთა 40-მა პროცენტმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. სამაგიროდ, ხმის მიცემის უფლება სიღნაღში მიცვალებულებს აღმოაჩნდათ.

თუმცა, ეს დარღვევები ზღვაში წვეთია იმასთან, რაც ახმეტის რაიონში მოხდა. სოფელ მაღრაანის N13 საარჩევნო უბანში ბიულეტეზე, სადაც ორი მაჟორიტარის გვარი უნდა ყოფილიყო მითითებული, მხოლოდ ნაციონალების მიერ წარდგენილი კანდიდატის გვარი იყო დაბეჭდილი. ამ მიზეზის გამო ადგილობრივ ამომრჩეველს ხმის მიცემა მხოლოდ პროპორეციული სიით მოუწია. ამ ფაქტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე ლონღაძემ ტექნიკური შეცდომა უწოდა, თუმცა არჩევნები ამ უბანში მაინც შედგა. აღნიშნული ფაქტი "სამართლიანმა არჩევნებმა" დიდ დარღვავად მიიჩნია და საუბნო კომისიას ამ უბანზე შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართა. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არასამთავრობო ორგანიზაცია ამ ფაქტს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრებს.

ხმაური იყო გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახის N 33 საარჩევნო უბანშიც. აქ მაჟორიტარმა კანდიდატებმა ნაცმოძრაობის მხარდამჭერები აგიტაციის წარმოებაში დაადანაშაულეს, თანაც მეტად უცნაური მეთოდებით. **"იმისთვის, რომ ნაციონალებს ხმები მოეგროვებინათ, ღორი დაკლეს და სოფელი მწვადზე დაპატიჟეს,"** - აცხადებდა მაჟორიტარი ზეინაბ ბიწაძე. ეს ფაქტი კარდენახელ "ნაციონალებს" არ უარყვიათ. მეტიც, სოფელში სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში ისინი ცხვრის დაკვლასაც აპირებდნენ.

მეტად მწვავედ წარიმართა არჩევნები თელავის N 8 უბანზე. დღის მეორე ნახევარში სიტუაცია აქ ისე დაიძაბა, რომ ბლოკ "ხიდაშელი-დავითაშვილი-ბერძენიშვილის" წარმომადგენლებსა და "ნაციონალებს" შორის დაწყებული სიტყვიერი შეურაცხყოფა კინაღამ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამის მიზეზი ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლის ნონა ბარძიმაშვილი განცხადებები გახდა, თითქოს საუბნო კომისიის თავმჯდომარემ საარჩევნო ურნაში 10 ბიულეტინი "ნაციონალების" სასარგებლოდ ჩაყარა. სწორედ ამის გამო ოპოზიცია ამ უბანზე არჩევნების ჩაშლილად გამოცხადებას მოითხოვდა., მაგრამ უშედეგოდ.

სოფელ შილდის N 22 საარჩევნო უბნის მდივანმა ნინო ხუციშვილმა ნაცმოძრაობის კანდიდატი თიემურაზ მიჩილაშვილი მასზე სხვადასხვა ფორმებით ფსიქოლოგიურ ზეწოლაში დაადანაშაულა. **"მიჩილაშვილი დღეს დილიდან აქტიურად ცდილობდა ჩემზე ზემოქმედებას, რათა არჩევნების მიმდინარეობის დროს მისი ინტერესები დამეცვა. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მისი მცდელობა უშედეგო იყო, ცილისმწამებლური ბრალდებები დაიწყო, თითქოს დარღვევებით ვმუშაობდი,"** - აცხადებს ნინო ხუციშვილი.

დღის ბოლოს სოფელ კოლაგის N22 საარჩევნო უბანში ინცინდენტი მოხდა. როგორც დამკვირვებელი ირმა ონაშვილი აცხადებდა, მას ფიზიკური ანგარიშსწორებით ოპოზიციური ბლოკის კანდიდატის ლევან მექერიშვილის წარმომადგენელი დაემუქრა. მას შემდეგ, რაც შემთხვევის ადგილზე ცესკო-ს წარმომადგენლები მივიდნენ, სიტუაცია განიმუხტა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში გადასატანი ყუთი ამომრჩევლებთან ორჯერ გაიტანეს. აღნიშნულ ფაქტს ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლონღაძე ასე განმარტავს: **"ურნის პირველადი გატანის დროს ამომრჩევლებს სიებზე ხელი არ მოუწერიათ. ამის შემდეგ მათ ურნა კი არა, სიები გაუტანეს".**

დარღვევებთან დაკავშირებით ნაცმოძარობა, ოპოზიციური ძალები და საუბნო კომისიის თავმჯდომარეები თავს ცალ-ცალკე იმართლებდნენ და არჩევნების მიმდინარეობისთვის ხელის შეშლას ერთმანეთს აბრალებდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლონღაძე კი კახეთში არჩევნების მიმდინარეობით კმაყოფილია: **"მინდა ვაღიარო, რომ კახეთში თვითმმართველობის არჩევნებზე მაღალი აქტიურობა შეინიშნება, რადგან მონაწილეობა 45 პროცენტმა მიიღო. მართლია იყო დარღვევები, მაგრამ ვფიქრობ, რომ - უმნიშვნელო."**

## ანთაძეს დიალოგის გაგრძელების იმედი აქვს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების დარგში მერაბ ანთაძე არ უარყოფს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებში ამჟამად ძალიან დაძაბული ფონია შექმნილი. მისივე თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ-ოსური დიალოგი არ არის შეწყვეტილი, მეტიც, იგი შეწყვეტილი არასდროს ყოფილა. **"დღის წესრიგში დგას კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების ფორმატის შეცვლა. მოსკოვში ქართულმა მხარემ აგვისტოში ფორმატის შეცვლისა და გაფართოების საკითხი დააყენა. ამას არა მარტო ქართული მხარე, არამედ ეუთო-ც ითხოვს,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ანთაძის განმარტებით, დღეს არსებული კომისია უკვე მოძველდა, კომისიის გადაწყვეტილებები მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირდება და აღარ სრულდება. ამასთან ერთად, ანთაძე ეხება ორი ოსეთის გაერთიანების იდეას და ამბობს, რომ რუსეთი ამ გეგმის გატარებას მაქსიმალურად შეეცდება, მაგრამ რეალური შედეგს ვერ მიიღებს.

**"ამ იდეას რაც შეეხება, რა რეაქცია მოჰყვება ჩვენგან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, უკვე ცნობილია. ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ კარლ დე გუხტმა გარკვევით განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია. ვლადიკავკაზში ოთხმხრივი შეხვედრა თუ გაიმართება, მთავარი ქართულ და ოსურ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ შესაძლოა, რუსეთი იყოს ერთ-ერთი მომრიგებელი, მაგრამ არა ერთადერთი,"** - დასძენს სახელმწიფო მინისტრი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების დარგში მერაბ ანთაძე, ქართულ ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ამბობს, რომ წინასწარ პროგნოზის გაკეთება ძნელია, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ქართული მხარე დიალოგისთვის მზადაა.

**"აღვნიშნავ, რომ დიალოგის გაგრძელებაზე ჩვენი მზადყოფნა, რუსეთის მხარეს არაკომფორტულ ვითარებაში აყენებს. თუ რომელიმე მხარე ვლადიკავკაზში დაგეგმილ შერეული საკონტროლო კომისიის ოთხმხრივი შეხვედრის გადადებას გადაწყვეტს, ამის შესახებ მედიას ვაცნობებთ,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კოსოვოს სტატუსის მოლოდინში

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს ქვეყნების საქმეთა კომიტეტის წევრი ვიქტორ ნეფედოვი კითხვაზე, თუ "რა ბედის ეწევა პატარა, მაგრამ ამაყ აფხაზეთს", ასეთ პასუხს იძლევა: "აფხაზეთთან დაკავშირებით, რუსეთმა უნდა მოიცადოს და შესაფერის მომენტს დაელოდოს. თავდაპირველად უნდა გადაწყდეს კოსოვოს საკითხი და ევროკავშირმა მსგავსი საკითხების მოსაგვარებელი საერთო მექანიზმები უნდა შეიმუშაოს," - ამბობს ნეფედოვი. მისივე თქმით, ადრე კითხვა "რა ვქნათ?" ფილოსოფოსთა წინაშე იდგა. ახლა ამ საკითხს უკვე პოლიტიკოსები წყვეტენ.

"მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ და დაახლოებით წელიწადს, წელიწადნახევარს უნდა მოვითმინოთ, ვიდრე კოსოვოს საკითხი არ გადაწყდება. შემდეგ ჩვენი შეხედულებებისამებრ შეგვიძლია ვიმოქმედოთ," - დასძენს რუსი დეპუტატი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პასუხი ლავროვს

"უპირველეს ყოვლისა, ვერ დავეთანხმებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, იმაში, რომ საქართველო ატარებს ანტირუსულ პოლიტიკას. საქართველოს პრეზიდენტს არაერთხელ განუცხადებია, რომ რუსეთის ფედერაციასთან რეალურად კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის დამყარების მომხრეა. ორ ქვეყანას შორის შექმნილი დაძაბული ფონი კი განპირობებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებისადმი რუსეთის მიდგომით, იმით, რომ კრემლის მიერ ფაქტობრივად ხდება ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის (საქართველო) "მცოცავი" ანექსია და იბლოკება ჩვენს მიერ მომზადებული ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივა.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვრცელმა ინსინუაციებმა არალეგალურ ფულად ნაკადებთან (რეალურად რუსეთიდან საქართველოში ირიცხება ქართველი ლეგალური მიგრანტების მიერ მათი შრომის შედეგად და კანონიერად მიღებული სახსრების ნაწილი) დაკავშირებით, მაშინ, როდესაც სწორედ რუსეთი აწარმოებს უკანონო ფინანსურ ოპერაციებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, სადაც კანონის უხეში დარღვევით მოქმედებენ რუსული ბანკების ფილიალები, ხორციელდება "შავი" ფულის გათეთრება, რუსეთის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ხდება უძრავი ქონების ყაჩაღური პრივატიზაცია. ეს რეგიონები გადაიქცა ყალბი ფულის წარმოების ძირითად წყაროდ სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს "მილიტარიზაციასთან" დაკავშირებით ბ-ნ მინისტრს გვინდა შევახსენოთ, რომ რუსმა სამხედროებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირწმინდად გაიტანეს საქართველოს კუთვნილი შეიარაღება და ტექნიკა, გაანადგურეს სამხედრო ინფრასტრუქტურა, რაც ექსპერტების მიერ 6-დან 10 მლრდ. დოლარამდე ფასდება. სწორედ ინფრასტრუქტურის აღდგენასა და შეარაღების შევსებას ხმარდება საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც, სხვათა შორის, ყველაზე მცირეა რეგიონში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სამხედრო ძალებისა და შეიარაღების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო შეთანხმებებით დაწესებულ კვოტებთან, მათ შორის ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებასთან.

მილიტარიზაციაზე საუბრისას ბ-ნ მინისტრს ვურჩევდით ყურადღება მიაქციოს სამხედრო მანევრებს, რომლებსაც გაუთავებელად ატარებენ ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმები, ე.წ. "სამშვიდობოების" თვალწინ, რუსეთის მიერ უკანონოდ გადაცემული იარაღის გამოყენებითა და რუსი ინსტრუქტორების დახმარებით.

კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის ბრალდებასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმას, რომ საქართველო ყოველთვის იყო და რჩება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების კურსის ერთგული. რისი უდავო დასტურია საქართველოს მიერ მომზადებული და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მოწონებული კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო გეგმები და გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში გაჟღერებული ინიციატივები.

ძალისმიერ მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით რუსეთის მხარეს არ უნდა დაავიწყდეს ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებებისას დაღუპული ასობით ათასი მშვიდობიანი ადამიანი. ეს ციფრი არ უარუყვია არც რუსეთის პრეზიდენტს 2006 წ-ის 12 ივლისს ფრანგული ტელეკომპანია TF1-სათვის მიცემულ ინტერვიუში.

ამავე დროს, რუსეთის მხარეს, ეტყობა, დღემდე ვერ გაურკვევია, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში (საქართველო) არსებული კონფლიქტები ატარებენ არა ეთნიკურ, არამედ ტერიტორიულ ხასიათს, რაც საყოველთაოდ არის აღიარებული, მათ შორის ევროკავშირის მიერ 2006 წლის 21 თებერვლის განცხადებითაც. ქართველები საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით და კვლავაც ვიცხოვრებთ ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად.

ბ-ნი ლავროვის მიერ ზემო აფხაზეთის შესახებ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ხეობაში წარმატებით ჩატარდა პოლიციური ოპერაცია, ბოლო მოეღო რეგიონში კრიმინალური ბანდის თარეშს და, რაც მთავარია, შედეგად უზრუნველყოფილი იქნა მოსახლეობის უსაფრთხოება. უფრო მეტიც, სწორედ გატარებული ღონისძიებების შემდეგ გახდა შესაძლებელი საერთაშორისო მონიტორინგის განახლება, რომლის ჩატარების ტექნიკურ დეტალებზეც მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები.

ამავე დროს, სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ, სულ ერთ თვეში რეგიონში უფრო მეტი გაკეთდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, ვიდრე დანარჩენ აფხაზეთში 13 წლის მანძილზე. როგორც ჩანს, რუსეთის მხარეს აშფოთებს თვალნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ დინამიურად ვითარდება ზემო აფხაზეთი დემოკრატიული მმართველობის პირობებში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთის პოზიციებს სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ბატონი ლავროვი დიდ ყურადღებას უთმობს ასევე ე.წ. რეფერენდუმების თემას, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, ვინაიდან დნესტრისპირეთში ასეთი ღონისძიება რუსეთის მიერ იქნა ინსპირირებული და მისი დახმარებით ჩატარდა. ასეთივე ყოვლად უკანონო და არალეგიტიმური ვითომ რეფერენდუმი დაგეგმილია ცხინვალის რეგიონში, რაც მსოფლიო დემოკრატიულმა თანამეგობრობამ უკვე შეაფასა დროის ფუჭ კარგვად, რადგან ვერანაირ შედეგს ვერ მოუტანს მის ორგანიზატორებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს აწუხებს საქართველოში ავტონომიების ბედიც. როგორც ჩანს, აჭარაში დამყარებული დემოკრატია და სტაბილურობა, შექმნილი მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და მიმდინარე დინამიური აღმშენებლობის პროცესები გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ამ რეგიონის ავტონომია ლიკვიდირებული ჰგონია. ამ კონტექსტში ბ-ნ ლავროვს შევეკითხებოდით, თუ სად გაქრა რუსეთის რუკიდან კომი-პერმის, დოლგან-ნენეცებისა და ევენკიის ავტონომიები და რა ელის იმ მცირე ხალხებს, რომლებიც ამ ტერიტორიულ ერთეულებში სახლობდნენ, მათ თვითმყოფადობასა და იდენტურობას მეზობელი რუსული ოლქების მიერ შთანთქმის შემდეგ?

არ შეიძლება არ შევჩერდეთ ასევე რუსეთში ქსენოფობიის გამოვლინებებზე ქართველების მიმართ, რამაც უკანასკნელ ხანს სულ უფრო საგანგაშო ხასიათი მიიღო. ასეთი სახის ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებაზე, იმ პოლიტიკის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელსაც რუსეთი ატარებს როგორც საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კავკასიელების, ასევე სხვა სახელმწიფოებიდან ჩასული განსხვავებული ეროვნების წარმომადგენლების მიმართ.

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს*
*პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი,*
*2006 წლის 5 ოქტომბერი*

# ეთნიკურ-პოლიტიკური წმენდა

### ანტიქართული კამპანია რუსეთის ბაზრებში გადაინაცვლებს

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთში მცხოვრები ქართველები რომ "უკანონოდ" აღარ შეავიწროვონ, მოსკოვში სასწრაფოდ ახალ კანონებს თხზავენ. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სანქციები რასისტული შინაარსის კანონების მიღებაში გადაიზარდა. რუსეთიდან ქართველების მასობრივი განდევნა მზადდება.*



პუტინი განსაკუთრებით ბაზრების "ეთნიკურმა პრობლემამ" შეაწუხა.

სანამ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს მილიცია ქუჩაში აჩერებს, მათ კომერციულ ობიექტებს საფინანსო ორგანოები ამოწმებენ, ხოლო რუსეთის რეგიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქართველების წინააღმდეგ გატარებული ზომების შესახებ პატაკების მომზადებაში, რუსეთის პრეზიდენტი და სახელმწიფო უწყებები ანტიქართული კამპანიის საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე ფიქრობენ.

ვლადიმირ პუტინმა პრემიერ-მინისტრს მიხაილ ფრადკოვს 15 ნოემბრამდე ცვლილებების შემუშავება დაავალა იმ კანონმდებლობაში, რომელიც უცხოელებისათვის მუშაობის უფლების მინიჭების და საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობის საკითხებს არეგულირებს.

პუტინი განსაკუთრებით ბაზრების პრობლემამ შეაწუხა, სადაც არსებულ ვითარებას მან "განუკითხაობა" უწოდა და ბაზრების "უცხოტომელებისაგან" გათავისუფლება გადაწყვიტა. **"უნდა მივიღოთ დამატებითი ზომები საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობის სრულყოფისათვის, რუსი მწარმოებლების და რუსეთის ძირძველი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად,"** - განაცხადა პუტინმა.

სავაჭრო ობიექტების "ეთნიკურ წმენდას" სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვიც ემხრობა. **"ბაზრებიდან და სავაჭრო წერტილებიდან ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლები გამოდევნეს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, რომლებიც თავის საქმიანობას ძირითადად არალეგალურად აწარმოებენ,** - განაცხადა გრიზლოვმა, - **აუცილებელია საკითხი ისე გადაწყდეს, რომ ბაზრებსა და სავაჭრო წერტილებში და ბაზრებზე საქმიანობის უპირატესობა ჰქონდეთ ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლებს."**

საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ახალი ღონისძიებების გეგმა უფრო კონკრეტულად რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის ხელძღვანელმა მიხაილ ტიურკინმა ჩამოაყალიბა. მისი თქმით, სამხსახურთან უახლოეს მომავალში სპეციალური განყოფილება შეიქმნება, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებული საქმეებით იქნება დაკავებული.

ტიურკინის განცხადებით, რუსეთის მიგრაციული სამსახური საქართველოს მოქალაქეებისათვის შრომითი საქმიანობის რეგლამენტაციის შემოღებას გეგმავს. ანუ ქართველი მიგრანტები ლეგალურად მუშაობის უფლებას ვეღარ მიიღებენ.

გარდა ამისა, მრავალჯერადი ვიზის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში ყოფნის ვადა 180 დღიდან 90 დღემდე შემცირდება.

ასევე, გაიზრდება ჯარიმები სამსახურში არალეგალი უცხოელების აყვანისათვის და მიგრანტების არალეგალური საქმიანობის ორგანიზებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდება.

რუსი ექსპერტი, პოლიტიკურ ტექნოლოგიათა ცენტრის დირექტორის მოადგილე ბორის მაკარენკო აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შედეგები "ზომიერების გრძნობაზე" არის დამოკიდებული.

**"თავიდან მეჩვენებოდა, რომ რუსეთის ქმედებებში ზომიერების გრძნობა არსებობს. მაგრამ იმის გამო, რომ ეს აღტკინება გრძელდება, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში ცხოვრებისა და მუშაობის უფლებაზე უარის თქმის ჩათვლით, ვშიშობ, ეს გადაჭარბება იქნება. სანქციების გამოყენებაში მთავარია, არა რაც შეიძლება დიდი ეკონომიკური ზარალის მიყენება, არამედ სიგნალის გაგზავნა ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის. აქ დიდია იმის რისკი, რომ სააკაშვილი სასურველს მიაღწევს - რუსეთისგან მტრის ხატს შექმნის და ჩვენ ამით მხოლოდ საქართველოსა და მსოფლიოში მის მხარდამჭერთა რაოდენობას გავზრდით. ჩვენ გვინდოდა გაგვეგზავნა სიგნალი - "თუ სააკაშვილი გეყოლებათ, რუსეთიდან კარგს ნურაფერს ელით". კარგს არაფერს რომ უნდა ელოდონ, საქართველოში გაიგეს, მაგრამ დაადანაშაულებს თუ არა ქართული საზოგადოება ამაში სააკაშვილს, ჯერ კიდევ სანახავია,"** - აცხადებს მაკარენკო.

რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გამოეხმაურა. მისი შეფასებით, ეს წინადადებები ყველა საერთაშორისო პრინციპსა და ნორმას არღვევს.

**"დარწმუნებული ვარ, თუ საიმიგრაციო სამსახურის წინადადებები სამართლებრივ ფორმას მიიღებს, ამას მსოფლიო თანამეგობრობის უმწვავესი რეაქცია მოჰყვება, რადგან მოქალაქეთა დაყოფა ეროვნული ნიშნის მიხედვით შეფასდება, როგორც ქსენოფობიის გამოვლინება,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

# მარცხი საკუთარ მოედანზე

### რუსეთის მიერ კონფლიქტების ერთპიროვნულად მართვის ერა მთავრდება

გიორგი ასანიშვილი



ორი კვირის მანძილზე რუსულმა დიპლომატიამ გაერო-ში მესამე მარცხი იწვნია.

ბოლო პერიოდში რუსულმა დიპლომატიამ გაერო-ში სამი სერიოზული მარცხი იწვნია: სექტემბრის ბოლოს, მოსკოვის ნების საწინააღმდეგოდ, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში შეტანილი იქნა "გაყინული კონფლიქტების" საკითხი; რამდენიმე დღის წინათ დაიბლოკა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გასატანად რუსეთის დელეგაციის მიერ მომზადებული განცხადების პროექტი და მისი ავტორები იძულებულნი გახდნენ, ეს დოკუმენტი ოფიციალურად გაეწვიათ უკან; წარუმატებელი აღმოჩნდა, აგრეთვე, გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის მცდელობა, დაწუნებული განცხადების ძირითადი დებულებები რეზოლუციის იმ პროექტში ასახულიყო, რომელიც მომავალი კვირის ბოლოს გაერო-მ, საქართველოში თავისი სადამკვირვებლო მისიისთვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს.

ამ ჩავარდნებს ისიც ემატება, რომ გაერო-ში მომუშავე რუსი დიპლომატები თავიანთი კოლეგების კრიტიკის ობიექტები ხდებიან: ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში ჯონ ბოლტონი რუსეთის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ რეზოლუციის პროექტს **"უსამართლოს, დაუბალანსებელსა და რეალური სიტუაციის ვერამსახველს"** უწოდებს.

**"ჩვენ მხარს არ დავუჭერთ დოკუმენტს იმ სახით, როგორითაც ის არის წარმოდგენილი,"** - აცხადებს ჯონ ბოლტონი.

არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილ ვიტალი ჩურკინს ისღა დარჩენია, რომ ამერიკელი და "საქართველოს მეგობარი" ევროპელი დიპლომატები საყვედურებით აავსოს.

**"უშიშროების საბჭოს ზოგიერთ წევრს ჰგონია, რომ შეიძლება საქმეს ლაიკის ხელთათმანებით მიუდგეს. რუსეთი განწყობილია, იმუშავოს თავისი რეზოლუციის გასატანად, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ქმედებების მკაფიო და პრინციპულ შეფასებებს იძლევა,"** - აშკარა გაღიზიანება იკითხება გაერო-ში რუსეთის ელჩის განცხადებაში.

ვიტალი ჩურკინის გამხნევებას ცდილობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. **"რუსეთი კვლავაც დაჟინებით მოითხოვს უშიშროების საბჭოს მიერ ისეთი რეზოლუციის მიღებას, რომელშიც ასახული იქნება გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებაში დაფიქსირებული ქართული მხარის მიერ განხორციელებული უხეში დარღვევები,"** - აღნიშნა პოლონეთში მყოფმა რუსეთის დიპლომატიის შეფმა ვარშავაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

სხვათა შორის, სერგეი ლავროვს ძალიან არ სიამოვნებს ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველო-რუსეთის დაპირისპირების მოგვარებას ცდილობს.

**"ეუთო-ს ან სხვისი მხრიდან, ვინც არ უნდა იყოს ის, საქართველოსთან შუამავლობის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა და არ არსებობს,"** - გაღიზიანებით შენიშნა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან კარელ დე გიუხტთან 4 ოქტომბერს გამართული სატელეფონო საუბრის დროს სერგეი ლავროვმა. საინტერესოა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ასეთ პოზიციას არ ეთანხმება რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში ვასილი ისტრატოვი, რომელიც იმედოვნებს, რომ **"აზერბაიჯანი, რომელსაც საკმაოდ თბილი ურთიერთობები აქვს როგორც მოსკოვთან, ასევე თბილისთან, საქართველო-რუსეთის დაპირისპირებაში მასტაბილიზებელ როლს შეასრულებს"...**

ვიდრე რუსული მხარე მის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტს უწევს "რეკლამას", გაერო-ს უშიშროების საბჭოში უკვე შევიდა რეზოლუციის პროექტის ახალი ვარიანტი. ჩურკინის თქმით, რეზოლუციის მეორე პროექტი "ევროპელმა პარტნიორებმა" შეიმუშავეს, თუმცა რუსი დიპლომატი აღარ აზუსტებს, რომელი ქვეყნები ჰყავს მხედველობაში ("24 საათისთვის" გაკეთებულ კომენტარში, გაერო-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ რეზოლუციის ალტერნატიული პროექტი გერმანიამ შეიმუშავა და დებატები მის ირგვლივ 6 ოქტომბრიდან დაიწყება).

გაერო-ში მოვლენები რომ მოსკოვისთვის არასასურველი სცენარით ვითარდება, ამას რუსეთის მუდმივი წარმომადგენელიც კარგად ხვდება და აღიარებს, რომ **"წინ მძიმე სამუშაო ელის"**.

გაერო-ში საქართველოს გარშემო განვითარებული მოვლენები საფუძველს იძლევა ვიავარაუდოთ, რომ ძალიან მალე რუსეთს აღარ ექნება ექსკლუზიური უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტური რეგიონების მომავალი და იძულებული გახდება, ანგარიში გაუწიოს დასავლეთის პოზიციას. ამ ვარაუდს ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გუშინ გამოქვეყნებული მოკლე და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაცია: **"5 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა მიიღო აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე მეთიუ ბრაიზა. საუბრის დროს ამერიკელ დიპლომატს მიეწოდა რუსეთის ხედვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. განხილული იყო აგრეთვე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების თემატიკა, მათ შორის გაერო-ს უშიშროების საბჭოზე აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა."**

ერთი სიტყვით, საქმე იმისკენ მიდის, რომ მალე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების "ცენტრი" "ერთპოლუსიანი" აღარ იქნება...

# ევროპა ჩიხურ მდგომარეობაზე საუბრობს

ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის შორის არსებული დაპირისპირება საომარი მოქმედებების გაჩაღებამდე არ მივა.

სოლანამ მხარეებს ასევე მოუწოდა, ერთმანეთთან ურთიერთობის დროს ზომიერება დაიცვან.

აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტში გამოსვლისას ხავიერ სოლანამ აღიარა, რომ არ ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუს მშვიდობისმყოფელთა ნაცვლად ევროკავშირის ძალები შევიდნენ. ამასთან ერთად ხავიერ სოლანას, არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. **"მოცემულ მომენტში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რა იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოებისთვის საუკეთესო ვარიანტი. არ არის აუცილებელი ეს მაინცდამაინც სამშვიდობოების საკითხი იყოს,"** - დასძინა სოლანამ.

ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ მას ძალიან კარგად ესმის ოფიციალური თბილისის შეშფოთება კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების პერსპექტივასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ კოსოვო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის პრეცედენტული ხასიათისა იყოს. **"ჩვენ ყველანი, მათ შორის პრეზიდენტი სააკაშვილიც, ჩიხში მოვექეცით და ორმაგი მექანიზმების ტყვეობაში აღმოვჩნდით. ამ მექანიზმის მიხედვით კი პოზიტივი მხოლოდ ერთი მხარისთვისაა შესაძლებელი და არა მეორისთვის. ეს არ არის მომგებიანი სიტუაცია, მარგამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ სიტუაციაშიც კი, ჩვენთვის პოზიტიური მხარეები გამოვნახოთ,"** - ამბობს სოლანა და დასძენს, რომ ისიც კარგად ესმის, რომ ამის გაკეთება იოლი ნამდვილად არ იქნება.

*24 საათი*

# დაბადების დღე რთველში

ნესტან ნიჟარაძე

*ყვარლის რაიონში, უფრო ზუსტად კი ქინძმარაულის მიკროზონაში ახალგაზრდა, მაგრამ იმედის მომცემმა კომპანიამ "ქინძმარაულის მარანი" დაბადების ხუთი წლის იუბილე მხიარული რთველით აღნიშნა.*

ვინც ამბობს, რომ ვაზი ცოცხალია და სუნთქავს, ნამდვილად არ ცდება. ის მართლა ცოცხალია და სუნთქავს. თან მადლიანია. მასში მზეც არის და სიყვარულიც. მისგან კი ღვინოა და ისევ სიყვარული - ღვინისაც, ვენახისაც, ვაზისაც, შრომისაც, თრობისაც და ასე შემდეგ, უსასრულოდ. რთველი კი - ეს ყველაფერი ერთად აღებული. რადგან რთველი რომ მხოლოდ შრომა იყოს, ასეთი სანატრელი არ იქნებოდა. რთველის ფორმულა უფრო დახვეწილია და ეს არის შრომას+ტკბობა. და კახეთში ეს იცის ყველამ.

ახლგაზრდა კომპანიის "ქინძმარაულის მარანი" ხუთი წლის იუბილე სწორედ რთველს დაემთხვა. ამიტომ რთველიც შედგა და დაბადების დღეც, უფრო სწორად კი დაბადების დღე რთველში - ბევრი ცნობილი თუ უცნობი სტუმრით და შესაბამისად, ბევრი ცნობილი თუ უცნობი მუშახელით. რთველმა არ იცის გარჩევა.

## კომპანიის ისტორიიდან

კომპანია "ქინძმარაულის მარანი" ხუთი წლის წინ შეიქმნა, ერთი მარტივი და იმავდროულად ამბიციური მიზნით. მიზნის სიმარტივეც და ამბიციურობაც კარგი, ხარისხიანი ქართული ღვინის, ანუ უბრალოდ ნამდვილი ღვინის დამზადებაში მდგომარეობდა. კომპანიის დამაარსებლების მარტივი სურვილისკენ სავალი გზა კი საკმაოდ რთული და შრომატევადი აღმოჩნდა; რადგან კომპანიის სამუშაო სტრატეგია ნერგის გამოყვანიდან ღვინის ჩამოსხამდე მთელი ტექნოლოგიური პროცესის სრულ კონტროლს გულისხმობს. სწორედ ამიტომ ხანგრძლივი სამუშაო სწორედ ხარისხიანი ნერგების გამოყვანით დაიწყო, ვენახების გაშენებით, მათი მოვლით, ჯიშების შერევის კონტროლით და ღვინის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობით გაგრძელდა; დაბოლოს, ღვინის ჩამოსხმით დასრულდა.

კომპანიიის "ქინძმარაულის მარანი" მფლობელობაში არსებული 500 ჰექტარი მიწიდან, 460 უკვე გაშენებულია და მთლიანად ყვარლის რაიონში, კერძოდ კი, ქინძამარაულის მიკროზონაში მდებარეობს. 2003 წელს დაწყებული ქარხნის მშენებლობა 2005 წლის ბოლოს დასრულდა და სულ რაღაც ერთი თვის წინ, კომპანიამ ღვინის პირველი პარტიაც ჩამოასხა. ქარხანა მთლიანად არის დაკომპლექტებული იტალიური ფირმების "Della Tofola" და "Fimmer" უახლესი დანადგარებით. იქვე ფუნქციონირებს გერმანული ფირმის "Gravitech" ლაბორატორია, რომელიც წყალზე, ღვინოზე და ყურძნის წვენზე ნებისმიერი ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების ჩატარების საშუალებას იძლევა. "ქარხნის პოტენციალიდან გამომინარე, 2-3 წელიწადში კომპანია ყოველწლიურად 5 მილიონი ბოთლის წარმოებას შეძლებს, - აცხადებს "ქინძმარაულის მარნის" გენერალური დირექტორი გია კეკუა, - ამჟამად კი, არსებული ღვინომასალის რაოდენობის გათვალისწინებით კომპანიამ 1,5 მილიონი ბოთლი უკვე ჩამოასხა."

## კომპანიის ასორტიმენტი

ამჟამად "ქინძამარაულის მარანი" 12 სახობის თეთრ და წითელ ღვინოს ასხამს. მათ შორის არის - თეთრი



*ის მართლა ცოცხალია და სუნთქავს. თან მადლიანია. მასში მზეც არის და სიყვარულიც.*

მშრალი "მანავი", "ყვარელი", "წინანდალი", "გურჯაანი"; წითელი მშრალი "საფერავი", "მუკუზანი", "ყვარელი"; წითელი ნახევრადტკბილი "ალაზნის ველი", "ახაშენი". კომპანიის ექსკლუზიური საფირმო ბრენდებია წითელი და თეთრი "კახური სამეფო" და "ქინძმარაული ორიგინალი", რომელთა დაყენება ძველი კახური ყურძნის ჯიშებისა, უძველესი ტრადიციების და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდა.

კომპანიის გენერალური დირექტორის გია კეკუას თქმით, ჩამოსხმული ღვინის პირველი პარტია მალე გაყიდვაშიც გამოვა. "ამისთვის ყველაფერი მზად არის, - განმარტავს იგი, - მიმდინარეობს მოლაპარაკება მაღაზიათა ქსელთან. მნიშვნელოვანი პარტიის გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი უკრაინაში, იგეგმება. სამომავლოდ, ჩვენი პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანასაც ვგეგმავთ." ხოლო შეკითხვაზე: როგორ ფიქრობს ახალგაზრდა კომპანია "ქინძმარაულის მარანი" ღვინის პროდუქციით ისედაც გადატვირთული ქართული ბაზრის დაპყრობას და ქართველი და არაქართველი მომხმარებლის მოხიბვლას? კომპანიის მესვეურები ერთი სიტყვით პასუხობენ: "ხარისხით!" შემდეგ კი განმარტავენ, რომ წარმოების ტექნოლოგიური პროცესის - ნერგის გამოყვანიდან ღვინის ჩამოსხმამდე - კონტროლის სტრატეგია კომპანიამ სწორედ იმიტომ აირჩია, რომ საბოლოო შედეგი ანუ ღვინო, რომელიც ქართულ თუ უცხოურ ბაზარზე მოხვდებოდა, სწორედ ხარსიხით ყოფილიყო გამორჩეული. "როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, ჩვენ ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, არაფერს გავაკეთებდით ისეთს, რაც ქართული ღვინის პრესტიჟს და ჩვენი პროდუქციის ხარისხს აზიანებდა. და ჩვენ ამ პირობის ერთგულები ბოლომდე დავრჩებით," - ამბობს გია კეკუა.

## ქართული ცოდნა+ევროპული გამოცდილება

დასაწყისშივე, ხანგრძლივი ფიქრის გარეშე, კომპანიამ "ქინძმარაულის მარანი" მევენახეობა-მეღვინოების დარგებში დაგროვილი ე.წ. "გენეტიკური" ცოდნის მოხმარების მიზნით ადგილობრივ სპეციალისტებს მიმართა. "კომპანია მთლიანად არჩილ სესიაშვილის ოჯახს ეყრდნობა, - განმარტავს გია კეკუა, - გივი სესიაშვილი კომპანიის მთავარი აგრონომია და მას ამ დარგის ცოდნა წინაპრებისგან აქვს მიღებული. მას რჩევას სხვა კომპანიების წარმომადგენლებიც კი თხოვენ ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას კომპანიის მეღვინეზეც. თემურ გონჯილაშვილი მეცნიერი მეღვინეა, დოქტორის წოდებით. იგი დეგუსტატორთა საბჭოს წევრია და თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ერთნაირად ძლიერია." კომპანია თავიდანვე რეგულარულად მიმართავდა უცხოელ ექსპერტებსაც, რომლებიც კონკრეტულ საკითხებზე ინდივიდუალურ რჩევებს აძლევდნენ ადგილობრივ სპეციალისტებს და თავიანთ ევროპულ გამოცდილებას უზიარებდნენ. და ეს ყველაფერი ერთადერთ მიზანს - მაღალხარისხიანი პროდუქციის დამზადებას ემსახურებოდა. კარგი ღვინით კი ნებისმიერი ბაზრის დაპყრობა შეიძლება, რაც არ უნდა ხანგრძლივი პროცესი იყოს ეს, აღნიშნავენ "ქინძმრაულის მარნის" მესვეურები.

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ემბარგო კი იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც "ქინძმარაულის მარანს" ხუთწლიანი შრომის შედეგად ყველაფერი მზად ჰქონდა ღვინის პირველი პარტიის ჩამოსასხმელად. ამ გარემოებამ ყველა ღვინის მწარმოებელი კომპანია მეტ-ნაკლებად სასტარტო პოზიციაში ჩააყენა. ახალი ბაზრის ძიების აუცილებლობა გარდაუვალი გახდა. როგორც გია კეკუა აღნიშნავს, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ქართული ღვინის საქართველოს ფარგლებს გარეთ რეკლამირებისთვის ძალიან ბევრს აკეთებს, ყველა კომპანიას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. "ჩვენც, ჩვენი მხრივ, ისევე როგორც სხვა უფრო გამოცდილ კომპანიებს ახალი პერესპექტივების და მძლავრი ბაზრის მოძიება გვიწევს, - ამბობს გია კეკუა, - რაც არ უნდა დიდი დარტყმა ყოფილიყო ეს ჩვენი პროდუქციისთვის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრეცედენტი საქართველოში ღვინის წარმოების "მეორე სუნთქვის" გახსნადაც შეიძლება ჩაითვალოს. რადგან ეჭვგარეშეა, რომ რუსულ ბაზარზე ფალსიფიცირებული ქართული ღვინის მოხვედრა მნიშვნელოვანწილად რუსი მომხმარებლის "გემოვნებამ" განსაზღვრა. ახლა კი ყველაფერი ჩვენზე და ჩვენი პროდუქციის ხარისხზეა დამოკიდებული."

"ქინძმარაულის მარნის" ღვინის მწარმოებელი ქარხნის ოფიციალური პრეზენტაცია მომავალი წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი. დარჩენილ დროს კომპანია საოფისე ფართის მოწყობას მოანდომებს, რომელიც რთველის ციებ-ცხელების და ღვინის წარმოების პროცესისთვის ჩვეული დაძაბულობის გამო ამ რთველზე ვერ მოხერხდა. მანამდე კი, ამ რთველზე დაკრეფილი ყურძენი ღვინოდ დაიწურება და შემდეგ აუცილებლად დაილევა.

# მკურნალობის მეთოდის არჩევა

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეკონომიკური სიდუხჭირისა და მოუგვარებელი სოციალური პრობლემების პირობებში ცხოვრობს, არის ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, ვისაც თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება სახელწიფოს მხრიდან.

გვინდა გაგაცნოთ თირკმლის ტერმინალური უკმარისობით (თირკმლის ფუნქციის მოშლა, როდესაც აღარ ხდება ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან) დაავადებული პაციენტების მდგომარეობა, რომელთა სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ თირკმლის ფუნქციის ხელოვნური ჩანაცვლებით არის შესაძლებელი, აგრეთვე, თუ როგორ ზრუნავს სახელწიფო ამ მძიმე სენით დაავადებულ ადამიანებზე.

თანამედროვე მედიცინის პირობებში შესაძლებელი გახდა თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთათვის სიცოცხლისუნარიონობის განუსაზღვრელი წლების განმავლობაში გახანგრძლივება ისე, რომ ისინი დაავადების მიუხედავად საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად რჩებოდნენ და თავიანთი ფიზიკური თუ ინტელექტუალური აქტივობით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ჯანმრთელ პოპულაციას.

ეს განპირობებულია არა მხოლოდ თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის (ჰემოდიალიზი, პერიტონეული დიალიზი, თირკმლის ტრანსპლანტაცია) ასპექტების დახვეწით, არამედ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკითა და დროულად დაწყებული მკურნალობით.

სწორედ ამ მიზნის მისაღწევად 1996 წელს გერმანელი პარტნიორების ხელშეწყობით ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში (ხელმძღვანელი აკადემიკოსი, პროფესორი ლაურ მანაგაძე) განახლდა სადიალიზო ცენტრი. 1997 წლიდან ამოქმედდა "თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის" სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება. განვლილ პერიოდში თანდათანობით განახლდა თბილისის სხვა სადიალიზო ცენტრებიც. სადიალიზო ცენტებია ასევე ქუთაისსა და ბათუმში. გაიზარდა პაციენტების რაოდენობაც და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

მიუხედავად იმისა რომ დილიზით მკურნალობა პაციენტებისათვის სრულიად უფასოა (საჭირო მედიკამენტების და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩათვლით), ყოველთვის მნიშვნელოვანია პაციენტთა სოციალური მდგომარეობისა და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, რასაც ადრე ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება ვერ ექცეოდა.

2005 წლამდე თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახეობის არჩევანი, კერძოდ, ჰემოდიალიზი თუ პერიტონეული დიალიზი, გარდა აბსოლუტური სამედიცინო ჩვენებისა, განისაზღვრებოდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების მოცულობით, ხოლო შეზღუდული დაფინანსების პირობებში პაციენტის ნება-სურვილის გათვალისწინება, კერძოდ კი "დიალაიზის სახლის პირობებში ჩატარება" (პერიტონეული დიალიზი), ყოველთვის ვერ ხერხდებოდა.

ეს იწვევდა იმას, რომ შორეულ რეგიონში მცხოვრებ პაციენტებს დაავადების სიმძიმისა და შესაბამისად მთელი დარჩენილი ცხოვრების დიალიზზე გატარების აუცილებლობის გაცნობიერებასა და გათავისებასთან ერთად უხდებოდათ საცხოვრებელი პირობების ძირფესვიანდ შეცვლაც: ისინი, ვინც ცხოვრობდნენ ისეთ რეგიონებში, საიდანაც კვირაში სამჯერ ჰემოდიალიზის ცენტრში სიარული შეუძლებელია, ტოვებდნენ სახლკარს და ოჯახებით იძულებით მიგრირედნენ იმ ქალაქში, სადაც გაშლილია ჰემოდიალიზის ცენტრი. ყოველივე ამას თავისთავად ცხადია თან სდევდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უქონლობა, უმუშევრობა და მრავალი სხვა სახის სოციალური პრობლემა.

2001 - 2004 წლებში დიალიზზე მყოფ პაციენტთაგან შესაძლებელი იყო მხოლოდ 22 (დიალიზზე მყოფ პაციენტთა მხოლოდ 5%) გადასულიყო პერიტონეული დიალიზით მკურნალობაზე და პაციენტთა დიდი თხოვნის მიუხედავად, არასაკმარისი დაფინანსების პირობებში მათი სურვილის დაკმაყოფილება ვერ ხერხდებოდა, რაც ბევრ მათგანში დიდ ფსიქოლოგიურ ტრავმებს იწვევდა.

2005 წელს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ინიციატივით ბიუჯეტის კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის საფუძველზე "თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის" პროგრამის მართვა, პირველად ჯანდაცვის პროგრამების არსებობის ისტორიაში, დაევალა პროფესიონალთა კავშირს - "საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი", რომელიც აერთიანებს საქართველოს სადიალიზო ცენტრებს და ყველა წამყვან სპეციალისტს.

აღნიშნული ცვლილების შედეგად რადიკალურად შეიცვალა საიდალიზო პაციენტებთან მიდგომა: გამომდინარე იქიდან, რომ სამედიცინო პერსონალი აღარ იყო მოქცეული "დაფინანსების მარწუხებში", ექიმი პაციენტს დეტალურად უხსნიდა დიალიზის ორივე სახეობის პრინციპებს, თითოეული მეთოდის უპირატესობასა თუ ნაკლოვანებას და პაციენტს უტოვებდა თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თუ რომელი მეთოდით გაეგრძელებინა მკურნალობა. სპეციალისტების დაკვირევებით, ასეთ პაციენტთა დამოკიდებულება თავიანთი დაავადების მიმართ სრულიად სხვაგვარი გახდა: ისინი ცდილობენ ითანამშრომლონ პერსონალთან, უკეთესად აცნობიერებენ და აანალიზებენ მოსალოდნელ გართულებებს და დიდ პასუხისმგებლობით ეკიდებიან იმ დანიშნულებასა და რჩევა-დარიგებას, რომელსაც მათ ავალებს სამედიცინო პერსონალი. ამით პაციენტთა ფსიქო-ემოციური ფონი შეუდარებელად გაუმჯობესდა.

ლელა კოშაძეს უროლოგიის ეროვნული ცენტრის ნეფროლოგიის განყოფილებაში შევხვდით, სადაც ექიმთან მორიგ ვიზიტზე დედასთან ერთად მივიდა: "როგორ შეიძლება ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვიყო, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ რომ დიალიზის სახლში ჩატარების საშუალება მაქვს. ეს რომ არა, ფიზიკურად ვერ მოვახერხებდი კვირაში სამჯერ საავადმყოფოში სიარულს" - გვითხრა ლელამ, რომელიც ბავშვობიდან შაქრიანი დიაბეტით არის დაავადებული და 2005 წლიდან პერიტონეული დიალიზით მკურნალობს.

თამუნა ჯანგირაშვილი 8 წლისაა და ჯანმრთელობის პრობლემა დაბადებიდან შეექმნა. უკვე მეორე წელია, რაც პერიტონეულ დიალიზზეა. თუმცა, ამ მეთოდის წყალობით, თამუნა სკოლაშიც ახერხებს სიარულს და წელს დასასვენებლადაც იყო წასული, სადაც მისი სიცოცხლისთვის აუცილებელ პროცედურას სახლში დედა უტარებდა.

"პერიტონეული დიალიზით მკურნალობის დაწყებისას მუცლის ღრუში იდგმება კათეტერი ოპერაციული გზით, რომლითაც შეგვყავს სპეციალური სადიალიზო სითხეები. ამის შემდეგ ვასწავლით პაციენტს, თუ როგორ უნდა ჩაიტაროს დამოუკიდებლად ეს პროცედურები. ამდენად, სხვადასხვა გართულებების არ არსებობის შემთხვევაში პაციენტს საავადმყოფოდან 10-14 დღეში ვწერთ და ექიმის დანიშნულების მიხედვით პაციენტი თვითონ იტარებს პროცედურებს სახლში შერჩეული რეჟიმის მიხედვით" - გვითხრა უროლოგიის ეროვნული ცენტრის ნეფროლოგიური განყოფილების ექთანმა ნინო ხიზანიშვილმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უროლოგიის ეროვნული ცენტრი ამჟამად ერთადერთი კლინიკაა საქართველოში, რომელშიც 1997 ოქტომბერს პროფესორ ლ. მანაგაძის ინიციატივით დაინერგა და დღემდე წარმატებულად ხორციელდება მუდმივი ამბულატორიული პერიტონეული დიალიზი, როგორც თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახეობა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, "საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირს" თავმჯდომარის ირმა ჭოხონელიძის მონდომებით და ინიციატივით მიმდინარეობდა პერსონალის ინტენსიური მზადება, რომლებიც პერიტოენულ დიალიზში გერმანელმა ექსპერტდამკვირვებლების პერიოდული ვიზიტების დროს ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ პაციენტთა მოვლასა და მონიტორინგში.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის პროგრამების შემუშავების და მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის ეკა ადამიასგან შევიტყვეთ, დიალიზით მკურნალობის პროგრამა სახელმწიფოსგან 2006 წელს 6 მილიონ 600 ათასი ლარით დაფინანსდა. "ქვეყნის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად აგვისტოში პროგრამას კიდევ 800 ათასი ლარი დაემატა. ამ თანხით შესაძლებელი გახდა დამატებით 20 პაციენტის პერიტონეული დიალიზით მკურნალობა. იმ პაციენტებისთვის, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით სარგებლობენ, მკურნალობა სრულიად უფასოა. შედარებისთვის გეტყვით, რომ მეზობელ სომხეთში მოქმედი ანალოგიური სახელმწიფო პროგრამა გაცილებით ნაკლებ პაციენტზეა გათვლილი, სადაც არ შედის, არც მედიკამენტებით უზრუნველყოდა და არც ლაბორატორიული გამოკვლევები, " - აღნიშნა ეკა ადამიამ.

როგორც "საქართველოს დიალიზის, ნეკროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის" მენეჯერმა ნინო პატარაიამ გვაცნობა 2006 წლიდან "თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის" პროგრამის ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად გაიზარდა და პროგრამის მართვა კვლავ დაევალა "საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირს", რომელმაც 2005 წელს სრულყო სადიალიზო ცენტრების ტექნიკური აღჭურვილობა, მიაღწია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მაქსიმალურ ოპტიმიზაციასა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პაციენტთა სამედიცინო მომსახურების დონე.

ყოველივე ამის შედეგად წლის დასაწყისში პერიტონეულ დიალიზზე მყოფ პაციენტთა რაოდენობამ მიაღწია 55-ს, ხოლო ჰემოდიალიზის პაციენტებისა 444-ს. მიმდინარე წლის აგვისტოდან შესაძლებელი გახდა კიდევ 20 პაციენტის გადაყვანა პერიოტონეული დიალიზით მკურნალობაზე, ხოლო 65 პაციენტისა ჰემოდიალიზზე. დღეისათვის პერიტონეულ დიალიზზე მყოფ პაციენტთა რაოდენობამ მიაღწია 75-ს, ანუ 18 თვეში გაიზარდა 200 პროცენტით, რაც მიმდინარე პერიოდისათვის დიალიზზე მყოფი მთელი პოპულაციის 15 პროცენტს შედგენს.

პერიტონეულ დიალიზზე მყოფი ყველა პაციენტი, ვისთანაც გასაუბრება მოვახერხეთ, ღრმა მადლიერებას გამოთქვამს კლინიკის ხელმძღვანელობის, სამედიცინო პერსონალისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ იმისათვის, რომ მიუხდევად სახელმწიფოს ეკონომიკური სიდუხჭირისა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ისინი უზრუნველყოფილნი არიან მკურნალობის ისეთი მეთოდით, რომელსაც იტარებენ სახლში, არ სჭირდებათ კვირაში სამჯერ კლინიკაში სიარული, თავისუფლად გადაადგილდებიან ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ და საშუალება აქვთ დაუბრკოლებლად გააგრძელონ ის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, რომელსაც ეწეოდნენ დაავადების გამოვლენამდე.

წინამდებარე წერილის გამოქვეყნება სწორედ პერიოტონეულ დიალიზზე მყოფ პაციენტთა სურვილითა და ნებით არის გამოწვეული.

*24 საათი*

# საქართველოს კარდიოლოგთა კონგრესი

ა.წ. 1-2 ოქტომბერს, სასტუმრო *"შერატონ მეტეხში"*, ფრანგული ფარმაცევტული კომპანია *"სერვიეს"* მხარდაჭერით, გაიმართა ***საქართველოს კარდიოლოგთა II კონგრესი***. მსგავსი ფორუმი იმართება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და მიზნად ისახავს ახალი, უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მიმოხილვას კარდიოლოგიის სამყაროში.

კონგრესში, გარდა ქართული კარდიოლოგიის ელიტისა, მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სპეციალისტებმა იტალიიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსოფლიო მასშტაბის კარდიოლოგის, იტალიელი პროფესორი რობერტო ფერარის სტუმრობა. სულ რამდენიმე კვირის წინ პროფ. ფერარი არჩეულ იქნა *ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების* პრეზიდენტად; ამდენად, საქართველოს კარდიოლოგთა კონგრესი იყო პრაქტიკულად პირველი სამედიცინო ფორუმი, სადაც ბ-ნი ფერარი წარდგა ამ საპატიო რანგში.

კონგრესი მიეძღვნა კარდიოლოგიის ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, გულის ქრონიკული უკმარისობა, დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, ინტერვენციული თერაპია და ა.შ.

კონგრესის გახსნით ნაწილში აუდიტორიას მიესალმნენ *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე*, ბ-ნი ლევან ჯუღელი, *საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების* პრეზიდენტი,






პროფ. ვახტანგ ჭუმბურიძე, პროფ. რობერტო ფერარი, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი ფილიპ ლეფორი.

პლენარულ სხდომაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფ. რობერტო ფერარის ლექციამ გულის იშემიური დაავადების მკურნალობის თანამედროვე პრინციპების შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილდა მედიკამენტთა ახალ კლასზე - *აგე ინჰიბიტორებზე*. მოცემული ჯგუფიდან პროფ. ფერარიმ გამოარჩია ცნობილი ფრანგული მედიკამენტი ***პრესტარიუმი***. მან აღნიშნა, რომ პრესტარიუმი არის დღესდღეობით ერთადერთი *აგე ინჰიბიტორი*, რომელიც არა მხოლოდ საიმედოდ აკონტროლებს არტერიულ წნევას, არამედ იცავს პაციენტს არტერიული ჰიპერტენზიის მრისხანე გართულებების - ინსულტის, მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის ქრონიკული უკმარისობის - განვითარებისგან.

საყურადღებო იყო ასევე ცნობილი ქართველი კლინიცისტის, პროფ. თამაზ შაბურიშვილის ლექცია "მტკიცებულებათა მედიცინის საუკუნე". მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე ფარმაცევტულ სამყაროში, სადაც არაერთი კომპანია ახდენს საკუთარ მედიკამენტთა აქტიურ პროპაგანდას, პრეპარატის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი ეფექტურობის მტკიცებულებათა ბაზას. ამ კონტექსტში კი უპირეტესობა უნდა მიენიჭოს ორიგინალურ მედიკამენტებს, რომლებიც, განსხვავებით ანალოგებისაგან, შესწავლილია ფართომასშტაბიან, სარწმუნო საერთაშორისო კვლევებში.

*საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების* პრეზიდენტმა, ცნობილმა კარდიოლოგმა, პროფ. ბეჟან წინამძღვრიშვილმა დეტალურად ისაუბრა არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის პროგრამაზე საქართველოს მოსახლეობაში და ხაზი გაუსვა თანამედროვე, მაღალხარისხიან პრეპარატთა გამოყენების მნიშვნელობას ამ დაავადების მკურნალობაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არტერიული წნევის ოპტიმალური კონტროლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრეპარატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა მაღალი კლინიკური ეფექტურობა, კარგი ამტანობა და გამოყენების სიმარტივე.

დიდი ინტერესი გამოიწვია, ასევე, რუსეთში მოღვაწე ქართველი კარდიოლოგის, პროფ. დავით ნებიერიძის მოხსენებამ პრინციპულად ახალ მიდგომაზე არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობაში - ე.წ. *ფიქსირებული დაბალდოზიანი კომბინაციის* გამოყენებაზე. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა პრეპარატ ***ნოლიპრელზე***, რომელიც სადღეისოდ წარმოადგენს ერთადერთ ფიქსირებულ დაბალდოზიან კომბინაციას ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტთა შორის.

ცნობილი ქართველი კლინიცისტისა და პედაგოგის, პროფ. ირაკლი მეგრელაძის გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა სტენოკარდიის მკურნალობის თანამედროვე პრინციპებზე. მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სტენოკარდიის მკურნალობის უნიკალურ მეთოდს - ე.წ. *მეტაბოლურ თერაპიას*, და კერძოდ პრეპარატ ***პრედუქტალ MR-ის*** განსაკუთრებულ როლს ამ თერაპიაში.

მეტად საინტერესოდ ჩაიარა, ასევე, ინტერვენციული კარდიოლოგიის სექციამ, სადაც, ქართველ კლინიცისტთა მხარდამხარ, აქტუალური მოხსენებები წარმოადგინეს მათმა ავსტრიელმა კოლეგებმა - პროფ. ჰ. მიულერმა და პროფ. პ. სიოსტრზონეკმა.

ღონისძიების ბოლოს დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებას ვერ მალავდა ჩატარებულ კონგრესთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღინიშნა როგორც ღონისძიების მაღალი აკადემიური დონე, ისე შესანიშნავი ორგანიზება, რის გამოც განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს მისმა სულისჩამდგმელებმა - *საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოებამ, საქართველოს გულის ფონდმა* და ფარმაცევტულმა კომპანია *"სერვიემ"*.



# აფიშა

**6 ოქტომბერი**

## თეატრი

**შ.რუსთაველის სახელობის თეატრი**
"ვანილის მოტკბო სევდიანი სურნელი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ურიელ აკოსტა"
რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი
მხატვარი პეტრე ოცხელი
სპექტაკლი აღადგინა სოფიკო ჭიაურელმა
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
"ოსკარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

## კინო

**"რუსთაველი"**
"გორფილდი 2"
დასაწყისი: 12:00; 14:00; 18:00
"პატარა კაცი"
დასაწყისი: 16:00; 20:00; 22:00

## გალერეა

**"ქარვასლა"**
"მთელი ქალაქი"
გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის ფოტოგამოფენა
"ჩინური ფაიფური"
ფოტოგამოფენა - "ქართველი ემიგრანტები"

**"ვერნისაჟი"**
თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

**შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**
გია ბუღაძის გამოფენა
ფერწერა

# "სუხიშვილების" გასტროლები

ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის გასტროლები, რომელიც მოსკოვში 1-2 ნოემბერს იგეგმებოდა, შესაძლოა ჩაიშალოს.

როგორც ანსამბლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა ხატია ექიზაშვიმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერებასთან დაკავშირებით მოსკოვში "სუხიშვილების" გასტორლებისთვის მზადების პროცესიც შეწყდა.

"ვინაიდან რუსეთის ფედერაციის საკონსულომ საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა შეწყვიტა, ჯერჯერობით გაურკვეველია მოახერხებს თუ არა ჩვენი იმპრესარიო ანსამბლის წევრების მოსკოვში ჩაყვანას. იმედი გვაქვს, ერთ თვეში რამე შეიცვლება და ანსამბლის გასტროლები არ ჩაიშლება", - განაცხადა ექიზაშვილმა.

მისი თქმით, მოსკოვში "სუხიშვილების" სარეკლამო აფიშები და ბილბორდები პირველი სექტემბრიდან გაიკრა. ჩატარდა სერიოზული სარეკლამო კამპანია. დღეისთვის გაყიდულია ბილეთების 50 პროცენტი. თუმცა, ბილეთების გაყიდვა ამჟამად შეჩერდა. თუ არაფერი შეიცვლება, ორი კვირის შემდეგ გაყიდული ბილეთების დაბრუნება დაიწყება.

*ინტერპრესნიუსი*

# ახალი "არმია" შხარაზე

სოფო კილასონია

*1954 წლის გაზაფხულზე სვანეთის მთებში ყინული დაიძრა, რომელმაც შეიარაღებული ჯარისკაცები ჩამოიტანა - კავკასიის აღების ერთ-ერთი მცდელობის ნაშთი. სვანი გლეხის ომინდე კორძაიას დღიურებში შემორჩა ინფორმაცია 1942 წელს კავკასიის მთებში მესამე რაიხის ოფიცერთა დესანტის გადმოსხდომის შესახებ. დამატებითი სამხედრო ძალის მოლოდინში დესანტი მოსახლეობას დაუახლოვდა, მასთან ასიმილაცია მოხდინა და იქვე დაიღუპა. სვანეთის მოსახლეობამ დესანტის იდენტიფიკაცია მტერთან ვერ მოახერხა... (ან იქნებ გადმოსხმულმა ჯარისკაცებმა ვერ მოახდინეს თვითიდენტიფიკაცია თავდამსხმელ არმიასთან?!)...*



ამბავი, რომლითაც ეს სტატია დავიწყეთ, იმ პროექტის ე.წ. ქუდია, რომელიც ამ ზაფხულს სვანეთში, ენგურის სათავესთან განხორციელდა. ეს იმ ცნობილი პროექტების გაგრძელებაა, რომელიც კურატორმა ქეთევან კორძახიამ ლენდ არტის სათაურით 2003 და 2004 წლებში განახორციელა. მანამ, სანამ ერთობ პაციფისტური პროექტი "არმია" სვანეთში და სვანებთან ერთად განხორციელდებოდა, იყო "კუნძული", რომელიც აზერბაიჯანში, ნარდინის კუნძულზე შედგა. გარკვეული ანალოგიებით საბჭოთა კავშირთან და მძიმე პირობებით, რომელიც, თავისთვაად ცხადია, კავკასიელმა და უცხოელმა ხელოვანებმა სხვადასხვაგვარად გადაიტანეს. საბჭოური "სივრცეების" ანალოგიურ გარემოს ქართველებისა და აზერბაიჯანელებისთვის ესთეტიზმის ძიებაში ხელი არ შეუშლია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ევროპელებსა და ამერიკელებზე, რომელთაც ნარდინზე გატარებული დღეები ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ.

სანამ კურატორი და მისი დაკვირვების ობიექტები შხარას კალთებთან კარავს დასცემდნენ, ორი წლით ადრე იყო შატილში ლენდ არტის სულ სხვა ვარიაციები თემაზე "ციხესიმაგრე". როგორც ჩანს, ამ პროექტების ავტორისთვის სივრცესა და ვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნებისა და ხელოვანთა ფუნქციების განსაზღვრისას. ასე რომ არ იყოს, "კუნძულსა" და "ციხესიმაგრეს" არ მოჰყვებოდა "არმია", რომლის წერილობით ვერსიაში ვკითხულობთ:

"ქვეყანა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში დამკვიდრებული, საკუთარი ენის, რწმენისა და წესჩვეულებების მქონე ადამიანთა დიდი ჯგუფია.

ქვეყანა სახელმწიფოა, თუკი აქვს ჰიმნი, გერბი, საკუთარი ფულადი ნიშანი და ჰყავს არმია.

არმია სამხედროებისგან შემდგარი დაჯგუფებაა. სამხედრო სპეციალობაა. სამხედრო პირი მხოლოდ საომარ სიტუაციაში ხდება მეომარი. მშვიდობიან ვითარებაში სამხედროები ხშირად ომობანას თამაშს იწყებენ, რათა კარგი მეომრები გახდნენ. სახელმწიფოსთვის აუცილებელია ჰყავდეს სამხედროებისგან შემდგარი პროფესიული არმია, რომელიც ომის დროს მეომარი არმია გახდება. არმია ხელისუფლების პირმშოა. კარგი არმია შემდგარი სახელმწიფოს ნიშანია. ომს სამხედოები იწყებენ. მაგრამ ომს მეომრები იგებენ და აგებენ. მშვიდობიანობის დროს სამხედრო სამხედროდ რჩება და მეომარი ვერ გახდება. მაგრამ სამხედროები მამაკაცები არიან. ყველა სამხედროს უნდა, რომ კარგი მეომარი იყოს, რადგან ყველა მამაკაცი ბუნებით მეომარია. მეომარი შემდგარი მამაკაცია. არმია მამაკაცია. სამშობლო ქალია.

სვანეთში მომხდარი ისტორია იქნებ იმის დასტურიცაა, რომ სამშობლოსთან და მის დაცვასთან იდენტიფიკაციის გარეშე ჯარისკაცები თავს არმიად ვერ იგრძნობენ..."

მკითხველი დამეთანხმება, რომ ამგვარი იდეოლოგიის (კარგი გაგებით) არტისტული გამოვლინება არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ბევრად შორეულებისთვისაც უცხო ხილია.

ის, თუ როგორ დაიტირეს 12 წლის შემდეგ ქართველმა დედებმა სვანეთში დაშვებულ დესანტთა გვამები, ყველას ერთნაირად აოგნებს, "არმიაში" მონაწილე ფრანგსაც, გერმანელსაც და ამერიკელსაც. რაც შეეხება მათ იდენტიფიკაციას ამ ისტორიასთან, ისინი ამ თვალსაზრისით განსხვავდებიან. გერმანელ არტისტს საკუთარი ხალხის სულ სხვა წარსულის გამო "ეწურება გული", ამერიკელს კი - საკუთარი ქვეყნის სულ უახლესი წარსულის გამო. თუმცა ამ ყველას უშგულთან ამ ზაფხულს მაინც ერთი რამ აერთიანებდა. რაღაც ბევრად ზოგადი ძიება და აღმოჩენა იმისა, რაც XXI საუკუნის ადამიანებს თითქოს აღარ გააჩნიათ, ძიება ზოგადადამიანური განცდებისა, რომელიც მათ შორის ნებისმიერ ბარიერს მოსპობდა - კულტურულს, პოლიტიკურს, ცხოვრებისეულს... ჩემი მორიგი მასპინძელი ქათევან კორძახია ამ საერთოს "ვაჟას ფილოსოფიას" ეძახის და დღემდე იმ ემოციას ატარებს და გასცემს, რომელიც მის მიერვე შერჩეულ არტისტებთან ერთად დაინახა და თბილისში ჩამოიტანა.

ახლა იმ ამბავზე ვწერთ, რომელშიც თითქმის არ არის "მაგრამ", თითქმის არსად, მაგრამ იყო ერთი. "არმიის", როგორც სახელმწიფოს ღირსების გაგება და ამ იდეის გაზიარება გაუჭირდათ ამერიკელებს და თითქმის ვერ შეძლეს ხელოვანებმა ისრაელიდან...

"სულ იყო რვა მონაწილე. ერთი კოსოვოდან ჩამოვიყვანე, ორი გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი, ორი ქართველი: გუგა კოტეტიშვილი და ლევან დადიანი და ერთიც აზერბაიჯანელი. მთავარი ის კი არ იყო, რომ მათ მაინცდამაინც სამხედრო თემაზე ემუშავათ, მაგრამ არმიის თემამ და ჩვენმა ისტორიამ მათ იმპულსისა და ქვეცნობიერის დონეზე ბევრი რამ უკარნახათ. თუ თითოეულმა ჯარისკაცმა იცის და აცნობიერებს საკუთარ მისიას და არა სამსახურებრივ ფუნქცია-ვალდებულებას, მაშინ ყველაფერი კარგად გვექნება. სამხედრო რომ არ იყო, მამაკაცი ხომ მაინც ხარ და შენი პასუხისმგებლობაა მზრუნველობა და დაცვა. ეს არის შენი რეალიზების ასპარეზი. არმია სრულფასოვანია მაშინ, როცა მისმა ყველა წევრმა იცის, რა არის მისი მისია. და თუ არსებობს სრულფასოვანი არმია, რომლის წევრებსაც შეუძლიათ თვითიდენტიფიცირება სახელმწიფოსა და სამყაროს წინაშე მისივე მისიასთან, მაშინ არმია ასპროცენტიანია. და თუ ეს ასეა, მაშინ სახელმწიფოსაც კარგად აქვს საქმე."

იმის მიუხედავად, რომ მოცემული ისტორია, როგორც მათი თავმოყრის მიზეზი, საკმაოზე მეტად ლიტერატურული და დრამატული გახლდათ, არც ერთ მონაწილეს არ ჰქონია კონკრეტული ისტორიისა და ძირეული კონცეფციის მის გეოგრაფიულ არეალში გააზრების მცდელობა. ასოციაციების, შეგრძნებისა და იდეათა პროვოცირების გზით "არმიაც" და ის გერმანელი გაყინული დესანტებიც გლობალურ თემებსა და საკითხებში დაინახეს. მაგალითად, გერჰარდ შაბელისთვის მთელმა ემოციურმა კვანძებმა ანატოლიებთან მოიყარა თავი. იქ, სადაც ძველი ქართველები უფალს განმარტოებით აბარებდნენ სულს, ხელოვანმა, ვილაცისთვის ალბათ პერფორმანსი, ჩემი აზრით კი, ქმედითი მემორიალი შექმნა. მდინარიდან ხელით ამოტანილი წყალი და წვეთ-წვეთობით შევსებული ფიალები არტისტების მიერ პროცესიად იქცა. იმ დღეებში სწორედ მათთან ერთად გაანათეს ლამარია. ერთ-ერთი ხელოვანის ინსცენირებით მოსახლეობამ ხატებიც გააცოცხლა და ღვთისმშობელიც ჩამოატარა შხარის კალთებზე. იმ დღეებში მათ მუსიკაც დაწერეს რეკვიემის სტილში და უსაზღვრო დატვირთვის ყინულის მემორიალიც გამოიკვეთა. კიდევ ბევრი რამ მოხდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ნებისმიერი ობიექტისა და ქმედების განხორციელებაში მასპინძელი სვანები თავად მონაწილეობდნენ.

შხარას კალთებზე პროექტმა "არმიამ" არაერთი ექსპონატი დატოვა. ქალბატონი ქეთი ამბობს, რომ ისინი ლუვრისთვის ნამდვილად შეუფერებელია, მაგრამ ხელოვნების მიზანი რომ მხოლოდ ლუვრის თბილი კედლები არ არის, რა ხანია გავაცნობიერეთ ადამიანებმა...

"ხელოვნება აქტუალურია მაშინ, როცა ის ემოციურ იმპულსებს გაძლევს. სვანები პატარა ბავშვებს ჰგვანან. ისინი საოცრად ნამდვილები არიან. როცა ნამდვილია ემოციაც და დამოკიდებულებაც, მაშინ პროდუქციაც არის ნამდვილი. შეიძლება მხატვარი არ იყოს ძალიან ნიჭიერი, მაგრამ მთავარია იყოს გულწრფელი... არტისტი არ არის მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც მოლბერტზე გაშლილ ტილოს ერკინება. ჩემთვის არტისტი კარგი მეწაღეცაა, ადამიანი, რომელიც ისე აცხობს პურს, რომ არ იტყუება. მთავარია შემოქმედებითი დამოკიდებულება ყველაფერთან. სვანეთი ხელოვანთათვის ამოუწურავი საბადოა, სადაც უამრავი რამის კეთება შეიძლება. მოსახლეობა ჩაერთო თამაშში, რომელიც ჩვენ მათ შევთავაზეთ. სხვა რა არის ხელოვნება? ის ხომ თამაშია. ჩვენ ყველამ ვისიამოვნეთ ამ ნამდვილი ურთიერთობით."

პროექტის პრეზენტაცია თბილისში არ იგეგმება. ის პრაქტიკულად არ გაშუქებულა და ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ავტორის აზრით, ეს არ არის ის შემთხვევა, რომ იგი თბილისში მორიგი საჩვენებელი გამოსვლის მოწყობას საჭიროებდეს. მისი პრეზენტაცია დაგეგმილია ციურიხში, რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ "არმიის" მიზანი ბევრად უფრო შორს მიდის, ვიდრე ლამაზი და უჩვეულო არტისტული ზაფხულის "პრომოუშენი" იქნებოდა.

ეს იქნება ემოციური გზავნილი მსოფლიოსთვის. ეს ისტორია შეშურდება ნებისმიერს, თუმცა ძალიან ბევრი ამას საერთოდ ვერ გაიგებს. ჩვენ ვიტყვით, რომ ქვეყანა, რომელიც აშენებს არმიას, ქვეყანა, რომელიც საომარ მდგომარეობაშია და აქვს კრიტიკული სიტუაცია - ქვეყნის ორი ორგანული ნაწილი პრაქტიკულად დაკარგულია, აი, ასეთ მდგომარეობაში ამ პროექტით გზავნის შეტყობინებას: "ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელსაც დღესაც შეუძლია მსოფლიო ღირებულებებზე საუბარი."

პრეზენტაციაზე ციურიხში წარდგენილი იქნება ვიდეო და ფოტომასალა. კიდევ ის პლაკატი, რომელიც ერთ-ერთმა ხელოვანმა გააკეთა და თანაც მიაწერა: "არსებობს გადარჩენის შანსი, თუკი არსებობს საზღვარი." ვფიქრობთ, რომ სვანური ოდების საფუძველზე ამ ფრაზის ავტორმა მისთვის ახალ და საინტერესო თემასაც მიაგნო - საზღვარს.

მონაწილეები შეეცდებიან ციურიხამდე ყველაფერი მიიტანონ, არაფერი დაკარგონ. მაგრამ ისიც იციან, რომ ვერც ერთი ფოტო იმ რეალურ სურათს ვერ გადმოსცემს, იციან, რომ ემოცია ამ ფოტოების მიღმა დარჩა.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მის: 4600, ქ. ქუთაისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.N21), აცხადებს ტენდერს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალურ შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული იქნება სამუშაოების ჩამონათვალი.**

2. შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

3. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის 31 დეკემბრამდე

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 ოქტომბერს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.N21, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სატენდერო კომისიის აპარატი. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი

**5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

d) ინფორმაცია ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ე) ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა.შ.).

| № | მანქანა მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის და სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ვ) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ზ) ცნობა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (წარმოდგენილი უნდა იყოს აუდიტის დასკვნა)

თ) სუბ-კონტრაქტორის გამოყენება დაუშვებელია.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

8. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 26 ოქტომბრამდე მისამართზე: ქ.ქუთაისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.N21, სატენდერო კომისიის აპარატი

9. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები შეიძლება გადამოწმებული იქნას სატენდერო კომისიის მიერ ინდივიდუალურად.

13. იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ ყველა ცნობებსა და დოკუმენტაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

14. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით..

15. სატენდერო წინადადების მომზადებისას ტენდერში მონაწილე პირის მიერ დათვალიერებული და დეტალურად შესწავლილი უნდა იქნას ჩასატარებელი სამუშაოების ადგილი.

16. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან ირმა ზაქარაია, გიორგი გაბიძაშვილი, მისამართზე: ქ.ქუთაისი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.N21 ტელ: (8231) 20614; 43173. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სატენდერო კომისია**

# "საქორწინო გარიგება"

## მუსიკისა და დრამის თეატრის ერთკვირიანი გასტროლი ბერლინში

ანა სუხიშვილი




გერმანიაში, კერძოდ ბერლინში, ხელოვნების დიდი ცენტრია განთავსებული - "კულტურბრაუერაი". ეს ცენტრი ხუთ თეატრს, ექვს საგამოფენო დარბაზს და კიდევ რაღაც-რაღაცებს ითვლის და უამრავ კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობს. მოკლედ, აქ სიცოცხლე დუღს და გადმოდის...

25-დან 28 სექტემბრის ჩათვლით ცენტრის ერთ-ერთ თეატრში, "კაზელჰაუსში", სპექტაკლებს მართავდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი.

ჯოაკინო როსინი
"საქორწინო გარიგება"
ოპერა-ფარსი ერთ მოქმედებად
რეჟისორი დავით დოიაშვილი

დირიჟორი ნიკა მემანიშვილი - აუწყებდა აფიშა ბერლინის მცხოვრებთ.

2006 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, რეორგანიზაციის შემდეგ განახლებულმა მუსიკისა და დრამის თეატრმა სეზონიც სწორედ ამ ოპერით გახსნა. "საქორწინო გარიგება" როსინის რიგით მეორე, თუმცა სცენაზე დადგმული პირველი ოპერაა, არცთუ ისე პოპულარული. "ისე დავიწყეთ ამ ოპერის დადგმა, რომ არც მიფიქრია, თუ ამით გავხსნიდით თეატრს..." - ამბობს რეჟისორი დავით დოიაშვილი. ოპერაზე მუშაობას თავიდან დასის მოსამზადებელი ფუნქცია ჰქონდა, უნდა შემოწმებულიყო მსახიობთა ვოკალური მონაცემები, მზადყოფნა. მერე აღმოჩნდა, რომ მსახიობთა დიდი ნაწილი კარგადაა მომზადებული და სიძნელეებიც უკან დარჩა.

პრემიერა შედგა და გაამართლა კიდეც; ბედად, მოწვეულმა ერთ-ერთმა პროდიუსერმა დასი ბერლინში დაპატიჟა. გასტროლმა წარმატებით ჩაიარა. როსინის ნაკლებად პოპულარულმა ოპერამ ბევრი დააინტერესა. რეჟისორი სიამაყით აღნიშნავს, რომ სპექტაკლზე ყოველგვარი მიწვევის გარეშე მივიდა გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარე; სპექტაკლს დაესწრო არაერთი პროდიუსერი და იყო უამრავი შემოთავაზება. იანვარში დასი ალბათ ისევ წავა საგასტროლოდ. მაყურებლის ინტერესი და ოვაცია ბევრ ისეთ სცენურ გადაწყვეტას მოჰყვა, რამაც თავად რეჟისორიც კი სასიამოვნოდ გააოცა.

გასტროლის შემდეგ მსახიობები კმაყოფილები და შემოქმედებითად დამუხტულები არიან. თეატრში ნამდვილი სამუშაო გარემოა. 15 ოქტომბერს სეზონი გაიხსნება პრემიერით "მარლენ დიტრიხი". ეს არის dramma per musica, შექმნილი მარლენ დიტრიხის ბიოგრაფიული წიგნის მიხედვით. მთავარ როლს ეკა კახიანი შეასრულებს. პრემიერაზე ელოდებიან ათამდე პროდიუსერს, სტუმრებს ბერლინიდან, პარიზიდან...

დავით დოიაშვილის აზრით, მუსიკალურ თეატრს ხელმოკლე ქვეყნისთვის ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: მოითხოვს მრავალფეროვან დეკორაციას, დიდ სცენას და, შესაბამისად, ბევრ ფულს. ამჟამად ჩვენს თეატრში დიდი სცენის დასამთავრებლად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, დროებითი სცენა კი ფოიეშია მოწყობილი. რეჟისორი ამბობს, რომ სანამ დიდი სცენა არ გაიხსნება, ეს თეატრი ერთგვარი ექსპერიმენტული იქნება; თუმცა, სასიკეთო ძვრები ნამდვილად შეინიშნება და რეჟისორს დაპირებების იმედიც აქვს. ასე რომ, დასი აქტიურ მუშაობას განაგრძობს და ნოემბერ-დეკემბერში ახალ სპექტაკლებს შემოგვთავაზებს: ერთ სპექტაკლს ლევან წულაძე დადგამს. ამას მოჰყვება კოტე ფურცელაძის საბალეტო სპექტაკლი, მერე - "მერი პოპინსი". ჯერჯერობით კი - "მარლენ დიტრიხი" ეკა კახიანის შესრულებით.

# მინანქრის მეორე საერთაშორისო ბიენალე

გალერეა "შარდენი" მინანქრის მეორე საერთაშორისო ბიენალეს უმასპინძლებს.

ბიენალე "ახალი ტალღა" 7 ოქტომბერს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გამოფენით და პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონიალით გაიხსნება.

ღონისძიებაში 17 ქვეყნის ასამდე მხატვარი მიიღებს მონაწილეობას. ნამუშევრების შერჩევა ივლისში დაიწყო. ჟიურის თავმჯდომარეა პროფესორი ირინა არსენიშვილი. ბიენალე პრემიერ-მინისტრის მეუღლის ნინო ნოღაიდელის პატრონაჟით გაიმართება.

გრან-პრის მფლობელი 1 500 დოლარით დაჯილდოვდება. ეროვნული პრიზის ნომინაციაში გამარჯვებული კი 1 000 დოლარს მიიღებს. ფულადი ჯილდო დაწესებულია მათთვისაც, ვინც დამთვალიერებელთა სიმპათიას დაიმსახურებს ან საუკეთესო დიზაინისა თუ სხვა ნომინაციაში გაიმარჯვებს.

"ახალი ტალღის" ნამუშევრების დათვალიერება დაინტერესებულ პირებს 8 ოქტომბრიდან უშუალოდ გალერეა "შარდენში" შეეძლებათ. გამოფენა 17 ოქტომბრამდე გასტანს. **ინტერპრესნიუსი**

**2006 წლის 8 ნოემბერს, 14 საათზე, გაიმართება სააქციო საზოგადოება "ნოჯიხევის" აქციონერთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: სააქციო საზოგადოება "ნოჯიხევის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ჩაის ფაბრიკის გასხვისების შესახებ.**

**აქციონერთა კრება ჩატარდება სააქციო საზოგადოება "ნოჯიხევის" ოფისში. ქ. ხობი 26 მაისის ქუჩა N7.**

**სააქციო საზოგადოება "ნოჯიხევის" დირექცია**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო გაცნობებთ, რომ 2006 წლის საგაზაფხულო სასერტიფიკაციო სესიაზე სერტიფიცირებული ექიმებისათვის სახელმწიფო სერტიფიკატების გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან, ყოველდღე, 11-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.**

**მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N23.**

# განდგომილთა ტრიო

## მარტინ სკორსეზეს ახალი ფილმის პრემიერა "რუსთაველში" გაიმართება

ია ვეკუა



მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ მარტინ სკორსეზეს ორი უკანასკნელი ნამუშევარი "ნიუ იორკის ბანდები" და "ავიატორი" სრული ჩავარდნა იყო, რეჟისორმა ახალი, მეგა ვარსკვლავებით დატვირთული და საკმაოდ დამაინტრიგებელი სიუჟეტიანი ფილმი გამოუშვა. "განდგომილი" (The Departed) იმთავითვე სკორსეზეს რეპუტაციის რეაბილიტაციისთვის საჭირო ნამუშევრად მოინათლა და არცთუ ტყუილად, რადგან ფილმს უკვე თვლიან "საოსკარო" ხუთეულში.

"განდგომილის" მსოფლიო პრემიერა 6 ოქტომბერს არის დაგეგმილი. ამავე დღიდან მისი ნახვის საშუალება კინოთეატრ "რუსთაველის" მაყურებელსაც მიეცემა. განახლებული კინოთეატრის ერთ-ერთ დარბაზში რამდენიმე კვირის განმავლობაში ლეონარდო დი კაპრიოს, მეტ დეიმონისა და ჯეკ ნიკოლსონის ტრიოს იხილავთ. მთავარი დებიუტი კი ნიკოლსონისთვის შედგება, რომელიც მარტინ სკორსეზესთან პირველად მოხვდა გადასაღებ მოედანზე.

"განდგომილი" სკორსეზემ 2002 წელს გამოსული ჰონკონგური ფილმის მიხედვით გადაიღო. როგორც ჩანს, პირველწყარო მართლაც იმსახურებდა ყურადღებას, რადგან მისით თვით სკორსეზე დაინტერესდა. ამ ფილმის გადაღება რეჟისორს გაცილებით ადრე სურდა, თუმცა რიმეიკის უფლების ყიდვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით გაიწელა.

ფილმის სიუჟეტი სრულიად უცვლელი დარჩა. შეიცვალა მხოლოდ დეკორაცია, გარემო და მსახიობები. სიუჟეტის თანახმად, ორი ამერიკელი პოლიციელი ბილი კოსტიგანი და კოლინ სალივანი ფარულად შეიპარებიან დამნაშავეთა დაჯგუფებაში. თუმცა ირლანდიელი კრიმინალების ნდობის მოპოვებას მხოლოდ ერთი ახერხებს. მისი მისია ბანდის მეთაურის ფრენკ კოსტელოს წინააღმდეგ სამხილების შეგროვება და პოლიციისთვის გადაცემაა. მეორე პოლიციელს კი ინფორმაციას თვით სალივანი აწვდის. ფილმში კულმინაციური მომენტი მაშინ დგება, როდესაც სალივანი და პოლიცია ინფორმატორების დადგენას იწყებენ.

დი კაპრიო-დეიმონი-ნიკოლსონის გარდა, სკორსეზეს ახალ ნამუშევარში ალეკ ბოლდუინი, მარკ ვოლბერგი და მარტინ შინიც მონაწილეობენ.

შეიძლება ითქვას, რომ ლეონარდო დი კაპრიო უკვე იქცა მარტინ სკორსეზეს ფავორიტ მსახიობად, ისევე, როგორც წლების განმავლობაში რობერტ დე ნირო იყო. მათ უკვე მესამე ფილმში ითანამშრომლეს. "ნიუ იორკის ბანდები" და "ავიატორი" - ორივე სწორედ ის ფილმია, რომლებიც სკორსეზეს ჩავარდნად მიიჩნევა, თუმცა ის მაინც ჯიუტად განაგრძობს დი კაპრიოსთან თანამშრომლობას - ალბათ იმის იმედით, რომ მესამე ცდაზე მაინც გაუმართლებს. რაც შეეხება "ოსკარზე" ბრძოლას, დი კაპრიოს სერიოზული კონკურენცია ელის.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო**

საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს კონკურსს *ლაგოდეხის, ბაწარა-ბაბენურის, თუშეთისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო ექსპოზიციისა და ტერიტორიაზე საორიენტაციო ნიშნების სრულფასოვანი პროექტის მომზადებაზე.*

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული, ტელ:. 995 32 752415/16/17. საკონტაქტო პირი: პაატა შანშიაშვილი; ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, 2006 წ.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო**

საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს კონკურსს *ცხენების შესყიდვაზე ლაგოდეხის, თუშეთის, ვაშლოვანისა და ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიებისთვის.*

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, გულუას ქ. 6, მე-6 სართული, ტელ.: 995-32-752415/16/17. საკონტაქტო პირი: ვახტანგ ჯალიაშვილი. ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის ბოლო ვადაა 2006 წლის 25 ოქტომბერი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს გენეტიკური კვლევის ლაბორატორიის მოწყობილობების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 დეკემბერი DDP - თბილისი.

2. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ოქტომბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების თაობაზე, რომელთა საერთო ღირებულება აღემატება 500000.00 (ხუთასი ათასი) ლარს:

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| . | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 6 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

7. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

## მოკლედ

### ევროლაზარეთი

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე "სკუადრა აძურას" თბილისში "ინტერის" მცველი ფაბიო გროსო ვერ ჩამოჰყვება. იტალიელმა მცველმა კვირას "კალიარისთან" მატჩში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც ორი კვირა დაისვენებს. დონადონის გუნდს, სავარაუდოდ, უკრაინასთან და საქართველოსთან შეხვედრებში ვერც ნახევარმცველი სიმონე პეროტა დაეხმარება. "რომას" ჰავბეკმა ვარჯიშზე თანაგუნდელ მასიმო ოდოსთან შეჯახებისას მარცხენა ტერფი იტკინა.

■ ■ ■

ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ქვეჯგუფში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქეს - შოტლანდიას - ნახევარმცველი ნაიჯელ კოუში საფრანგეთთან და უკრაინასთან ვერ დაეხმარება. ფეხბურთელს ჯერაც არ მოუშუშებია ტერფის ტრავმა. რაც შეეხება რაიმონ დომენეკის გუნდს, შოტლანდიასთან ვერ ითამაშებს პატრიკ ვიეირა. "ინტერის" ნახევარმცველი ვარჯიშზე ლილიან ტიურამთან შეჯახებისას დაშავდა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ტრავმის გამო გამოტოვებს ბუნდესნაკრების თავდამსხმელი ოლივერ ნოივილი. 33 წლის ფორვარდის არყოფნა, სავარაუდოდ, სამ დებიუტანტს მისცემს მოედანზე გასვლის შანსს - იან შლაუდრაფს, პიტერ ტროხოვსკის და კლემენს ფრიცს. "როგორც ექიმები ამბობენ, ოლივერი ორშაბათიდან შეძლებს ვარჯიშის განახლებას", - განაცხადა ბუნდესნაკრების თავკაცმა იოაჰიმ ლიოვმა. D ჯგუფის ლიდერები ოთხშაბათს სტუმრად სლოვაკეთის ნაკრებთან ითამაშებენ.

■ ■ ■

ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩში პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს უგუ ალმეიდა და ფერნანდუ მეირა ვერ დაეხმარებიან. გერმანული "ვერდერის" თავდამსხმელმა კუნთი დაიზიანა, "შტუტგარტში" მოთამაშე მეირამ კი ეს-ესაა მოიშუშა ტრავმა. შესაბამისად, ორივე ფეხბურთელი არა მხოლოდ ა ჯგუფის ხვალინდელ მატჩს გამოტოვებს აზერბაიჯანთან, არამედ პორტუგალიის ნაკრებს ვერც ოთხშაბათს პოლონეთთან გასვლით შეხვედრაში დაეხმარება.

■ ■ ■

ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელს იონ კარეუს კვლავაც აწუხებს ბარძაყის ტრავმა, რის გამოც სკანდინავიელი საბერძნეთთან ვერ ითამაშებს. ნორვეგიელთა თავკაცის ოგე ჰარეიდეს თქმით, "ლიონის" ფორვარდს "როსენბორგის" თავდამსხმელი სტეფან ივერსენი შეცვლის.

■ ■ ■

ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი ივიცა ოლიჩი თავისი ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას ვერც ანდორასთან და ვერც ინგლისთან ვერ დაიცავს. მოსკოვის ცსკა-ს 27 წლის ფეხბურთელმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ასეთივე ტრავმა აწუხებს კიდევ ორ ხორვატს - მილან რაპაიჩსა და გორან საბლიჩს. თუმცა, ხორვატთა მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი იმედოვნებს, რომ რაპაიჩი და საბლიჩი ინგლისთან მაინც ითამაშებენ.

■ ■ ■

ესპანეთის ნაკრები, რომელსაც ევროპის შესარჩევ ციკლში წინ შვედეთთან შეხვედრა, არგენტინელებთან კი ამხანაგური მატჩი ელის, "რეალის" ნახევარმცველის ხოსე ანტონიო რეიესის გარეშე შეეცდება საჭირო ქულების აღებას. რაც შეეხება რეიესს, მას კუნთის აქვს დაშავებული.

### გონსალესმა მანჩინი "ჩაუშვა"

არგენტინაში დაბრუნებულმა მილანის "ინტერის" ექსნახევარმცველმა კილი გონსალესმა მილანური კლუბის შიდა ამბები გაახმაურა.

"რობერტო მანჩინის მწვრთნელის ფუნქციები ბოლომდე ჯერაც ვერ გაუაზრებია. ფეხბურთელებთან მუდმივად კამათობს, რაც მის ავტორიტეტს ზიანს აყენებს. თანაც, მაგარი შარიანი ვინმეა", - განაცხადა არგენტინელმა "ელ გრაფიკოსთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გონსალესის თქმით, არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა "ინტერის" არგენტინულ დიასპორასა და ბრაზილიელ ადრიანოს შორის.

"ადრიანოს პრობლემები მხოლოდ ხუან სებასტიან ვერონთან ჰქონდა, რომელსაც სიმართლის თქმა უყვარს", - დაამატა გონსალესმა.

### რაიკაარდმა რონალდინიო დაიცვა

კატალონიური "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა საჯარო პასუხი გასცა იმ სპეციალისტებს, ვინც ცოტა ხნის წინ რონალდინიო გააკრიტიკეს. ბოლო დროს ესპანურ პრესაში სულ უფრო ხშირად წერენ, რომ ბრაზილიელი წინა წლების დარად ველარ თამაშობს.

"რონალდინიო ადამიანია და არა რობოტი. მუდმივად ერთ დონეზე თამაშს ვერ შეძლებს. ამიტომ მისი კრიტიკა უაზროდ მეჩვენება", - განაცხადა რაიკაარდმა.

### ერიქსონს პორტუგალიაში დაბრუნებას უპირებენ

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისის ნაკრების ექსდამრიგებელმა სვენ-გორან ერიქსონმა შესაძლოა პორტუგალიის "ბენფიკაში" გააგრძელოს კარიერა. ოქტომბრის ბოლოს ლისაბონურ კლუბში ახალი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ერთ-ერთი კანდიდატი გახლავთ 51 წლის კარლოს ალბერტო კუარესმა, რომლის განცხადებითაც, გამარჯვების შემთხვევაში ის გუნდში შვედ სპეციალისტს დააბრუნებს. სვენ-გორან ერიქსონი "ბენფიკას" 1982-84 და 1989-92 წლებში წვრთნიდა.

### ვილიამ "ჩელსი" უარყო

ესპანური "ვალენსიას" თავდამსხმელმა დავიდ ვილიამ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები ლონდონის "ჩელსიში" გადასვლის თაობაზე. "ამ ეტაპზე სხვა კლუბების წინადადებებს არ განვიხილავ. ცოტა ხნის წინ "ვალენსიასთან" შვიდწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ამიტომ "მესტალიიდან" წასვლას ჯერ არ ვაპირებ", - განაცხადა 24 წლის ესპანელმა ფეხბურთელმა.

### "მილანი" შევას არ იბრუნებს

"მილანის" ხელმძღვანელთა განცხადებით, კლუბი უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს უკან დაბრუნებას არ აპირებს. ხმები იტალიაში შევას დაბრუნების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც უკრაინელ ფორვარდს ლონდონის "ჩელსიში" ადაპტაცია გაუჭირდა.

"ანდრეი "არისტოკრატთა" ფეხბურთელია და კარიერასაც სავარაუდოდ ლონდონში დაასრულებს. მას ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება ჩვენთან გატარებული შვიდი სეზონი, რომლის განმავლობაში 175 გოლი გაიტანა. ამ 175-ს მე ის გოლიც მივათვალე, რომელიც მან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ბარსელონასთან" გაიტანა და რომელიც დაუმსახურებულად არ ჩათვალეს", - განაცხადა "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

### "ვერდერიდან" "იუვენტუსში"

ინგლისური "ვესტ ჰემის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ უახლოს მომავალში შესაძლოა "ბებერი ქალბატონის" მაისურა მოირგოს.

ლონდონში მასკერანო ამ ზაფხულს თანამემამულე კარლოს ტევესთან ერთად გადაბარგდა, თუმცა ნისლიან ალბიონზე ადაპტირება ვერ შეძლო. მალე მასკერანო ალბათ "იუვეს" მიაშურებს, რომელიც კარგა ხანია დაინტერესებულია არგენტინელით.

"ჩვენ დიდი ხანია ვაკვირდებით 22 წლის ნახევარმცველს და ზაფხულშიც გვინდოდა მისი შეძენა, თუმცა მასკერანომ "ვესტ ჰემის" წინადადება ამჯობინა. ახლა ისევ გაგვიჩნდა არგენტინელის გადაბირების შანსი და იმედი მაქვს, იანვარში ის ჩვენთან ითამაშებს", - განაცხადა იტალიელთა თავკაცმა დიდიე დეშამმა.

# ბუნდესნაკრებამდე ბუნდესლიგელთან

## "ჰანზა" - საქართველო 0:0

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით აგრძელებს იტალიის ნაკრების წინააღმდეგ სამზადისს. ჩვენი გუნდი საწვრთნელ შეკრებაზე გერმანიის ქალაქ როსტოკშია, სადაც ორი ამხანაგური მატჩიც იყო დაგეგმილი. პირველი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა დუბლშემადგენლობით ჩაატარა, გუშინ გაიმართა. ტოპმიოლერმა ის ფეხბურთელები გამოსცადა, რომლებიც ეროვნული გუნდის უახლოეს რეზერვად მოიაზრებიან. იყო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელიც, თუმცა მათ მოედანზე მხოლოდ 45 წუთი დაჰყვეს.

სპარინგში საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო ბუნდესლიგის გუნდი, ადგილობრივი "ჰანზა".

თამაში თანაბარი გამოდგა. პირველ ტაიმში ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო, მეორე ნახევარში კი როსტოკელებმა იმძლავრეს. კლაუს ტოპმიოლერმა პირველი ნახევრის შემდეგ ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი შეცვალა.

პირველი საგოლე მომენტი მასპინძლებმა შექმნეს - ცვეტკოვიჩი მე-10 წუთზე მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა შეტევა ზუსტი დარტყმით ვერ დააგვირგვინა. ეს იყო და ეს - ტაიმის დამთავრებამდე ძირითადში მოთამაშე გიორგი ლომაიას კართან სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა.



გერმანიასთან მატჩის წინ. ტოპმიოლერს ბევრი საფიქრალი აქვს.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ირაკლი მოდებაძე, ალექსანდრე იაშვილის პასის შემდეგ, პირისპირ დარჩა "ჰანზას" მეკარესთან, თუმცა ანგარიში უცვლელი დარჩა - 0:0. თამაშის დამთავრებამდე კახა ალადაშვილმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის ორი კარგი შანსი. საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ: გ.ლომაია (გ.ჭანტურია 46), მ.ღვინიანიძე, ო.ხიზანეიშვილი, გ.შაშიაშვილი (ა.ამისულაშვილი 46), გ.გოგუა (დ.იმედაშვილი 46), ლ.ცქიტიშვილი (კაპ) (შ.გრიგალაშვილი 46), ჯ.კანკავა (ო.მარცვალაძე 46), მ.აშვეთია (ა.იაშვილი 46), გ.დემეტრაძე (კ.ალადაშვილი 46), ი.მოდებაძე, ვ.გიგიაძე

"ამ საწვრთნელ შეკრებას ერთადერთი დატვირთვა აქვს - იტალიის ეროვნულ ნაკრებთან საკვალიფიკაციო მატჩისთვის მომზადება. "ჰანზასთან" მატჩიც ამ კონტექსტშია განსახილველი. მზადების მთავარი ეტაპი მაინც ორი დღის შემდეგ, გერმანიის ეროვნულ ნაკრებთან გასამართი თამაშია. ამდენად, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა დიდი ნაწილი დავასვენეთ, ნაწილი კი მსუბუქად დავტვირთეთ. გუნდის მოქმედებებით კმაყოფილი ვარ. გვარებს არ დავასახელებ, თუმცა ვიტყვი, რომ ნაკრების რამდენიმე კანდიდატმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა", - განაცხადა მატჩის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა.

საერთოდ, საქართველოს ნაკრებისა და, ზოგადად, ქართული დელეგაციის მიმართ გერმანული სპორტული მედია დიდ ყურადღებას იჩენს. ჩასვლისთანავე გერმანიის სხვადასხვა ტელეარხებმა და გამოცემებმა ინტერვიუ ჩამოართვეს კლაუს ტოპმიოლერს, ნოდარ ახალკაცს და ნაკრების ფეხბურთელებს. როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების პრესატაშემ სანდრო ცნობილაძემ სატელეფონო საუბარში განმარტა, ასეთი ყურადღება ძირითადად ტოპმიოლერის ავტორიტეტით და გერმანიაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების მიმართ ინტერესით არის განპირობებული.

რამდენიმე დასანანი ცნობაც: ცნობილაძის თქმით, საბოლოოდ გამოირიცხა მალხაზ ასათიანის თამაშის შესაძლებლობა. მალხაზს ფეხი საოპერაციო აქვს და, რა თქმა უნდა, იტალიასთან მატჩში ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარება. ასევე სათუოა დავით მუჯირისა და შოთა არველაძის თამაში. მუჯირი ამჟამად ნაკრებთან ერთადაა და ეროვნული გუნდის ექიმების მეთვალყურეობით რეაბილიტაციის კურსს გადის. რაც შეეხება არველაძეს, ის ჰოლანდიაში იმყოფება და უახლოეს დღეებში გაირკვევა, შეძლებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ თამაშს.

# ვიღაც საქართველო

ბორჯღალოსნების განკითხვის დღე მოახლოვდა: ქართველი მორაგბე კაცები შაბათს, ჩვენებურად ოთხ საათზე, ბუქარესტში, გენჩას პარკში მარად მეტოქეს, რუმინეთის სტეჟარს შეერკინებიან. თამაში ორივე გუნდისთვის მსოფლიო თასის პირველი შესარჩევია და ფრიადი მნიშვნელობაც აქვს: გამარჯვებული მერე ესპანეთს თამაშ-თამაშ გაასაღებს, მსოფლიო თასის საგზურს მიიღებს და იქ პულში თვით ახალი ზელანდიის ოლ ბლექსს დაუჯდება, ძლეული კი მეორე და ვინძლო მესამე შანსის იმედად დარჩება.

გენჩაზე დამარცხებულს კვალიფიკაციის მეორე შანსი წელსვე, ნოემბერში მიეცემა, მესამე კი, რეპეშაჟის გავლით, გაისად, თებერვალ-აპრილში, მაგრამ ამით ერთა თასზე ასპარეზობაში ხელი ძალიან შეეშლება. ბორჯღალოსანთა სტრატეგიული გეგმით, გუნდს მესამე ცდაზე არ უნდა მიუდგეს საქმე, სხვაფრივ კი, მადა ჭამაში მოდისო და, ქართული სამეულის მიერ გაწვრთნილ-გადახალისებულმა ნაკრებმა 2005-2006 წლების ერთა თასზე რომ გემრიელად ითამაშა, ბიჭებმა მსოფლიო თასზე პირველივე ცდით გასვლა ამოიჭრეს გულში.

ბორჯღალოსნები ორშაბათიდან პარიზთან, დაბა მასში ემზადებოდნენ და ხუთშაბათს ბუქარესტში გაფრინდნენ. პარასკევს კი რუმინეთში მსოფლიო თასს ჩაიტანს ირბ-ის დელეგაცია. მასპინძლები რაგბის ზეიმს მართავენ და თავიც ისე უჭირავთ, რომ მეექვსე მსოფლიო თასზე მეექვსედვე ახლავე გავლენ, მაგრამ შეუძლებელია მცირედი ეჭვი გულს არ უღრღნიდეთ, რადგან XXI საუკუნეში გამოგონილ ერთა თასის მონაწილეთაგან თუ ვინმეს რიდი აქვთ, ეგ ჩვენ ვართ.

ის, რომ დღეს რუმინეთის მთავარი მეტოქე "ვიღაც საქართველოა" და არა უწინდებურად საფრანგეთი და იტალია, კარპატულ რაგბის თემს ფრიად სწყინს და ამიტომ დროდადრო აგდებულადაც გვეპყრობა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, 1990-იან წლებში რუმინეთმა ბარე ორჯერ ჩაშალა შავი ზღვის თასი და კავკასიელებს ცხვირიც კი აგვიბზუა - ჯერ ნაკრების დონეზე ჩვენთან გაჯიბრება დაიმსახურეთო. ჩვენი რაგბის თემის მიერ დაწესებული



ხვალ რუმინეთს მეცხრედ შევერკინებით.

ანთიმოზ ივერიელის თასი კი მას მერეღა დააფასა, რაც მეოთხე გათამაშების შემდეგ მისი საქართველოში დატოვება მოუხდა.

### მიტუს ყოფნა-არყოფნა

ანთიმოზის თასი ამჯერად არ თამაშდება, რაკი მისი დებულების შემდგენმა 2002 წელსვე იცოდა, რომ ირბ მსოფლიო თასის ბრენდის გაზიარების სასტიკი წინააღმდეგია. ჯილდო პირველად შარშან მოვიგეთ, მაგრამ წელს დავკარგეთ გენჩაზე, საიდანაც ხუთი წლის წინ ერთა თასი წამოვიღეთ. სულ რუმინეთს 8-ჯერ შევხვედრივართ და ბალანსი ფრიად არასახარბიელო (2-6) გვაქვს, ხოლო სხვა მარად ერთა თასელთა წინააღმდეგ პორტუგალიასთან ბარი ბარში (4-4) ვართ, დიდ რუსეთს კი ძაან ვჯობნით (8-1 * 1 ფრე).

დღევანდელი გადასახედიდან რუმინეთთან თამაშის ისტორია შეგვიძლია ორ პერიოდად დავყოთ: კლოდ სორელის სარდლობით და მის შემდეგ. პერიოდიზაციისთვის არა, მაგრამ საკლასიფიკაციოდ კი ნაღდად ივარგებს მეორე, უნაღდესი კრიტერიუმიც: სტეჟარის 9 ნომრის, პეტრე მიტუს ყოფნა-არყოფნა. რუმინეთმა

**მცირედი სტატისტიკა**

| | |
|---|---|
| **1988 18.11 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. დუბლინი** | |
| **საქართველო - რუმინეთი** | **23:27** |
| **2000 2.04 ერთა თასი. თბილისი.** | |
| **საქართველო - რუმინეთი** | **20:23** |
| **2001 7.04 ერთა თასი. გენჩა.** | |
| **რუმინეთი - საქართველო** | **20:31** |
| **2002 6.04 ერთა თასი. თბილისი.** | |
| **საქართველო - რუმინეთი** | **23:31** |
| **2003 30.03 ერთა თასი. თბილისი.** | |
| **საქართველო - რუმინეთი** | **6:19** |
| **2004 27.03 ერთა თასი. იაში.** | |
| **რუმინეთი - საქართველო** | **25:18** |
| **2005 12.03 ერთა თასი. თბილისი.** | |
| **საქართველო - რუმინეთი** | **20:13** |
| **2006 25.02 ერთა თასი. გენჩა.** | |
| **რუმინეთი - საქართველო** | **35:10** |

*სულ 8 თამაში (4 შინ, 3 გასვლაზე, 1 ნეიტრალურზე),*
*2 გამარჯვება, 6 მარცხი*
*ქულა 151:193 ლელო 14:21*

მიტუიანად ხუთიდან ხუთი მოგვიგო, მის გარეშე კი ორჯერ გავიმარჯვეთ და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით (შაბათს მიტუ არ ითამაშებს!).

რვა მატჩი ორ მონაკვეთად დაიყოფა იმის მიხედვითაც, თუ ვისმა შერკინებამ იძალა. პირველ ექვს თამაშში ჩვენი ფორვარდები ერეოდნენ მეტოქეს და თუ წავაგებდით, იმის გამო, რომ სტეჟარი შეცდომებზე გვიჭერდა, ბურთს ზურგში შეგვიგორებდა და მსაჯთა წაყრუების წყალობით, ხშირად წესის დარღვევით გვალელოებდა, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში კარპატელთა შერკინება იდუმალ, მაგრამ მაინც უცხადეს მიზეზთა გამო ძალიან მოღონიერდა და მოლით თრევა დაგვიწყო, რის შემდეგაც უზომო თავდადებისა და ყისმათის იმედადღა დავრჩით.

### არაფრის მაქნისი სტატისტიკა

გასათვალისწინებელია გლობალური ფაქტორიც, ანუ მსოფლიო რაგბიში ფეხმოკიდებული ნათლიმამობა და პროტექციონიზმი. რუმინეთი, ირბ-ის სათვალავით, მეორე დონის ქვეყანაა და სამ წელიწადში შემწეობად მილიონ-ნახევარ (1 500 000) გირვანქას მიიღებს, მაშინ როცა ჩვენ აკადემიის მოსაწყობად ამავე პერიოდში მხოლოდ 360 ათასი გვეკუთვნის.

კარპატელებმა ამგვარი სასწავლებელი უკვე გამართეს და თანამედროვე ტექნოლოგიებით (ე.წ. სპორტული მედიცინის მოშველიებით) მომავალ თაობას ზრდიან, მაშინ როცა ქართველები აქამდეც საფრანგეთის პირველობაში გაშალაშინებული ხალასი ნიჭითა და ჯიგრით გავდივართ ფონს.

რუმინეთმა პირველად თებერვალში გაგვიტანა მატჩში ოთხი ლელო. პირადად ამდენჯერვე გაგვამწარა გაბრიელ ბრეზოეანუმ. მიტუს, ლუჩან სირბუს, ფლორინ კოროდეანუსა და სორინ სოკოლის ანგარიშზე კი წყვილი ლელოა. მიტუმ დარტყმებით 35 ქულა მოინაგრა (7გ 7ს), რითაც ჩამორჩება 10 ნომერ იონუც ტოფანს, ვისი აქტივიც 42 ქულაა (6გ 8ს 2ა), პასივი კი, გია ლაბაძის მიერ შარშან დაფარებული არეკნი!

ჩვენგან ორ-ორი ლელო გაუტანიათ არჩილ ქავთარაშვილსა და ლევან ცაბაძეს (ამათგან მეორემ 2001 წელს ერთა თასი აგვაღებინა). კიკერთაგან პალიკო ჯიმშელაძის წვლილი 44 ქულაა (7გ 10ს), ხოლო მალხაზ ურჯუკაშვილისა - 26 (4გ 6ს). სხვაფრივ, სპორტის მთავარი პრინციპი ის არის, რომ ყოველი თამაში თავიდან, 0:0-ით იწყება და აქამდელი სტატისტიკა არაფრის მაქნისია. ერთი სიტყვით, გაიმარჯვებს ის, ვინც მომდევნო 80 წუთში უკეთ გაირჯება.

*მასალა მომზადებულია*
*ვებ-გვერდზე*
*http://www.geocities.com/*
*Msoflioshi/index.htm*

# დე ლა ჰოია ხელთათმანებისთვის ლურსმანს ამზადებს

*ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, გამოსათხოვარი მატჩის ერთადერთი კანდიდატურა ნახევრად საშუალო წონის კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ჩემპიონი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი იქნებაო. არადა, ცოტა ხნის წინათ ამბობდა, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ფელიქს ტრინიდადს უნდა შევხვდეო. ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში ტიტულების მფლობელს ოსკარ დე ლა ჰოიას კრივიდან წასვლა განუზრახავს.*

"მინდა გვერდზე გადავდო ყველაფერი, რაც ტრინიდადს უკავშირდება, - განაცხადა დე ლა ჰოიამ, - ეს ორთაბრძოლა არასდროს არ ჩატარდება. უბრალოდ, არ შემიძლია საშუალო წონაში გადასვლა, მას კი - პირველ საშუალო წონაში ჩამოსვლა.

რატომღაც ჰონორარის თანაბრად გაყოფას ითხოვდნენ, ეს კი სასაცილოა. მაშინაც კი, თუ ჰონორარი იქნება 70/30 პროცენტზე ჩემს სასარგებლოდ, ტრინიდადი კარიერის ყველაზე დიდ ჰონორარს მიიღებს. კარგი იქნებოდა, ჩვენს წინადადებას დათანხმებოდა".

საგულისხმოა, რომ ტრინიდადის პრომოუტერი დონ კინგი დე ლა ჰოიას საპრომოუტერო კომპანიის Golden Boy Promotions-ის აღმასრულებელ დირექტორს რიჩარდ შაფერსს წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად რეგულარულად ურეკავდა, მაგრამ დე ლა ჰოიას დირექტივებით შეიარაღებულ შაფერთან დონ კინგი ვერაფერს გახდა.

"რიჩარდს ინსტრუქციები მივეცი, სატელეფონო ზარებისთვის მეტი არ ეპასუხა, - აცხადებს დე ლა ჰოია, - მატარებელმა უკვე ჩაიარა. რამდენჯერაც მოისურვებენ, იმდენჯერ შეუძლიათ დამიძახონ მხდალი, მაგრამ მატარებელმა ჩაიარა. ეს ორთაბრძოლა აღარასოდეს შედგება".

აქედან გამომდინარე, მეივეზერი, რომელიც წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედაა აღიარებული, ოსკარისთვის ერთადერთ კანდიდატად რჩება. ხოლო იმისთვის, რომ მათი დაპირისპირება შედგეს, მეივეზერს 4 ნოემბერს ნახევრად საშუალო წონის კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის კარლოს ბალდომირის დამარცხება მართებს. და კიდევ, იმ შემთხვევაში, თუ მეივეზერი ბალდომირთან დამარცხდება, დე ლა ჰოია რინგზე აღარ დაბრუნდება და კარიერის დასრულებას ამცნობს კრივის სამყაროს.

"ხელთათმანების სამუდამოდ გახდა ნებისმიერ დროს შემიძლია, - ესეც დე ლა ჰოიას სიტყვებია, - მოდი, ასე ვთქვათ: არაფერში არ მჭირდება კიდევ ერთი მატჩის ჩატარება. თუ მეივეზერი წააგებს, ვფიქრობ, კრივიდან წავალ. ჩემი მიზანია საუკეთესო მოკრივესთან ჩხუბი, მიუხედავად იმისა, რომელ წონით კატეგორიაში გამოდის ის. თუ მართლაც წააგო, სხვა გზა არ დამრჩენია, ერთის გარდა - კრივს შევეშვები".

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



**- ფოსტა**

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

B2

## რუსეთი საქართველოსთვის გაზის ტარიფის გაორმაგებას გეგმავს

### მზადაა თუ არა საქართველო რუსული ენერგობლოკადისთვის

*რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობების ფონზე არავის გაჰკვირვებია, რომ რუსეთმა საქართველოს ენერგოშანტაჟს მიჰყო ხელი. რუსულ მედიაში უკვე ღიად გაჟღერდა, რომ "გაზპრომი" ახალი წლიდან საქართველოს გაზის საფასურს 1000 კუბურ მეტრ აირზე 170-250 დოლარამდე გაუძვირებს. შედეგად, გარდაუვალი იქნება სამომხმარებლო ტარიფის გაზრდაც.*
*შეგახსენებთ, რომ ამჟამად რუსული ენერგოგიგანტისგან 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს საქართველო 110 დოლარად ყიდულობს. ხელშეკრულება ძალაში 2006 წლის 31 დეკემბრამდე იქნება.*

**დედაქალაქის გაზმომარაგების საკითხზე "გაზპრომთან" საუბარი "ყაზტრანსგაზ თბილისს" მოუწევს. ამ კომპანიის დამფუძნებლები კი რუსეთში გაზის ექსპორტიორები არიან და "გაზპრომთან" საკმაოდ თბილი და ლოიალური ურთიერთობები აქვთ. კომპანიაში აცხადებენ, რომ "ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელობამ დაიწყო მოლაპარაკებები "გაზექსპორტთან", თუმცა ფასი და სხვა დეტალები ამ ეტაპზე კონფიდენციალურია.**

B4

### Renault-Nissan-ის და General Motors-ის მოლაპარაკებები შეწყდა

ავტოკონცერნებმა: ფრანგულმა Renault-მა, იაპონურმა Nissan-მა და ამერიკულმა General Motors-მა განაცხადეს, რომ ერთობლივი ალიანსის შესაძლო შექმნისათვის მიმდინარე მოლაპარაკებები შეწყდა. მოლაპარაკებების პროცესში მხარეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ალიანსის შექმნას დადებითი სინერგეტიკული ეფექტი მოჰყვება, თუმცა, უპირატესობათა საერთო მოცულობის განაწილების მხრივ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს", - აღნიშნულია გავრცელებულ პრეს-რელიზში.

არსებული ინფორმაციით, მოლაპარაკებებისას, General Motors-მა Renault-Nissan-ს ალიანსში შესვლის სანაცვლოდ კომპანსაციის შეთავაზება მოსთხოვა. ფრანგულმა და იაპონურმა მხარემ კი თავის მხრივ ჩათვალეს, რომ ნებისმიერი კომპენსაცია ალიანსის პრინციპს ეწინააღმდეგება.

შეგახსენებთ, რომ Renault-Nissan-ის და General Motors-ს შორის სტრატეგიული ალიანსის შესაძლო შექმნის შესახებ მოლაპარაკებები 2006 წლის ივლისში მას შემდეგ დაიწყო, რაც ამგვარი ინიციატივით GM-ის აქციების 9,9 პროცენტის მფლობელი, კომპანია Tracinda-ს თავკაცი კერკ კერკორიანი გამოვიდა. სავარაუდოდ, მხარეებს შეთანხმებისათვის 15 ოქტომბერს უნდა მიეღწიათ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მოლაპარაკებები უკვე შეწყდა.

როგორც ცნობილია, ახლახან გავრცელდა ინფორმაცია Renault-Nissan-თან ალიანსში კომპანია Ford Motor-ის შესაძლო შესვლის შესახებ. მაგრამ, როგორც გუშინ ცნობილი გახდა, არც ეს გარიგება არ შედგება, რადგან ამერიკული ავტოკონცერნის ხელმძღვანელობას სურს ახალ აღმასრულებელ დირექტორს ალან მიულელს, რომელმაც პოსტი 1 ოქტომბერს ჩაიბარა, არსებული რთული ვითარების გამოსწორების და Ford-ის კრიზისიდან გამოყვანის შანსი მისცეს.

## რუსეთს სავალუტო ფონდიდან გაგდება ემუქრება

### შედეგები, რასაც რუსეთი საქართველოს ბლოკადით მოიმკის

მარიამ ჭაჭვაძე

*მიუხედავად მუქარისა, რუსეთის სათათბირომ არ დაასრულა იმ კანონპროექტზე მუშაობა, რომლის მიხედვითაც რუსეთიდან ფულადი გზავნილები გარკვეულ სახელმწიფოებში უნდა შეზღუდულიყო. არადა, დუმის სპიკერი ამ ორიოდე დღის წინ იქადნებოდა, რომ 4 ოქტომბერს აღნიშნული კანონპროექტი მზად იქნებოდა, რაზედაც რუს დეპუტატებს იმავე დღეს უნდა ემსჯელათ. რა აკავებს მეზობელ სახელმწიფოს საკუთარი მუქარის შესრულებისაგან და რა შედეგი შეიძლება მოიმკას მან საქართველოს ბლოკადით?*

**რომან გოცირიძის შეფასებით, სავალუტო ფონდის წესდების დარღვევა უპრეცედენტო შემთხვევაა, რომელიც არ დარჩება ფონდის მხრიდან მკაცრი შეფასებისა და შესაძლო ადეკვატური რეაგირების გარეშე.**



*ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე.*

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3083 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9823 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4731 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7375 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8114 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1323 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2969 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3032 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2150 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4165 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3341 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1461 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1493 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2988 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1886 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2473 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4022 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5596 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1648 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4478 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3143 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2664 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5589 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5837 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0964 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4531 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5136 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4135 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4694 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8100 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0086 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1369 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4416 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4026 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




## კვების პროდუქტების ხარისხს ლაბორატორიაში დაადგენენ

### რა სარგებელს მიიღებს ბიზნესი ამ სიახლისგან?

თინა შავაძე

*სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას საქართველოში მრავალი სიძნელე უდგას წინ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაბალი ხარისხია. ეს საკითხი მრავალი წლის განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის დარგში როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დიდად არის დამოკიდებული ხარისხის კონტროლის მექანიზმებზე.*

**საკვები პროდუქტების ხარისხის სუსტი კონტროლი ხელს უშლის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებას. ხარისხის კონტროლის ახალი სისტემის ამოქმედება მნიშვნელოვანია არა მარტო მომხმარებლისთვის, არამედ ბიზნესისთვისაც, რადგანაც მეწარმეებს გაუჩნდებათ სტიმული, ხარისხიანი პროდუქცია აწარმოონ და ამ გზით საეჭვო, დაბალი ხარისხის სურსათს სათანადო კონკურენცია გაუწიონ.**

B2

## ცენტრალური ბანკი და ხელისუფლების პოპულიზმი

ამბროსი გრიშიკაშვილი
*კრაკოვიდან*

*პოლონეთში მთავრობასა და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას შორის ძალიან დაძაბული ურთიერთობაა. ის განსაკუთრებით დაამძიმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის იაროსლავ კაჩინსკის პოპულარულ გაზეთ "ჟეჩპოსპოლიტა"-სთვის მიცემულმა ინტერვიუმ. "იმან, რაც იქ (იგულისხმება პოლონეთის ეროვნული ბანკი (პებ) - ა.გ.) ხდებოდა მრავალი წლის განმავლობაში, უკვე მოგვცა თავისი უარყოფითი შედეგები. ბანკის პოლიტიკა ძალიან ცუდად აისახა ჩვენი საზოგადოების მრავალ ფენაზე," - განაცხადა მან.*

**პოლონეთის მთავრობასა და ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა დაიძაბა.**



*ლეხ კაჩინსკი.*



*ლეშეკ ბალცეროვიჩი.*

B3

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*



## თიბისი - ფოსტა

*თიბისი ბანკში მაქვს გახსნილი სახელფასო ანგარიში. შემიძლია თუ არა, ჩემი ანგარიშიდან გადასახადების გადახდა, თუ ამისთვის აუცილებელია, "ავტომატური კომუნალური გადარიცხვების" სერვისზე დარეგისტრირება?*



**ვახტანგ ჯავახიშვილი, პროდუქტების განვითარების მენეჯერი:**

თუ თქვენ გსურთ ეს პროცესი მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული გახადოთ, თიბისი ბანკი კომუნალური დავალიანებებისა და სხვა გადასახადების გადახდის რამდენიმე ალტერნატიულ საშუალებებს გთავაზობთ. კერძოდ:

1. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკით და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან დაუკავშირდეთ ბანკს, შეამოწმოთ თქვენი ანგარიშები, გადაიხადოთ კომუნალური და სხვა გადასახადები, შეავსოთ სატელეფონო ბალანსი და შეასრულოთ სხვა საბანკო ოპერაციები. ოქტომბრის ბოლოდან დაგეგმილია ინტერნეტ ბანკის ვერსიის განახლება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კლიენტს, ინტერნეტ ბანკის პროგრამაშივე გაარკვიოს მისი დავალიანება თელასში.

2. კომუნალური გადასახადების გადახდა თქვენ ასევე შეგიძლიათ ბანკომატის საშუალებით, რადგან თიბისი ბანკის ბანკომატებს სტანდარტული ფუნქციების გარდა, აქვთ დამატებითი ფუნქცია, რომელიც გადასახადების ბანკომატით გადახდის სერვისს უზრუნველყოფს.

3. გადასახადების გადახდის ყველაზე უფრო მოსახერხებელი და კომფორტული საშუალება კი "ავტომატური კომუნალური გადარიცხვების" სერვისია. ამ სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ სრულიად მოიხსნათ ყოველთვიური თანხის გადახდის პრობლემა, რადგან ამ საქმეს თქვენს ნაცვლად ბანკი შეასრულებს. ერთადერთი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ, არის თიბისი ბანკში ანგარიშის ქონა და ამ ანგარიშზე გადარიცხვისთვის საკმარისი თანხის არსებობა. ავტომატური კომუნალური გადასახადების სერვისზე დარეგისტრირებისთანავე თიბისი ბანკი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ თქვენი ანგარიშიდან ყოველთვიურად დაფაროს თქვენი დავალიანებები და გადარიცხოს თანხები შემდეგ კომპანიებში: თელასი; ყაზტრანსგაზ-თბილისი, თბილწყალკანალი, დასუფთავების სამსახური; საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (ყოფილი ელექტროკავშირი); აიეტი TV; ჯორჯია ონლაინი; სანეტი; კავკაზუს ნეთვორკი; ახალი ქსელები; ახტელი; საქართველოს ტელეკომი; გლობალ ერთი, ჯიპიაი ჰოლდინგი და ეს სია კიდევ იზრდება.

რაც შეეხება ამ სერვისით სარგებლობის აუცილებლობას, ეს მხოლოდ თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. ჩვენ ნამდვილად ისარგებლოთ ავტომატური კომუნალური გადარიცხვების" სერვისით, რადგან ეს არის საუკეთესო საშუალება დაზოგოთ დრო, ენერგია და მიიღოთ ბანკისგან მაქსიმალური კომფორტი.

ნოემბრიდან თიბისი ბანკი გეგმავს ბანკის კლიენტებისთვის დანერგოს "თელასის" და "ყაზტრანსგაზის" გადასახადების გადახდა ბანკის ფილიალებიდან. ახალი სერვისი მომხმარებელს საშუალებას მისცემს გადასახადის გადახდამდე გაიგოს, თუ რამდენი აქვს დავალიანება მოცემულ კომპანიებში და შემდეგ მოახდინოს გადარიცხვა.

*ერთი კვირის წინ გავხსენი ანაბარი თიბისი ბანკში და, დეპოზიტების საშემოდგომო აქციის პირობების თანახმად, მივიღე ჯანმრთელობის დაზღვევის უფასო პოლისი. მაინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს პოლისის მფლობელი მეანაბრე, თუ დასჭირდა სამედიცინო მომსახურება და პოლისით სარგებლობა?*



**ნინო ყაჭეიშვილი, თიბისი ბანკის გაყიდვების განყოფილების უფროსი:**

ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში და დაზღვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დარეკეთ სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგის" ცხელ ხაზზე 901 111, მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი და პოლისის ნომერი.

გადაუდებელ შემთხვევებში (მაგ. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისას) დაზღვეულმა, ან სხვა დაინტერესებულმა პირმა, აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოთ პირად ექიმს ან საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურს ტელეფონზე: 901 111, ჰოსპიტალიზაციიდან 48 საათის განმავლობაში. ოპერატორს უნდა შეატყობინოთ დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი და სხვა ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (როდის მოხდა შემთხვევა, სად იმყოფება ამჟამად დაზღვეული და სხვა). კომპანია დაგეხმარებათ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების მოგვარებასა და სადაზღვევო ანაზღაურების ოპერატიულად მიღებაში. "ჯიპიაი ჰოლდინგი" აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას შესაბამის სტაციონართან.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას დაუკავშირდით საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურს იმავე ტელეფონის ნომერზე, ან სასწრაფო დახმარების სამსახურებს "არდი" და "კარდიოექსპრესი", ტელეფონზე: 95 00 00.

ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებისმიერი გაუარესებისას დაუკავშირდით პირად ექიმს, რომელიც თქვენი სურვილის შემთხვევაში, დაგეხმარებათ სამედიცინო მომსახურების მიღებაში და სამედიცინო დაწესებულებისა თუ კონსულტანტის შერჩევაში. პირადი ექიმის მიერ დანიშნული სამედიცინო მომსახურების მიღებისას თქვენ იხდით მხოლოდ შესაბამისი მომსახურების ღირებულების პოლისით გათვალისწინებულ წილს.

მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნის შემთხვევაში პირადი ექიმი შესაბამის დანიშნულებას გამოგიწერთ კომპანიის რეცეპტის ბლანკზე, რითაც ამავე ბლანკზე მითითებულ აფთიაქებში თქვენ იხდით გამოწერილი მედიკამენტების ღირებულების პოლისით გათვალისწინებულ წილს. თუ თქვენ სხვა აფთიაქში თავად შეიძენთ გამოწერილ მედიკამენტებს, წარმოადგენთ ქვითარს პირად ექიმთან, რის შედეგადაც მიიღებთ პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას.

გეგმიური ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში თქვენ უნდა წარუდგინოთ პირად ექიმს ფორმა N27 და ხარჯების წინასწარ სავარაუდო კალკულაცია. ამ დოკუმენტაციას მოამზადებს ნებისმიერი ლიცენზირებული სტაციონარული კლინიკა. პირადი ექიმი უზრუნველგყოფთ შესაბამის სტაციონარში მიმართვითა და საგარანტიო წერილით, ხოლო თქვენ გათავისუფლდებით მომსახურების სრული ღირებულების გადახდისაგან.

ამბულატორიული მომსახურების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირად ექიმთან შეთანხმებულად მიღებული მომსახურება.

*შეიძლება თუ არა ავტოგანვადებით მეორადი მანქანის შეძენა?*



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:**

თიბისი ბანკის ავტოგანვადების სერვისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეიძინოს როგორც ახალი, ისე მეორადი ავტომობილი. თუ თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება და სასურველი ავტომობილიც შეარჩიეთ, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში საკრედიტო ექსპერტს და შეავსოთ შესაბამისი განაცხადი.

თუ თქვენი შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 300 აშშ დოლარს, თქვენ გახდებით სასურველი ავტომობილის მფლობელი მისი ღირებულების 30% გადახდის შემდეგ. ავტომანქანის ღირებულების დარჩენილი 70%-ის დაფინანსება კი მოხდება ბანკის მიერ სესხსის სახით, რომლის დაფარვა განხორციელდება ბანკში თანაბარი შენატანების სახით (პროცენტს + ძირი), ყოველთვიურად - ვადის ამოწურვამდე.

ავტოგანვადების ვადა მაქსიმუმ 5 წელია. მაქსიმალური თანხა 50 000 აშშ დოლარს შეადგენს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 16%-დან 23%-მდე მერყეობს და მსესხებლის რისკის კატეგორიაზეა დამოკიდებული.

*აქვს თუ არა თიბისი ბანკს სწრაფი განვადების სერვისი და თუ აქვს, რომელ მაღაზიებში შეიძლება განვადებით ნივთის შეძენა?*



**დავით კენჭაძე, პროდუქტების განვითარების მენეჯერი:**

თიბისი ბანკი მომხმარებელს სთავაზობს განვადების მომსახურებას, რომელიც ძალიან მარტივი და კომფორტული გამოსავალია მათთვის, ვისაც სურს შეიძინოს ესა თუ ის საყოფაცხოვრებო ნივთი, მაგრამ ვერ ახერხებს საჭირო თანხის შეგროვებას.

თიბისი ბანკის განვადება "დღესვე" საშუალებას მოგცემთ 1 საათის განმავლობაში, ანუ მართლაც დღესვე შეიძინოთ სასურველი ნივთი შემდეგ მაღაზიებში: ელიტ ელექტრონიქსი, ორიონ ტექნოლოჯი, ფილიპსი, მეგატექნიქსი, არისტონ-ინდეზიტი, ჩემი სახლი, პაპილონი და სხვა.

ყველა ამ მაღაზიაში თქვენ დაგხვდებათ თიბისი ბანკის ექსპერტი, რომელიც გაგიფორმებთ ხელშეკრულებას და იქვე შეგიდგენთ განვადების დაფარვის გრაფიკს. მაღაზიაში მისვლისას თან უნდა იქონიოთ მხოლოდ თქვენი პირადობის მოწმობა.

"დღესვე" განვადების მინიმალური თანხა 200 ლარია, მაქსიმალური - 3.000 ლარი. განვადების ვადა 3 დან 12 თვემდეა. პირველადი შენატანი აუცილებელი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ 3.000 ლარზე უფრო ძვირადღირებული ნივთის შეძენა გსურთ, ან უფრო ხანგრძლივი დროით გინდათ განვადება, თიბისი ბანკი შემოგთავაზებთ განვადებას ბანკის ფილიალებში, სადაც განვადების მინიმალური თანხა 500 ლარია, მაქსიმალური - 20.000 ლარი. პერიოდი 4 დან 24 თვემდე გრძელდება.

თიბისი ბანკის განვადების სერვისით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სტაბილური ხელფასი მინიმუმ 300 ლარის ოდენობით. თიბისი ბანკის კლიენტებისთვის მინიმალური ხელფასის მოთხოვნა 200 ლარს შეადგენს.

# კვების პროდუქტების ხარისხს ლაბორატორიაში დაადგენენ

პირველი გვერდიდან

ამიტომაც საქართველოში მოქმედი უცხოური ფინანსური ინსტიტუტები და დონორი ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი კომპანიების დაფინანსებას და განვითარებას, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ მომხმარებლისთვის მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდებაზე.



საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად დიდი ყურადღება ექცევა განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ჯანმრთელობას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. სურსათის ბაზარი ექვემდებარება მკაცრ ზედამხედველობას სტანდარტების და სპეციალური რეგულირების საფუძველზე, რომლებიც ხელს უწყობენ დაბალი ხარისხის და მავნე პროდუქტის წარმოების რისკის თავიდან აცილებას. არსებული სტანდარტები, მეორეს მხრივ, სირთულეს უქმნის განვითარებადი ქვეყნებიდან პროდუქციის ექსპორტს, რადგანაც მათ მიერ წარმოებული პროდუქცია არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კონკურენტული პროდუქტის შესაქმნელად საჭიროა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელმა ქვეყნებმა ინტენსიურად დანერგონ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები.

საკვები პროდუქტების ხარისხის სუსტი კონტროლი ხელს უშლის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებას. ის უცხოური ბაზრები, რომლებიც ქართული სოფლის მეურნეობის ინტერესის სფეროში ექცევა, განსაკუთრებით მომთხოვნია მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტის მიმართ. ამ გარემოების გათვალისწინებით საკვების მაღალ ხარისხსა და უვნებლობას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, 1990-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოყალიბებულმა სურსათის ხარისხის და უვნებლობის ზედამხედველობის მახინჯმა სისტემამ კვების მრეწველობის განვითარებასაც დიდი ზიანი მიაყენა.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი და საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაცია აქტიურად ჩართულია ქვეყანაში საკვების ხარისხისა და უვნებლობის საკითხების მოგვარებაში. "24 საათთან" საუბარში ექსპერტი ლევან კალანდაძე ამბობს, რომ "უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ფუნდამენტური რეფორმები ამ სფეროსაც შეეხო. კერძოდ, შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური, რომლის ფუნქცია სასურსათო ბაზრის ზედამხედველობაა. დღემდე არსებული, ანალოგიური ფუნქციების მქონე რამდენიმე სამსახურის ნაცვლად შექმნილი ახალი სამსახური ჩამოყალიბების სტადიაშია, თუმცა ცალსახაა, რომ მისი საქმიანობა გაცილებით ეფექტური იქნება."

ადგილობრივი წარმოების სურსათის ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მომავალში საქართველოს ექსპორტის პოტენციალს, რის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სურსათის ხარისხის ამაღლების საკითხს. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, კვების მრეწველობის განვითარების მიზნით დააფინანსა საკვების ხარისხის შეფასებისა და სერტიფიცირების პროექტი. კალანდაძის განმარტებით, შეიქმნა სრულყოფილი სისტემა, რომლიც ერთ თვეში ამოქმედდება და პროდუქციის ხარისხისა და მისი უვნებლობის შემოწმება მოხდება. პროდუქციას, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებსა და ნორმებს, მიენიჭება "ხარისხის ნიშანი". სისტემა იქნება გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი. მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმიანობას საკუთარი ლაბორატორიის ბაზაზე შპს მულტიტესტი განახორციელებს, რომელიც აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ხელსაწყოებით და დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ლაბორატორია უკვე მოქმედებს და ის კომპანიების პროდუქციის შემოწმებას სერტიფიცირების სისტემის ამოქმედების შემდეგ შეძლებს.

როგორც ირკვევა, ხარისხის დამადასტურებელი ნიშანი დატანილი იქნება პროდუქციის ეტიკეტზე, მომხმარებელი საინფორმაციო საშუალებებით მიიღებს განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა ნორმების და მოთხოვნების საფუძველზე მიენიჭა ამა თუ იმ კომპანიას "ხარისხის ნიშანი". გარდა ამისა, მოსახლეობა დამატებითი ინფორმაციას მიიღებს კომპანიის ვებ-გვერდზე და "ცხელი ხაზის" საშუალებით.

ეს სიახლე უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი კვების მრეწველობის განვითარებისათვის, რადგანაც მისი განვითარებით საქართველოში იწყება ახალი ეტაპი როგორც მომხმარებელთა უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის საკითხში. შიდა ბაზარზე აღნიშნული სისტემის ამოქმედება მნიშვნელოვანია არა მარტო მომხმარებლისთვის, არამედ ბიზნესისთვისაც, რადგანაც მეწარმეებს გაუჩნდებათ სტიმული, ხარისხიანი პროდუქცია აწარმოონ და ამ გზით საეჭვო, დაბალი ხარისხის სურსათს სათანადო კონკურენცია გაუწიონ.






## "რიკო-კრედიტში" აშშ-დან ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

რუსეთიდან ელექტრონული ანგარიშსწორების "ანელიკის" სისტემით ფულადი გზავნილები არ შეწყვეტილა. "ბოლო 3-4 დღის განმავლობაში შეჩერებულია რუსეთის ფედერაციიდან გადმორიცხვები Unistrim და Contact სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემების მეშვეობით," - აცნობა GBC-ის "რიკო-კრედიტის" გენერალურმა დირექტორმა ლაშა ნიკოლაიშვილმა. მისი ინფორმაციით, "რიკო-კრედიტი" საქართველოში ერთადერთი ლიცენზირებული არასაბანკო-კომპანიაა, რომელიც ფულად გადმორიცხვებს დამოუკიდებლად ემსახურება. კომპანია უზრუნველყოფს გადმორიცხვებს რიკო-გრამის (აშშ), მანიგრამისა და ანელიკის(რუსეთი) გზავნილების სისტემებით. ლაშა ნიკოლაიშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთის სანქციები საქართველოს ნაკლებად დააზარალებს. ტრანზაქციებზე შეზღუდვები წამგებიანია რუსული კომერციული ბანკებისთვის, რაც ასევე აისახება რუსეთის საერთაშორისო იმიჯზე და, შესაბამისად, საინვესტიციო გარემოზე. ლაშა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, ტრანზაქციების ყველაზე დიდი წილი მოდის აშშ-დან სწრაფის ფულადი გზავნილებით გადმორიცხვებზე. მისი ინფორმაციით, "რიკო-კრედიტში" 2006 წლის სექტემბერში აშშ-დან საბანკო არხებით გადმორიცხვების მოცულობამ შეადგინა 380 000 აშშ დოლარი, რაც 54 ათასი აშშ დოლარით აღემატება აგვისტოს მონაცემებს. "რიკო-კრედიტში" რუსეთიდან "ანელიკის" სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებით აგვისტოში ფულადი გზავნილების მოცულობა 35 000 აშშ დოლარს არ აღემატებოდა. "ანელიკის" სისტემებით, რომელიც მთელს მსოფლიოს მოიცავს, რიკო-კრედიტში რუსეთიდან გზავნილების წილი მხოლოდ 15%-ია. ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, "მანიგრამით" გადმორიცხვების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის კვიპროსზე და შემდეგ ესპანეთზე. "რიკო კრედიტში" უცხოური საბანკო არხებით მთლიანი გადმორიცხვების მოცულობით ლიდერობს აშშ, შედარებით ნაკლებია "კვიპროსიდან" გადმორიცხული თანხების მოცულობა და მესამე პოზიციაზე - რუსეთი. ამ დღისათვის საქართველოში ტრანზაქციები ელექტრონული ანგარიშსწორების 20-მდე ("ვესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი", კავკასუს ექსპრესი" და სხვ.) სისტემის საშუალებით ხორციელდება. აქედან ყველაზე მეტს, 16 სისტემით ფულად გზავნილებს, სს "სახალხო ბანკი" ემსახურება. **GBC**

## ოპეკი ნავთობმოპოვების შემცირებას დღე-ღამეში 1 მლნ ბარელამდე აპირებს

ნავთობის ექსპორტიორთა ორგანიზაციის (ოპეკი) წევრები არაფორმალურად შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ნავთობმოპოვებას დღე-ღამეში 1 მლნ ბარელამდე შეამცირებენ, რათა ფასები სანავთობო "კალათაზე" 50-55 ბარელი/დოლარამდე შეინარჩუნონ. ამ ინფორმაციას ბრიტანულ პრესაზე დაყრდნობით "როიტერი" ავრცელებს.

მედიის ინფორმაციით, ამ შეთანხმებას მხარი ოპეკის 11 წევრიდან უმრავლესობამ დაუჭირა. გასულ კვირას ოპეკის მონაწილეებმა - ნიგერიამ და ვენესუელამ ცალმხრივად განაცხადეს ნავთობმოპოვების შემცირების შესახებ. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის აგვისტოდან ფასები ნავთობზე 20 დოლარი/ბარელ-ით დაეცა. ოპეკის გადაწყვეტილება, შეიძლება, ოფიციალურად 2006 წლის დეკემბერში გაფორმდეს. ნიგერიის და ვენესუელის გადაწყვეტილებაზე მიერთებას არაფორმალურად კუვეიტი, ირანი და ლიბანი დათანხმდა. არაბეთის გაერთიანებული საემიროებიც, სავარაუდოდ, იგივე გადაწყვეტილებას მიიღებს. იმავდროულად, საუდის არაბეთი, რომელიც ოპეკის ყველაზე გავლენიანი წევრია, კმაყოფილი არ არის კარტელის ცალკეული წევრების მიერ ნავთობმოპოვების ცალმხრივი შემცირების გამო და უპირატესობას ისეთ შემთხვევას ანიჭებს, თუკი გადაწყვეტილებას ოპეკი ერთიანად მიიღებს. **GBC**

## სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" ღვინის ფორუმი გაიმართება

ხუთშაბათს სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" ღვინის ფორუმი გაიმართება, რომელშიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორი ფრედერიკო კასტელუჩი მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით, თბილისს ფრედერიკო კასტელუჩი სამდღიანი ვიზიტით, სამშაბათს ესტუმრა. მან კახეთში რთველში მიიღო მონაწილეობა, ღვინის ქარხნები დაათვალიერა და ქართულ კულტურასა და ტრადიციებსაც გაეცნო. სასტუმრო "თბილისი მარიოტში" დაგეგმილი ფორუმის შემდეგ, ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# უნგრეთში არეულობა გრძელდება

## ხელისუფლების აზრით, ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ "შოკურ თერაპიას" შეუძლია

ვანო ჩხაიძე, ბუდაპეშტიდან

*უნგრელები გაცოფებულები არიან: ნაცვლად 2006 წლის აპრილის არჩევნებისას დაპირებული რეფორმებისა, რომელთაც რადიკალური სასიკეთო ცვლილებები უნდა მოეტანა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და ა. შ. სფეროებში, აემაღლებინა უნგრელთა ცხოვრების დონე, შეემცირებინა გადასახადები (სწორედ ეს იყო ჩაწერილი მომავალი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამაში - "ახალი იმპულსი უნგრეთისათვის"), ხელისუფლება მათ სთავაზობს, უფრო მაგრად შემოიჭირონ ქამრები და კიდევ მოითმინონ. ხელისუფლებას ამ გზით ბიუჯეტის დიდი დეფიციტის შემცირება სწადია.*



როგორც ჩანს, მთელ ევროკავშირში ბიუჯეტის ამხელა დეფიციტი არც ერთ ქვეყანას არა აქვს - 10 პროცენტზე მეტი ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ამ ქვეყანას ფისკალური პრობლემები აქვს: მსგავს კრიზისს 1994-1995 წლებშიც ჰქონდა ადგილი. მაშინდელმა ხელისუფლებამ რეფორმები დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა: 2000-2001 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი 2,3 პროცენტამდეც კი დაეცა, მაგრამ შემდგომმა ხელისუფლებამ აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ გაზარდა, რადგან იძულებული იყო, ამომრჩეველთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, განსაკუთრებით - ხელფასებისა და დახმარებების გაზრდის მიმართულებით.

ამასობაში ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი მეტად საშიშ სახეს იღებს, რადგან მისი დაფარვა-დაფინანსება უმთავრესად ახალ-ახალი ვალის აღების ხარჯზე ხდება, მაგალითად, ობლიგაციების დამატებითი ემისიის გზით. ამასთან, რაც უფრო მეტი ფასიანი ქაღალდის გამოშვება სურს ხელისუფლებას, მით უფრო ჭირს მათი რეალიზება და, ამასთან, მატულობს მათი მომსახურების პროცენტებიც. ეს უკანასკნელი კი არცთუ ისე მცირეა, რაც მთავრობას ახალ-ახალი გადასახადების შემოღებისკენ უბიძგებს. ამ ყველაფერმა, შეიძლება, ინვესტორთა, განსაკუთრებით, უცხოელ ინვესტორთა ნდობის დაკარგვა და მათი ქვეყნიდან წასვლა გამოიწვიოს. ეს, ყველა სხვა "ბედნიერებასთან" ერთად, უნგრული ვალუტის გაუფასურებას გამოიწვევს.

უნგრეთის ბაზრიდან ინვესტორთა გასვლის პროცესი თითქმის უკვე დაწყებულია. ამის ნათელი გამოხატულებაა თუნდაც ის, რომ წლის დასაწყისიდან უნგრულმა ფორინტმა თავისი ღირებულების 10 პროცენტზე მეტი დაკარგა. უნგრეთის მიმართ ნდობის დაკარგვის მაჩვენებელია ბოლო რეიტინგებიც, რომლებიც სარეიტინგო სააგენტო "Fitch"-ისა და "Standar&Poor"-ის მიერაა მომზადებული. როგორც ამ სააგენტოთა სპეციალისტები აცხადებენ, გამორიცხული არ არის, ქვეყნის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცეს, თუ უნგრელები რეფორმებს არ განახორციელებენ.

უნგრელთათვის ერთადერთი გამოსავალია დარჩენილი - მკვეთრად შეამცირონ ბიუჯეტის ხარჯები და სამაგიეროდ გაზარდონ შემოსავლები. სხვა გზა არაა, თუ არ უნდათ, რომ ფორინტმა რადიკალური დევალვაცია განიცადოს, - ამტკიცებენ სპეციალისტები.

როგორც ჩანს, მსგავს დასკვნამდე მივიდა უნგრეთის ხელისუფლებაც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას იგი აპრილში ჰპირდებოდა გადასახადების შემცირებასა და ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ახლა მათ ხარჯების მკვეთრი შემცირების აუცილებლობისაკენ მოუწოდებს (თითქმის 4,6 მლრდ დოლარის ოდენობით 2007 წლისათვის). შესაბამისად, ამგვარი გაანგარიშების თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შემცირდეს 6,8 პროცენტამდე 2007 წელს, ხოლო 3,2 პროცენტამდე - 2009 წელს. ხელისუფლებას სურს გაზარდოს ასევე დღგ-ც - 15 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, მოგებიდან გადასახადი და, ასევე, საშემოსავლო გადასახადიც.

ევროკომისიამ გააფრთხილა უნგრეთი, რომ ცვლილებები (რეფორმები) იქნებოდა მკვეთრი, მაგრამ აუცილებელი. უნგრელებს სხვა გზა არ დარჩათ, თუ სურთ ევროზონაში შესვლა, რისთვისაც, მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, მათ მოეთხოვებათ, ინფლაცია დაიცვან მშპ-ს მიმართ 3 პროცენტის დონეზე, ხოლო სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 60%-ს არ უნდა გადააჭარბოს. უნგრელებს დიდი სურვილი აქვთ, ევროზონაში 2010 წლამდე შევიდნენ.

# დასავლურ ნავთობკომპანიებს რუსებისგან ნაციონალიზაცია იხსნის

მერაბ ლორთქიფანიძე

*ენერგეტიკის სფეროში ბრიტანელი ექსპერტი, პროფესორი პიტერ ოდელი, რომელიც ცნობილია იმით, რომ კონსულტაციებს უწევს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობებს, ვარაუდობს: თანამედროვე პირობებში, დასავლურ კერძო ენერგეტიკულ კომპანიებს რუსულ და ჩინურ მძლავრ სახელმწიფო ნავთობგიგანტებთან ეფექტურად კონკურირების არანაირი რეალური საფუძველი არ გააჩნიათ.*



პროფესორის თქმით, რუსული გიგანტები - "გაზპრომი" და "როსნეფტი", ასევე ჩინური CNPC, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ეცდებიან დასავლური კონკურენტების ჩაყლაპვას. მაგრამ თუ მათ სახელმწიფოების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა (ყველაფერთან ერთად, პოლიტიკურიც) ექნებათ, მაშინ გამარჯვების, უფრო სწორად კი, გადარჩენის შანსი გაუჩნდებათ. ასე რომ, თუ თანამედროვე მსოფლიოში ახლა არსებული პოლტიკურ-ეკონომიკური ტენდენციები არ შეიცვალა, მაშინ დასავლურ ბიზნესს კვლავ დაუბრუნდება სახელმწიფო კაპიტალიზმი.

ბრიტანეთის მთავრობის ყოფილი მრჩეველი გაფრთხლებას იძლევა და ამბობს, რომ საერთაშორისო ნავთობ და ენერგეტიკულ ბიზნესში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩართვა დროის ამბავია და ის აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. ბრიტანეთი და ჰოლანდია მაშინ დაფიქრდებიან "ბრიტიშ პეტროლეუმისა" და "შელის" აქციების მსხვილი პაკეტების გამოსყიდვაზე, როცა ამ კომპანიებს "გაზპრომის" ან მისი მსგავსი რომელიმე რუსული კომპანიისგან შთანთქმა დაემუქრება.

"დროზეა დამოკიდებული, თუ როდის მოისურვებს "გაზპრომი" "შელის" ან "ბრიტიშ პეტროლეუმის" დაუფლებას, ან CNPC - "ექსქსონის" ან "შევრონის" აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას," - ამბობს ოდელი. უფრო მეტიც, მისი თქმით, დასავლური ნავთობგიგანტები უკვე თმობენ პოზიციებს და ინიციატივას თანდათან ეუფლებიან რუსები.

ახლა დასავლურ კომპანიებს ნავთობის მსოფლიო დაზვერილი მარაგის დაახლოებით 9-10% ეკუთვნით. ამასთან, ახალი საბადოების ასათვისებლად მუშაობის დასაწყებად მათ კაბალურ პირობებზე დათანხმება უწევთ. ეს იმ დროს, როცა რუსული, ჩინური და ინდური ენერგეტიკული კომპანიები ინტენსიურად ითვისებენ ახალ ბაზრებს და თავიანთ კაპიტალსაც მნიშვნელოვნად ამდიდრებენ. მაგალითად, "გაზპრომი" აცხადებს, რომ ბრიტანული ენერგოკომპანიების ყიდვა სურს. ამაზე ის, ჯერჯერობით, წინააღმდეგობას აწყდება, თუმცა შორს არც ის დროა, როცა რუსები ბრიტანეთის გაზმომარაგების მნიშვნელოვან ქსელს გააკონტროლებენ. რა ელის ამ შემთხვევაში ალბიონურ კუნძულებს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

აშკარაა, რომ რუსულ კომპანიებს დიდ დახმარებას უწევენ რუსი ჩინოვნიკები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ რუსეთის მთავრობა ძლიერ ზეწოლას ახდენს "შელსა" და "ბი-პიზე", რომლებისგანაც "სახალინ-2-სა" და კოვიქტინის საბადოებზე წილების დათმობას ცდილობს. კერძოდ, "ტეენკა-BP-ს" საბადოს 50%-ის გამოსყიდვის სურვილი უკვე გამოთქვა "გაზპრომ ნეფტმა".

თუ რუსეთს ამ ეტაპზე ჯერ უფრო საკუთარ ტერიტორიებზე არსებული საბადოების დაუფლება სურს, ჩინური და ინდური კომპანიები სახელმწიფო კაპიტალს იყენებენ იმისათვის, რომ უცხოურ საბადოებში შეისყიდონ წილები და ამგვარად უზრუნველყონ ენერგორესურსების მიწოდება საკუთარ ქვეყნებში, რომლებიც ამ რესურსების სიმწირეს განიცდიან.

ჰოდა, ოდელი დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ გარემოებათა გამო, დასავლური დემოკრატიული ქვეყნები მალე იძულებულები შეიქნებიან, კვლავ დაუბრუნდნენ ბიზნესის მივიწყებულ სქემას, რომელსაც ენერგეტიკაში, უკვე დიდი ხანია, აღარ იყენებენ. ესაა სახელმწიფო კაპიტალიზმი. სახელმწიფო ნავთობკომპანიები დასავლეთ ევროპაში დღესაც არსებობს. მაგალითებად გამოდგება ნორვეგიული "სტატოილი" და ავსტრიული OMV. ოდელი იმედოვნებს, რომ ამ ორი წარმატებული კომპანიის მაგალითზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ბრიტანეთის ეროვნული ნავთობკორპორაცია, კანადაში აღდგება სახელმწიფო კომპანია "პეტრო კანადა", "ტოტალს" კი ნაციონალიზაციას ჩაუტარებს საფრანგეთის და ბელგიის მთავრობა.

ოდელის აზრით, უნდა შეიცვალოს ნავთობკომპანიების მიერ საქმის წარმოების სტილიც. კერძოდ, დღეისათვის კერძო კომპანიები თითქმის არ ცდილობენ განვითარებად ბაზრებზე ფეხის მოკიდებას, თავს არიდებენ იქ ინვესტიციების განხორციელებას. სამაგიეროდ, თავისუფალი სახსრებით ცდლობენ საკუთარი აქციების გამოსყიდვას, არიგებენ უზარმაზარ დივიდენდებს და უმაღლეს მენეჯერებს დიდ პრემიებსაც უხდიან. მთელ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება კი, ოდელის აზრით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი - ეს კომპანიები მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს!

# ცენტრალური ბანკი და ხელისუფლების პოპულიზმი

პირველი გვერდიდან

"ასეთი განცხადებები უაღრესად ცუდად მოქმედებს ცენტრალური ბანკის მიმართ ნდობაზე, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე ეროვნული ვალუტის ღირებულების დამცველია," - განაცხადა ამის პასუხად პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ლეშეკ ბალცეროვიჩმა.

შესაძლოა, პრემიერის ასეთი მკვეთრი განცხადება იმითაც იყო გამოწვეული, რომ წინა დღეს ბალცეროვიჩმა მკვეთრად გააკრიტიკა 2007 წლის ბიუჯეტის პროექტი და განაცხადა, რომ ესაა მსუბუქი აზროვნებისა და ოპორტუნიზმის შემცველი დოკუმენტი. როგორც ჩანს, მას არ მოსწონს ბიუჯეტის უაღრესად გამოკვეთილი სოციალური პრიორიტეტები. ბალცეროვიჩი ხომ ლიბერალური ეკონომიკის თავდადებული დამცველია.

ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობასა და პოლიტიკოსებს შორის ანტაგონიზმი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის - დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, დასტურდება. თუმცა ის არსად არაა ისე გამწვავებული, როგორც ახლა პოლონეთში.

მაგალითად, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას უნგრეთსა და სლოვაკეთშიც აკრიტიკებენ, მაგრამ იქ მათ ხელისუფლების მხრიდან ასეთი საპასუხო რეაქცია არ ხვდებათ. ამ რთულმა ურთიერთობამ განსაკუთრებით დამახასიათებელი სახე მიიღო ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობასა და ევროზონაში შემავალი ქვეყნების პოლიტიკოსებს შორის.

"იქნებ, ერთმანეთს სადილზე შევხვედროდით ხოლმე და ურთიერთგაგებისათვის ასეთი ფორმით მიგვეღწია," - ასე მისწერა ევროკავშირის 12 ქვეყნის (ევროზონა - ა.გ.) ფინანსთა მინისტრმა ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს ჟან-კლაუდ ტრიშეს. "ეს მე ვარ ეროს ბატონი," - ასეთი პასუხი გასცა ტრიშემ წერილს რამდენიმე კვირის შემდეგ. რაც შეეხება მინისტრების მიწვევას, ასეთ ტრადიციას საფუძველი არ ჩაჰყრია.



პოლონეთის მთავრობასა და ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა გასდევდა წითელ ზოლად ამ რამდენიმე დღის წინათ ვარშავაში გამართულ კონფერენციას, რომელიც პებ-მა მოაწყო. კონფერენციაზე - "ცენტრალური ბანკების როლი მოქალაქეთა ეკონომიკური ცოდნის ფორმირებაში" - გამოსული მეცნიერებისა და ბანკირების აზრით, მონეტარული პოლიტიკის გაუგებრობა გამოწვეულია საერთოდ ქვეყანაში ეკონომიკური ანაბანის უცოდინრობით. კერძოდ, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორის ვილიამ ვალსტადის განცხადებით, შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევებით ირკვევა, რომ რაც უფრო მეტ ეკონომიკურ ცოდნას ფლობს ადამიანი, მით უფრო მეტად უჭერს მხარს ცენტრალური ბანკის მონეტარულ პოლიტიკას.

კონფერენციაზე, სახელდობრ, ამ პრობლემას ბევრი მოხსენება მიეძღვნა. მასზე განსაკუთრებით ახალგაზრდობის ეკონომიკური ცოდნით აღჭურვის საკითხები იყო წინა პლანზე წამოწეული. მასზე ევროპის ცენტრალური ბანკის თანამშრომლებმა წარმოადგინეს ბავშვებისათვის სპეციალურად მომზადებული ფილმი, სადაც ნაჩვენებია, თუ საშინელი არსება, სახელად ინფლაცია, როგორ უჭამს უბრალო ადამიანებს დანაზოგებს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი მშივრები და შიშველ-ტიტვლები რჩებიან. ფილმში მხატვრულად და გასაგებად ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ იზრდება ინფლაციის გამო ფასები და ნელდება ეკონომიკის განვითარება.

### აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინწინდელი აქტიური ზრდის შემდეგ, გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ნავთობის ფასის ზრდასთან ერთად ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ევროპული ცენტრალური ბანკის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის 3,25 პროცენტამდე გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. ინვესტორები შიშობენ, რომ ევროპელი კოლეგების საქციელი, შესაძლოა, ფედერალური სარეზერვო ფონდისათვის გადამდები მაგალითი აღმოჩნდეს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,13 პროცენტით, 11.835,08 პუნქტამდე შემცირდა. 0,03 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.290,17 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,13 პროცენტით, 1.348,41 პუნქტამდე მოიკლო.

### ოპეკმა ნავთობი გააძვირა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა და ფასები კვლავ 60 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ასცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,62 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,71 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისი ფასიც გაიზარდა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისის გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 5,995 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაძვირება ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში მინიმუმ 1 მილიონი ბარელით შემცირების შესახებ ოპეკის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ განაპირობა. კარტელის წევრი ქვეყნები ნავთობის ფასის კლების შეჩერებას ამგვარად აპირებენ. მართალია, ოფიციალური დოკუმენტი მხოლოდ დეკემბერში, ორგანიზაციის სხდომაზე გაფორმდება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ შეთანხმება მიღწეულია და გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას წინ ვერაფერი აღუდგება.

### ძვირფასი ლითონების გაიაფება გაგრძელდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება გაგრძელდა. კერძოდ, ოქრო 4 პროცენტით, სამნახევართვიან მინიმუმამდე გაიაფდა და 1 უნციის ღირებულებამ 568,25 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა 2,2 პროცენტით, ორნახევართვიან

მინიმუმამდე - 10,795 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 4,2 პროცენტით, 1082,4 დოლარი/უნციამდე, გაიაფდა, რაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია, პალადიუმი კი 3,2 პროცენტით, სამნახევართვიან მინიმუმამდე - 306,45 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ნავთობის ფასის ზრდის მიუხედავად, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაიაფება ინვესტორთა შორის ინფლაციის შიშის არარსებობამ განაპირობა. თუმცა, ისინი თვლიან, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ნავთობის კვლავ გაძვირება, ან გეოპოლიტიკური სიტუაციის მცირედი გაუარესება ძვირთფასი ლითონების ფასის ზრდას გამოიწვევს.

### DaimlerChrysler-ს EADS-ის აქციების გაყიდვა არ სურს




გერმანულ-ამერიკულმა ავტოგიგანტმა DaimlerChrysler-მა განაცხადა, რომ მის მფლობელობაში არსებული ევროპული აეროკოსმოსური კომპორაცია EADS-ის, რომელიც ავიამშენებელ კომპანია Airbus-ს აკონტროლებს, აქციების 15 პროცენტის გაყიდვას არ აპირებს. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აპრილში DaimlerChrysler-მა გერმანიის სახელმწიფო ბანკს KFW-ს უკვე მიჰყიდა EADS-ის აქციების 7,5 პროცენტი და ახლა ბანკი ამ ორგანიზაციაში გერმანიის სტრატეგიული ინტერესების დაცვის მიზნით აქციების დარჩენილი პაკეტის შეძენასაც ცდილობს.

### MAN Scania-ს მოხიბვლას ცდილობს

სატვირთო ავტომობილების მწარმოებელი გერმანული კომპანია MAN AG უახლოეს მომავალში თავისი კონკურენტის, შვედური Scania-ს შესაძენად წინადადების გაზრდას აპირებს. როგორც ცნობილია, ადრე MAN Scania-ს სანაცვლოდ 9,6 მილიარდ ევროს (12,2 მილიარდი დოლარი) იხდიდა, რაც შვედური კომპანიის ერთ აქციაზე 459 წვედურ კრონს შეადგენდა, მაგრამ მაშინ გერმანული მხარის წინადადება უარყოფილ იქნა. სავარაუდოდ, MAN მზად არის, ერთ აქციაში 500 შვედური კრონი გადაიხაროს, რაც, შესაძლოა, Scania-სათვის მისაღები თანხა იყოს.

## სახაზინო ვალდებულებების აუქციონი აღარ გაიმართება

მიმდინარე წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა არ გაიმართება. "სახაზინო ვალდებულებების აუქციონის გამართვის საჭიროება წლის ბოლომდე არ დგას," - განუცხადა GBC-ის საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების აუქციონები, რომლის გამართვა 2005 წლის ივნისში შეწყდა, მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა განახლებულიყო. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ბოლო აუქციონზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის (18%) დაფიქსირების მიზეზით შეწყდა, რაც კომერციული ბანკების გარიგებით აიხსნა. აუქციონები, მსგავსი შემთხვევებისგან დაცვის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მოტივით არის შეჩერებული. მოგვიანებით, სებ-ის ექსპერტებმა გამოსავალი ზღვრული ზედა საპროცენტო განაკვეთის დადგენაში გამონახეს, თუმცა ახალი წესების მიუხედავად, აუქციონების ჩატარება არ განახლებულა. სახაზინო ვალდებულებების აუქციონისთვის სებ-ში შეიქმნა ყველა პირობა - ახალი ტექნოლოგიები ითვალისწინებს ანგარიშგებისა და აღრიცხვის მთლიანად ელექტრონულ სისტემაზე გადაყვანას. ფასიანი ქაღალდების აუქციონზე კომერციული ბანკების დაშვება მანამდეც ხდებოდა ელექტრონული განცხადების საფუძველზე, თუმცა შემდგომ გარიგება ფორმდებოდა წერილობით. ეროვნული ბანკის ცნობით, სახაზინო ვალდებულებების აუქციონის ჩატარება მთლიანად ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა და ამის საჭიროებას, მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინებით, თავად განსაზღვრავს. **GBC**

## საქართველოს ბიუჯეტმა 4 ოქტომბერს 17,294 მლნ ლარის ხარჯი დააფინანსა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 4 ოქტომბერს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 17,294 მლნ ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული თანხა შემდეგი მიმართულებებით დაიხარჯა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება - 169,7 ათასი ლარი; სპეციალური დანიშნულების ფინანსური დახმარება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (საქართველოს მთავრობის 09.02.06 N66 განკარგულების თანახმად) - 1, 268 მლნ ლარი; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (პროგრამული ხარჯები) - 1, 051 მლნ ლარი; ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (დევნილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე) - 29,4 ათასი ლარი; სუბსიდიების, სუბვენციების და მიმდინარე ტრანსფერების სახით ხაზინამ 7,734 მლნ ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა, რაც შემდეგნაირად განაწილდა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემა 6,62 მლნ ლარი; ენერგეტიკის სამინისტრო - 816,4 ათასი ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სისტემა -190,5 ათასი ლარი; ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - 41,8 ათასი ლარი; "საზოგადოებრივი მაუწყებელი" - 28,1 ათასი ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისია - 27,9 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 5,7 ათასი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2,2 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტრო - 1,4 ათასი ლარი; საბიუჯეტო ორგანიზაციების მივლინებების, სხვა საქონლისა და მომსახურების და კაპიტალური ხარჯების ასანაზღაურებლად ბიუჯეტმა 4,083 მლნ ლარი გამოყო; სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისათვის - 2,928 მლნ ლარი; უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში ფინანსთა სამინისტროს თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებისათვის - 18,8 ათასი ლარი; უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საინვესტიციო პროექტებისათვის - 12 ათასი ლარი. **GBC**

## კომუნიკაციების კომისია ლიცენზიანტის მიმართ ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს

კომუნიკაციების ეროვნული კომისია შპს "მეგა ტვ"-ს სალიცენზიო პირობების დარღვევაში ადანაშაულებს, რაც გაფრთხილები მიზნით მის მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია. სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის თაობაზე კომისიას ინფორმაცია მიაწოდა შპს "რიონმა". "აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა შემოწმება და შედგა აქტი, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ შპს "მეგა ტვ"-ს მიერ მართლაც დარღვეულია კომისიის 2005 წლის 2 სექტემბრის № 584/2 გადაწყვეტილების მოთხოვნები, კერძოდ, ქ. ქუთაისში 35 დბ (მკვ/მტ) ნაცვლად სიგნალის დონე არის 44 დბ (მკვ/მტ), აგრეთვე, სოფელ ქვიტირში ნაცვლად 39 დბ (მკვ/მტ)-სა, არის 43 დბ (მკვ/მტ), ქ. წყალტუბოში სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე 42 დბ (მკვ/მტ)-ის ნაცვლად არის 40 დბ (მკვ/მტ)," - აცნობეს GBC-ის კომისიიდან. კომისიის სამართლებრივ დეპარტამენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები "მეგა ტვ"-ს მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია. შპს "მეგა ტვ"-ს გაფრთხილების თაობაზე საკითხის განსახილველად კომისიის სხდომა 2006 წლის 6 ოქტომბერს გაიმართება. **GBC**

## ამინდი

| | 6/10 | 7/10 | 8/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 20 | 20 |
| რიგა | 12 | 15 | 15 |
| ვილნიუსი | 12 | 11 | 13 |
| მოსკოვი | 14 | 14 | 11 |
| მინსკი | 16 | 11 | 16 |
| პარიზი | 16 | 13 | 15 |
| რომი | 22 | 21 | 20 |
| ლონდონი | 13 | 15 | 15 |
| მადრიდი | 23 | 23 | 23 |
| ბონი | 13 | 16 | 17 |
| ვარშავა | 15 | 17 | 15 |
| ათენი | 28 | 25 | 24 |
| ბერნი | 17 | 15 | 18 |
| ამსტერდამი | 15 | 11 | 13 |
| ოსლო | 8 | 13 | 10 |
| ანკარა | 31 | 29 | 26 |
| ვარნა | 25 | 17 | 18 |
| დელი | 43 | 42 | 41 |
| ტოკიო | 20 | 18 | 23 |
| კოპენჰაგენი | 11 | 10 | 10 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 26 | 28 | 29 |
| ასტანა | 5 | 13 | 18 |
| ჰელსინკი | 10 | 6 | 9 |
| დუბლინი | 13 | 11 | 12 |
| ლისაბონი | 23 | 24 | 25 |
| პრაღა | 13 | 13 | 16 |
| სოფია | 12 | 17 | 18 |
| ბუდაპეშტი | 20 | 21 | 18 |
| ბუხარესტი | 22 | 21 | 15 |

# რუსეთი საქართველოსთვის გაზის ტარიფის გაორმაგებას გეგმავს

პირველი გვერდიდან

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურ თბილისს "გაზპრომთან" მოსალოდნელ მძიმე მოლაპარაკებებში ჩარევის სულ უფრო და უფრო ნაკლები საფუძველი აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ იმ ობიექტებს შორის, რომლებსაც გაზის მიწოდება სჭირდებათ, სახელმწიფო საკუთრებაში მხოლოდ "თბილსრესის" ორიოდე ბლოკია დარჩენილი. შედეგად, ახალი კონტრაქტების გაფორმების პროცესში, რუსულ ენერგოგიგანტთან მოლაპარაკების მაგიდასთან პირისპირ კომერციული სტრუქტურები აღმოჩნდებიან. უფრო ზუსტად კი - რუსული ინვესტიციებით შექმნილი "ენერჯი ინვესტი" და "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკის ოპერატორი "რაო - მტკვარი-ენერგეტიკა". "ენერჯი ინვესტს" გაზი გარდაბნის აირტურბინის და საწარმო "აზოტის" ფუნქციონირებისთვის სჭირდება, ხოლო "მტკვარი-ენერგეტიკას" - "მეცხრე ენერგობლოკის" მუშაობისთვის.

"ენერჯი ინვესტის" პრეზიდენტს გენო მალაზონიას "გაზპრომის" გეგმების შესახებ მხოლოდ არაოფიციალური მონაცემები აქვს. **"ჭორის დონეზე ვიცი, რომ გაზის გაძვირება 170-250 დოლარის ფარგლებშია მოსალოდნელი. მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ დაგვიწყია. სავარაუდოდ, ეს საკითხი დეკემბერში გადაწყდება,"** - განაცხადა მან.

"ენერჯი ინვესტი" 2006 წლის კონტრაქტით რუსეთიდან 500 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს ყიდულობს, მომავალ წელს კი, აირტურბინის სიმძლავრის ზრდასთან ერთად, დამატებითი მოცულობის შემოტანა მოუწევს. "2007 წელს დაახლოებით 600 მილიონი კუბური მეტრი დაგვჭირდება და თუ რუსეთი საფასურს გაგვიზრდის, იძულებულები ვიქნებით, ტარიფში ჩვენი წილის ზრდა მოვითხოვოთ," - დასძინა მან.

მეცხრე ენერგობლოკის მუშაობისთვის მომავალ წელს 315 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა შეიძინოს "რაო ეეს როსიი"-ს ქართულმა შვილობილმა "მტკვარი-ენერგეტიკამ". "თელასში" არ გამორიცხავენ გაზის საფასურის გაძვირებას, თუნდაც იმ მიზეზით, რომ რუსეთს შესასყიდი გაზის საფასური თავად ყაზახეთმა და თურქმენეთმა გაუძვირეს.

და ბოლოს, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი: დედაქალაქის მოსახლეობის გაზმომარაგება. ამ საკითხზე "გაზპრომთან" საუბარი "ყაზტრანსგაზ თბილისს" მოუწევს. ამ კომპანიის დამფუძნებლები კი რუსეთში გაზის ექსპორტიორები არიან და "გაზპრომთან" საკმაოდ თბილი და ლოიალური ურთიერთობები აქვთ. კომპანიაში აცხადებენ, რომ "ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელობამ დაიწყო მოლაპარაკებები "გაზექსპორტთან", თუმცა ფასი და სხვა დეტალები ამ ეტაპზე კონფიდენციალურია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავარ ენერგეტიკულ უწყებაში გაზის საფასურის გაზრდის საშიშროებას ვერ ხედავენ. "ამ დროისთვის ჩვენ მხოლოდ რუსეთზე არ ვართ დამოკიდებულნი. გვაქვს სტრატეგიული გეგმები გაზის იმპორტის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "გაზპრომთან" მოლაპარაკებები რუსულმა და ყაზახურმა კომპანიებმა უნდა აწარმოონ," - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა. მისივე ინფორმაციით, "ბაქო-თბილისი-ერზრუმის" გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობით მიღებასთან დაკავშირებით ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ერთ კვირაში ბაქოში გაემგზავრება. ამასთანავე, არსებობს ირანიდან გაზის მიღების პერსპექტივაც.

*24 საათი*

# რუსეთს სავალუტო ფონდიდან გაგდება ემუქრება

პირველი გვერდიდან

რუსეთის სახელისუფლებო წრეებში საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ასამოქმედებლად გამართული დებატების პარალელურად, ცნობილი რუსული გაზეთის ინტერნეტ-გამოცემა "კომერსანტის" მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გაგდების საფრთხის წინაშე დგას. ეს საშიშროება რუსეთს საქართველოს მიმართ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი, უკანასკნელი დღეების განმავლობაში განხორციელებული ქმედებების გამო ემუქრება.

ამ ინფორმაციას გაზეთის კორესპონდენტი სავალუტო ფონდის ოფიციალურ წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ საქართველოში რუსეთიდან ფულადი გზავნილების შეჩერება უარყოფითად იმოქმედებს თავად რუსეთზე.

საქართველო და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც (სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად), ფონდის წესდების თანახმად, გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ. მათ შორის: ფონდის წევრ სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი საანგარიშსწორებო სისტემები უნდა ჩამოყალიბდეს და ქვეყნებს შორის ისეთი ოპერაციების აკრძალვა უნდა გამოირიცხოს, რომელიც ხელს შეუშლის მსოფლიო ვაჭრობის ზრდას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე დარწმუნებულია, რომ რუსეთის სათათბიროს დეპუტატები წესდების ამ და კიდევ სხვა მუხლებმა საგონებელში ჩააგდო.

სათათბიროს საბანკო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პაველ მედვედევის განცხადებით, სავალუტო ფონდის წესდებასთან გარკვეული შეუსაბამობის გამო, კანონპროექტზე მუშაობის დასრულება ვერ მოხერხდა. როგორც ირკვევა, სათათბიროს დეპუტატების უმრავლესობა სავალუტო ფონდიდან ოფიციალურ პასუხს ამ დღეებში ელოდება.

აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელიც ამავდროულად საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარმოადგენს, საქართველოს მხრიდან, მმართველს: **"ფონდის ყველა სახელმწიფო უნდა დაემორჩილოს მის საწესდებო მოთხოვნებს; განსაკუთრებით, წევრი-ქვეყნების ცენტრალური ბანკები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საანგარიშსწორებო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ ფუნქციის იგნორირება და ხელოვნური შეფერხება ან მისი პოლიტიკური მიზნით გამოყენება საფრთხეს უქმნის, გლობალური ეკონომიკის პირობებში, მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობას. მით უმეტეს, თუ უპასუხისმგებლოდ იქცევა ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც რუსეთია."**

რომან გოცირიძის შეფასებით, სავალუტო ფონდის წესდების ზემოთ ხსენებული პუნქტის დარღვევა უპრეცედენტო შემთხვევაა, რომელიც არ დარჩება ფონდის მხრიდან მკაცრი შეფასებისა და შესაძლო ადეკვატური რეაგირების გარეშე.

ამას გარდა, რუსეთი კიდევ ერთი საშიშროების წინაშე დგას. კერძოდ, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი განმარტავს, რუსეთის მიერ ფულადი გზავნილების აკრძალვა შავი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის ტოლფასი იქნება. მისი თქმით, ფულადი გზავნილების აკრძალვა რუსეთის ტერიტორიაზე არალეგალური გადარიცხვების სისტემების აყვავებას გამოიწვევს.

**"თუ რუსეთმა ასეთი სახის არაცივილიზებულ სანქციებს მიმართა, რუსეთში მომენტალურად შეიქმნება ათასობით არალეგალური სატრანსფერო სისტემა სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მიმართულებით,"** - უთხრა საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსს".

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მხრიდან განხორციელებული სანქციები ხელს შეუწყობს ჰავალას ტიპის იატაკქვეშა გადარიცხვების აყვავებას, რაც FATF-ის (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი) მხრიდან შეფასებული იქნება, როგორც რუსეთის მიერ შავი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობა.

ყოველი ამით კი, შესაძლოა, რუსეთი იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალში მოხვდეს, რომლებიც FATF-ის მიერ შავი ფულის გათეთრების ზონად არის აღიარებული.

მოხვდება თუ არა ამ შავ სიაში რუსეთი, ეს მისი სათათბიროს დეპუტატების შემდგომ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული.

# "ვარციხეჰესი" მეორედ გაიყიდა

ეთერ მამულაშვილი

*ამ დღეებში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ბრიტანულ "სტემკორთან" მემორანდუმს გააფორმებს, რითაც ვარციხეჰესის პრივატიზაციის პროცესი საბოლოოდ დასრულდება. წლის ბოლომდე ბრიტანელებმა ჰიდროელექტროსადგურში 57 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადონ და ვალდებულებას იღებენ, რომ "ჭიათურმანგანუმის" აუქციონშიც მიიღებენ მონაწილეობას. ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ "ევრაზჰოლდინგის" მაგალითი არ განმეორდება და ამჯერად ინვესტორი საქართველოდან აღარ გაიქცევა.*

"ვარციხეჰესთან" დაკავშირებულ სკანდალში საქართველოს ხელისუფლება ერთხელ უკვე გაეხვა, როცა რუსულმა "ევრაზჰოლდინგმა" თითქმის უკვე ნაყიდ ჰიდროელექტროსადგურზე უარი განაცხადა. გაქცეული ინვესტორის შესახებ ქართული და უცხოური მედია მაშინ აქტიურად წერდა და როგორც ოფიციალურ, ისე კულუარულ მიზეზებს ასახელებდა.

10 თვის შემდეგ ჰიდროელექტროსადგური მეორედ იყიდება, თუმცა ამჯერად ხელისუფლება "ვარციხეჰესის" ხმაურიან პრივატიზაციას მოერიდა. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ჰესის ახალ მფლობელთან ყოველგვარი მოლაპარაკება უხმაუროდ აწარმოა და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც რაიმე საჯარო განცხადების გარეშე მიიღო. როგორ აღმოჩნდა "სტემკორი" ჰესის ერთადერთი მსურველი? ჰყავდა თუ არა მას კონკურენტები? რატომ მიანიჭა უპირატესობა ხელისუფლებამ ბრიტანელ ინვესტორს?

ბრიტანულ "სტემკორთან" დადებული გარიგების ზოგიერთი დეტალი იმდენად ბუდოვანია, რომ ის ლოგიკურად ბევრ ეჭვსა და კითხვის ნიშანს ბადებს.

დავიწყოთ იქიდან, რომ ბრიტანულ "სტემკორს" იმერეთის ერთ-ერთი მთავარი ჰიდროელექტროსადგური, პირდაპირი მიყიდვის წესით, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მიეყიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ "ვარციხეჰესზე" არც კონკურსი და არც აუქციონი არ მოწყობილა, რაც ჰესით დაინტერესებულ სხვა ინვესტორებს მის ხელში ჩასაგდებად, მეტ-ნაკლებად თანაბარ შანსებს მისცემდა.

არადა, "სტემკორი" არ იყო ერთადერთი კომპანია, რომელსაც ჰესის ყიდვის სურვილი ჰქონდა. იმ ფაქტს, რომ ჰიდროელექტროსადგურის ყიდვით კიდევ რამდენიმე კერძო კომპანია იყო დაინტერესებული, ხელისუფლებაშიც ადასტურებენ. თუმცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში თავს იმით იმართლებენ, რომ ბრიტანული კომპანია "ვარციხეჰესისთვის" ყველაზე შესაფერი და ღირსეული კანდიდატურა იყო. აი, რა განუცხადა მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ "24 საათს": "ჩვენ "ვარციხეჰესზე", ფაქტობრივად, არაფორმალური კონკურსი გვქონდა გამოცხადებული და აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ყველა იმ პოტენციურ ინვესტორთან, რომელიც ჰესის მესაკუთრე შეიძლებოდა გამხდარიყო. ამ მოლაპარაკებების დროს გამოიკვეთა, რომ "სტემკორი" ყველაზე ბევრს იხდიდა."

რამდენად უწყობს ხელს ასეთი არაფორმალური კონკურსები პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობას? ვინ და რა არის იმის გარანტი, რომ ამ შემთხვევაში პრივატიზაცია ობიექტურად ჩატარდა? ეს არის ის კითხვები, რომელიც საზოგადოებაში ლოგიკურად იბადება და რომელზეც ხელისუფლება ვალდებულია, ამომწურავი პასუხები გასცეს. ჯერჯერობით, არც ერთ შესაბამის პირს საჯაროდ ამ საკითხებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მართალია, ხელისუფლებას ამის აღიარება არ სურს, მაგრამ ფაქტია, რომ "სტემკორი" მისი ფავორიტი იყო. ის მაქსიმალურად შეეცადა, ბრიტანელებისთვის ყველა რეალური კონკურენტი ჩამოეშორებინა, და ამიტომაც, პრივატიზაციის შედარებით ყველაზე უმტკივნეულო ფორმა, პირდაპირი მიყიდვის წესი აირჩია.

ეკონომიკური ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლება პირდაპირი მიყიდვის ფორმას, ხშირად, მაშინ არჩევს, როდესაც ის ერთ რომელიმე ინვესტორს ლობირებს. ეს განვლილი წლების პრაქტიკამ და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩატარებულმა პრივატიზაციის პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ "24 საათს" განუცხადა: "ზესტაფონის "ფეროს" იმდენად დიდი ენერგია სჭირდება, რომ ის ვარციხეჰესის გარეშე, პრაქტიკულად, ვერ იმუშავებს. ჩვენ ვიდექით ასეთი დილემის წინაშე - გაგვეტანა თუ რა ვარციხეჰესი აუქციონზე? მოკლედ, ფეროს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, რადგან ვარციხეჰესი პირდაპირ მიბმულია "ფეროზე". თუკი მას აუქციონზე გავყიდდით, "ფერო" ელექტროენერგიის წყაროს გარეშე დარჩებოდა და ის დაიხურებოდა, "ფეროს" დახურვა კი 3000 კაცის სახლში გაშვებას ნიშნავს."

"24 საათის" კითხვაზე, "ვარციხეჰესის" სხვა კომპანიისთვის მიყიდვის შემთხვევაში რატომ დარჩებოდა ზესტაფონის "ფერო" ელექტროენერგიის გარეშე, კახა დამენია შემდეგნაირად პასუხობს: "თუკი ჰესს სხვა იყიდდა, ის ელექტროენერგიას ისეთ ტარიფს დაადებდა, რომ თვითონაც ენახა მოგება. დენის მაღალი ტარიფი კი ავტომატურად "ფეროს" პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევდა და "ფეროს" პროდუქტი კონკურენტუნარიანი არ იქნებოდა."

საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი: 2005 წლის შემოდგომაზე "ვარციხეჰესი", "ჭიათურმანგანუმისა" და ზესტაფონის "ფეროს" აქციების ერთობლივ პაკეტში, რუსულ "ევრაზჰოლდინგს" 132 მილიონ აშშ დოლარად მიეყიდა. ამჯერად კი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მათი ნაწილ-ნაწილ გაყიდვა გადაწყვიტა, რითაც "სტემკორს" ჰესისა და "ჭიათურმანგანუმის" ხელში ჩაგდების გზა კიდევ უფრო გაუმარტივდა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ეს სამეული დაშალა და მისი ცალ-ცალკე გაყიდვა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ მიუთითებს: ბრიტანული "სტემკორი" ხელისუფლების აშკარა ფავორიტი იყო. ცალკე აღებული "ვარციხეჰესი" ან "ჭიათურმანგანუმი" ნებისმიერი ინვესტორისთვის, როგორც ქართველი, ისე უცხოელისთვის, ნაკლებად მიმზიდველია.

ოქტომბრის ბოლომდე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ჭიათურმანგანუმზე" აუქციონის გამოცხადებას აპირებს, ამჯერად უკვე საჯაროდ. აუქციონში ერთი მონაწილე კომპანიის ვინაობა ამ დროსთვის უკვე ცნობილია - ეს ბრიტანული "სტემკორია". (აუქციონში მონაწილეობას მას სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმი ავალდებულებს). იმის ალბათობა, რომ "ჭიათურმანგანუმის" აუქციონში, "სტემკორის" გარდა, სხვა კომპანიაც გამოთქვამს სურვილს, მინიმალურია - როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ "ჭიათურმანგანუმი", ჰესის გარეშე, არამიმზიდველია (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზესტაფონის "ფეროს" აქციების 100 პროცენტი უკვე "სტემკორს" ეკუთვნის).

"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ამ სამეულით დაინტერესების სურვილი ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა, როცა გასული წლის მიწურულს "მადნეულისთვის" გამოცხადებულ კონკურსში, "სტენთონ ექვითი კორპორეიშენთან" ბრძოლაში დამარცხდა. ბუნებრივია, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსს" "ვარციხეჰესის" შეძენის სურვილი "ჭიათურმანგანუმთან" ერთად ჰქონდა. "მხოლოდ ჭიათურის ყიდვას არანაირი აზრი არ აქვს, მას ხომ ელექტროენერგია სჭირდება? კომპანიისთვის მომგებიანი და ხელსაყრელი ერთობლივ პაკეტში მისი ყიდვა იქნებოდა," - უთხრა "24 საათს" სოსო გალუმაშვილმა, საკონსულტაციო "ჯეპრას" ხელმძღვანელმა ("ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" "ჯეპრას" ერთ-ერთი კლიენტია).

ცნობილი ხდება, რომ "სტემკორთან" მოლაპარაკება "ვარციხეჰესთან" დაკავშირებით უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ის ფაქტი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაშიც და მერეც, როცა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ბრიტანელებთან შეთანხმებას მიაღწია (რის შედეგადაც დღეს "სტემკორი" ჰიდროელექტროსადგურის ფაქტობრივი მფლობელია) და ამის შესახებ საჯარო განცხადებები დღემდე არ გაკეთებულა, თავისთავად კიდევ ერთ კითხვის ნიშანს ბადებს.

## კომპანია "ტექსერვის ცენტრი" ფილიალს ბათუმში გახსნის

კომპანია "ტექსერვის ცენტრი" მიმდინარე წლის ნოემბერში ფილიალს ბათუმში გახსნის. პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირმა იოსელიანმა განუცხადა, რომ კომპანია ხუთი წლის განმავლობაში მომხმარებელს კომპიუტერული და სხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთებისა და დამონტაჟების განსხვავებულ ტექნოლოგიებს სთავაზობს. მისი თქმით, ინფორმაციული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის განვითარების ფონზე, მომხმარებლისთვის მომსახურების ახალი ფორმის შეთავაზება აუცილებელია. კომპანია "ტექსერვის ცენტრის" მომხმარებელი, ძირითადად, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები და სხვადასხვა მსხვილი კერძო კომპანიები არიან. იოსელიანის თქმით, მსგავსი ფილიალები მომავალი წლიდან, შესაძლოა, ქუთაისსა და ზემო აფხაზეთშიც გაიხსნას. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ზემო აფხაზეთში საფოსტო განყოფილება გაიხსნება

შპს "საქართველოს ფოსტა" ზემო აფხაზეთში (კოდორის ხეობა) საფოსტო განყოფილებას ნოემბერში გახსნის. პრაიმ-ნიუს ბიზნესს "საქართველოს ფოსტის" გენერალურმა დირექტორმა ზაზა ინწკირველმა განუცხადა, რომ კომპანია ზემო აფხაზეთის მოსახლეობას დოკუმენტებისა და ამანათების გაგზავნაში სრულ მომსახურებას გაუწევს. მისი განცხადებით, შესაძლოა, ზემო აფხაზეთში ექსპრეს-გზავნილების მომსახურებაც განხორციელდეს. ექსპრეს-გზავნილებს კომპანია მსოფლიოს 200-მდე ქვეყანაში ახორციელებს და საქართველოს ბაზრის 50% უკავია. კომპანია "საქართველოს ფოსტის" მიერ ყოველწლიურად თბილისიდან ექსპრეს-გზავნილების რაოდენობა 6 000 შეადგენს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "ექსპო ჯორჯიაში" ტელეკომუნიკაციების მე-7 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა

ტელეკომუნიკაციების, ენერგეტიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტროტექნიკისა და რეგულირებამართვის მე-7 საერთაშორისო გამოფენა "ElcomCaucasus 2006," ხუთშაბათს საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" გაიხსნა. საგამოფენო ცენტრის 35 სტენდზე 12 ქვეყნის 70-ზე მეტი კომპანია და ორგანიზაციაა წარმოდგენილი. პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ დავით წიკლაურმა განუცხადა, რომ გამოფენის მიზანია უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში თავიანთი ქსელის შექმნისთვის ხელშეწყობა. გამოფენა 7 ოქტომბრამდე გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისში არქიტექტურის საერთაშორისო დღეები გაიხსნა

არქიტექტურის საერთაშორისო დღეები თბილისში ოფიციალურად ხუთშაბათს გაიხსნა. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, უცხოელი სტუმრები დედაქალაქს ოთხდღიანი ვიზიტით ოთხშაბათს ეწვივნენ. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ დავით აბულაძემ აცნობა. არქიტექტურის საერთაშორისო დღეს, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და მისი თავმჯდომარე დავით აბულაძე მასპინძლობს. არქიტექტურის საერთაშორისო დღის ფარგლებში, ხუთშაბათს მე-2 საერთაშორისო კონკურსი-დათვალიერება "ოქროს კაპიტელი" და ყოველწლიური პროფესიული კონკურსი გალერეა TMS-ში გაიხსნა. აღნიშნული ღონისძიებების პარალელურად თბილისის სამხატვრო აკადემიაში სტუდენტ-არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. დავით აბულაძის ინფორმაციით, არქიტექტურის საერთაშორისო დღეების ფარგლებში, შინდისის სასტუმრო კომპლექსში "სოფლის სახლი" UIA-ს მე-2 რეგიონის ქვეყნების ნაციონალური სექციების პრეზიდენტების შეხვედრაა დაგეგმილი. ასევე გაიხსნება ციციშვილის სახელობის საერთაშორისო კონფერენცია და გაიმართება საერთაშორისო საზაფხულო სკოლის "ბათუმი 2006"-ის პრეზენტაცია. არქიტექტორთა კავშირი სტუმრებისათვის ექსკურსიებს თბილისსა და მცხეთაში მოაწყობს. არქიტექტურის საერთაშორისო დღეების საზეიმო დახურვა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შაბათს გაიმართება. ღონისძიება საქართველოს არქიტექტორთა კავშირის 75-ე წლისთავს მიეძღვნება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**